ლიტერატურული გაზეთი

№12(148) 19 ივნისი - 2 ივლისი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

ფრررر

ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი —
პარიზიდან ლონდონისკენ — ჟიდი
ლონდონიდან ბოსტონისკენ კაფკა
ბოსტონიდან — ცა ატლანტიკ-სიტის
არ დასტოვა მოუვლელი ქუჩა
ზოოპარკი თეატრი თუ ხიდი
ინახულა და გაიცნო ყველა
ვინც რამეს წერს — პატარაც და დიდიც
და შეიქმნა ყველა გადამფრენზე
ასნაირი ზღაპარი და მითი
ახლა — ყველა საიდანღაც მოდის
ან — მოსული — ისევ სადღაც მიდის
და არ ახსოვს უკვე აღარავის
ის — გრანელის საცოდავი ჩიტი
მე თუ მკითხავთ, ცოტას ყველა აფრენს
და ამიტომ — ცოტას ყველა იფრენს!
გადაფრენილ-გადმოფრენილების
შეგიძლიათ თქვენც გაეცნოთ ციფრებს
ফররর
ফররর
. . .
...ეგვიპტისკენ მივფრინავთ ხვალ მე და
საუკუნის ცრუ პოეტი — მეტა!

IV-V

სოსო მეშველიანი

ინტეგრაციული პრელუდია

„სიტყვისთვის ზოგჯერ აუცილებელია მუსიკა;
მუსიკა კი არაფერს საჭიროებს“.
ედვარდ გრიგი

ქინქლივით უნდა საკუთარი სისხლით გაბერო,
ყოველი სიტყვა, გასკდომამდე. გასკდება, მორჩა!
პრელუდიაა! გზატკეცილთან ლურჯი კაფე რომ
ქარით დატალღულ სიმინდების მინდვრიდან მოჩანს.

ჩამავალ მზეზე წყალსაცავის ლურჯად ლიცლიცი,
ფორთოხლის ბაღი — თავისთავად, სათბურიც მარწყვის.
პრელუდიაა! ვინც არ იცის, ანდა, ვინც იცის,
ასეა! ყოველ შემთხვევაში, არავის არ წყინს.

გიწევს აქ გავლა საღამოხანს ან დილის ხუთზე,
ლაპლაპებს აბრა შარაგზასთან „მატეო ბორხა“,
დგახარ, გაჰყურებ თვალუწვდენელ მინდვრებს და უცებ
ხვდები, თუ რატომ გავიწყდება, კუნძულზე რომ ხარ.

და არც ის გინდა, თვალსაწიერს გასცდნენ ფიქრები,
შორს, მარადმწვანე და მეჩხერი ტყეების იქით,
სადმე კლდეს შემსკდარ ზღვის ტალღებში არ აითქვიფონ.
დგას ლურჯი კაფე გზატკეცილთან, სადაც ყოველთვის
ასე პირდაპირ შეგიძლია ჭარხლის მინდვრიდან
აკუსტიკურ და დაბალ ჭერქვეშ რომ შეაბიჯო.

შეხვიდე, დაჯდე, გაიაზრო ბოლომდე ის, რომ
ამ სამყაროში ისეთივე უმნიშვნელო ხარ,
როგორც კალია მოქანავე ხორბლის თავთავზე
(ხან საკუთარი ნიჭი გბოჭავს, ხან უნიჭობა),
და რა აზრი აქვს, ამ ყველაფერს საიდან უმზერ,
ვიტრინიდან თუ გაჭვარტლული ქოხის ღრიჭოდან.

VIII

ჩვენი სამდღიანი თავგადასავალი დამთავრდა. დანარჩენი — ვნახოთ...

ლელა კოდალაშვილი

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის — „ცოცხალი წიგნები“ — ფარგლებში გამართული შემოქმედებითი ტურნე გარდაბანსა და კახეთის რაიონში.

4 ივნისი
თბილისი — გასვლა

დილაა. ბავშვებს კიდევ ერთხელ ვახსენებ უდედო, ქმარს კი — უცოლო ცხოვრების წესის შესახებ, მერე ბოლო ყლუპ ყავას ვსვამ და ფეხით ვეშვები სანაპიროს ქუჩისკენ. ჩემი კატა, ქითი, არსენას ქუჩამდე ყოვლად არაკატურ საქციელს სჩადის — ლეკვივით მომდევს. ასე შორს არასოდეს გამომკიდებია. წადი ახლა სახლში — ვეუბნები და თავზე ხელს ვუსვამ. კატაა, მართლა ძაღლი კი არ არის, რომ დამიჯეროს. იქვე სკუპდება, კუდს ირკალავს და ჯიუტი მზერით თვალებში შემომცქერის. თუმცა, სავარაუდოდ, გამოკიდებას აღარ აპირებს და მეც ნელ-ნელა ვშორდები.

კულტურის სამინისტროსთან ხუთი ცოცხალი წიგნი ვიკრიბებით — ვანო ჩხიკვაძე, ზაზა ბიბილაშვილი, ბესო ხვედელიძე, ლადო კილასონია და მე. პროექტის, ან, უფრო სწორად, აქციის ხელმძღვანელი, ქეთი დუმბაძე ფოტორეპორტიორობასაც ითავსებს. მისი მობილური ტელეფონის მეხსიერება დღეში რამდენჯერმე ივსება და ქეთი ფოტოებს გზადაგზა პერმანენტულად ტვირთავს ფეისბუქზე, ტელეფონში კი შლის, რომ ახალ ნაკადს გაუთავისუფლოს ადგილი. აქვეა მარიამ წიკლაურიც, რომელიც ამ ღონისძიების კურატორია და ყველა ტურს თან ახლავს. მისი ტელეფონიც პერმანენტულად მუშაობს, ოღონდ არა ფოტოებზე, არამედ შემოსულ ზარებზე. ჩვენ ამ დღეებში კახეთის რამდენიმე რაიონი გველოდება, უამრავი საორგანიზაციო მსხვილმან-წვრილმანია დასაზუსტებელი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სრულიად კახეთი აღმდგარა, ყველა საქმე გადაუდია და მარიამთან დარეკვას ცდილობს.

სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნებს, რომლებიც საჩუქრად მიგვაქვს, მანქანაში ვალაგებთ. მანანა დუმბაძეც აქაა და გვეხმარება. ისეთი ჭკუამხიარული კომპანია ვჩანვართ, გული სწყდება, რომ ჩვენთან ერთად არ მოდის. ვემშვიდობებით და გაიოზის მანქანაში ვსხდებით. გაიოზსაც აუცილებლად უნდა იცნობდეს ყველა — მას გადაჰყავს ცოცხალი წიგნები აგერ უკვე მეხუთედ და კიდევ ათი სხვა ჯგუფის წაყვანაც მას მოუწევს.

გარდაბანი —
ოლიმპიური ცეცხლი, ქალები და ჩვენ

გარდაბანში 12 საათზე გველიან. მიკროფონები გარეთ, კიბეების თავზე დაუმონტაჟებიათ. ფაციფუცი და ხმაურია. წამით ელდა გვეცა — ჩვენთვის ხომ არ დადგეს ეს მიკროფონები. ასეთ პოზიციაში მხოლოდ მიტინგს თუ ჩაატარებ, ან საზეიმო სიტყვით მიმართავ ერს...

ცხადია, ეს ფიქრი უსაფუძვლოა. სულ მალე თურმე ოლიმპიური ცეცხლი უნდა შემოიტანონ. მანამდე კი შიგნით, მყუდრო დარბაზში გველიან. ცოტა ხალხია. როგორც ჩანს, ან კულტურის სამსახურმა ვერ უზრუნველყო ინფორმაციის გავრცელება, ან, უბრალოდ, ვინც დაინტერესდა, სულ ეს არის. მერე რა. ორი კაცი იყოს და ისეთი, რომელსაც გულით აინტერესებს, აბა, რას წაგვიკითხავენ ქალაქიდან ჩამოსულებიო. ქეთი დუმბაძეს ოვაციებით ხვდებიან. აქაც და შემდეგ შეხვედრებზეც ასე იქნება. ალბათ, ძალიან უცნაური გრძნობაა ნოდარ დუმბაძის შვილობა. სადაც უნდა წახვიდე, მამის თანხლებას ვერ ივიწყებ. ყველგან შენთან ერთადაა და თითქოს შეგახსენებს, რომ ერთი წამითაც კი არ უნდა მოდუნდე. ემოციის დიდი დოზის ტარება უწევს ქეთის. ზედაპირული ადამიანი იტყვის — რა არის რთული მაშინ, როცა ყველასათვის საყვარელი მამის შვილი ხარ და მწვანეს გინთებენო... მაგრამ ეს მარტო ზედაპირულად ჩანს ასე. რეალურად კი ეს ბედნიერებასთან ერთად მისიაა, კრძალვაა, ჩრდილია და კიდევ ბევრი რამ, რაც არ ვიცი და რასაც ვერ ჩავწვდი...

მარიამმა პირველი ვანო ჩხიკვაძე წარადგინა. ბატონი ვანო რამდენიმე ლექსს კითხულობს და ჯდება. საერთოდ, დიდი ხანია, შევნიშნე ერთი უცნაურობა — პოეზია ცუდად იყიდება, მაგრამ კარგად ისმინება. პროზა კი კარგად იყიდება და ცუდად ისმინება. ჰოდა, ვფიქრობ, რა ჯანდაბა ვქნა. რა წავიკითხო, რომ შეკრებილი ოცდაათი თუ ორმოცი ქალისთვის საინტერესო იყოს... ქალისთვის... აქ ხომ მარტო ქალები არიან. ჰოდა, ქალებს სხვა რა დააინტერესებთ, თუ არა ქალური ამბები... ამის გაფიქრებაა და რადიკალურ გადაწყვეტილებას ვიღებ — პიესა, პიესა უნდა წავიკითხო. ეს ყველაზე მეტად მოეწონებათ. მარიამი ახლა ჩემს გვარს აცხადებს და მცირე შესავლის მერე ვიწყებ „დონორის“ კითხვას. ეს რამდენიმე წლის წინ დაწერილი პიესაა. პერსონაჟები 40 წლის ქალები არიან. ერთ-ერთ მათგანს შვილის ყოლა გადაუწყვეტია და არ იცის, ვინ შეიძლება გახდეს მისი ბავშვის მამა, რადგან ამ ქალს არც ქმარი ჰყავს და არც საყვარელი. დაქალები აგულიანებენ, რომ ეს წლები მისი ბოლო შანსია და ნაცნობებს შორის კანდიდატურებს ურჩევენ. დარბაზი აშკარად დაინტერესდა. მერე, შემდეგ შეხვედრებზე პიესა აღარ წამიკითხავს. მოთხრობებს ვკითხულობდი და ამგვარი დაინტერესება აღარ მიგრძვნია, როგორიც ამ მცირე დარბაზში. ქალები იმაშიც კი გამოტყდნენ, რომ არ კიცხავენ გოგოს, რომელიც უქმროდ გაჩენს შვილს. არ უწოდებენ ამ ბავშვს უკანონოს და, მით უმეტეს, ამ საშინელ სიტყვას — ნაბიჭვარს.

ჩემს მერე ზაზა ბიბილაშვილი კითხულობს ლექსებს. ამ პატარა დარბაზში მისი პოეზიის თაყვანისმცემელიც კი აღმოჩნდება. ახალგაზრდა პოეტ ბიჭს დანარჩენი ქალებიც აშკარად სიმპათიით უყურებენ.

ბესო ხვედელიძე არამხოლოდ მოთხრობას კითხულობს, მას საუბარიც ბევრი უწევს. ახლახანს დაბრუნდა კატმანდუდან, სადაც ორი დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა და მას დაზარალებული ადამიანების დახმარება უწევდა. სწორედ ამ ამბებს ჰყვება და თან ნეპალურ ეგზოტიკას აღწერს. ვუსმენ და ვფიქრობ — მე მგონი, ბესო მოარულ გიდად ქცეულა ამასობაში. ადრე უფრო სიტყვაძუნწი იყო ხოლმე. თან, რაც უნდა ჰკითხო, ბოლოს მაინც ნეპალურს გამოურევს რამეს. როგორ იცვლებიან ადამიანები. ამ შემთხვევაში ეს, ცხადია, სასიკეთო შეცვლაა...

ბოლოს ლადო კილასონიას ჯერიც დადგა. ის ცდილობს, უშუალო იყოს და დარბაზთან ცოცხალი დიალოგი გააბას. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ გამოსდის. რადგან აუდიტორია უშუალო და გულღიაა. ყველა კეთილად იღიმება და ყველას მოსწონს ლადო.

შეხვედრის დასასრულს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წარმომადგენლები გვთხოვენ, რომ მუზეუმს ვეწვიოთ. დრო უცებ გადავთვალეთ. 5-ზე საგარეჯოში უნდა მოვასწროთ შეხვედრაზე მისვლა. ესე იგი, ვასწრებთ. მუზეუმი ისეთია, ავ თვალს არ დაენახვება. ანუ, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ქვის ხანიდან დღემდე. აქვთ ახალი ნიმუშებიც. აქ რამდენიმე ოთახია და თითოეული თითო ხანგრძლივ პერიოდს ასახავს. გამოსულებს ყავაზე და ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ საგანგებოდ ჩვენთვის გამომცხვარ მარწყვის უგემრიელეს ნამცხვარზე გვიწვევენ. უარის თქმა შეუძლებელია და ჩვენც ნახევარი საათით ვყოვნდებით.

საგარეჯო —
მოულოდნელი შეხვედრა

მანქანასთან გვეგებებიან. ერთ-ერთი სახე ძალზე მეცნობა. ლელა! — შესძახებს ისიც გაოცებული. მე იმ წუთას სახელს ვერ ვიხსენებ, მაგრამ ხმა, გამომეტყველება, რაღაცნაირად ინტელიგენტური ღიმილი, ტუჩები, თვალები, დიქცია და კბილებიც კი ძალიან ნაცნობია. ნინო ქაიხოსროშვილი, აქაური კულტურის სამსახურის უფროსი, ჩემი უნივერსიტეტელი ამხანაგი მრჩება ხელთ. ვითვლით და... ოცდაშვიდი წელი მაინც არის გასული, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. ბანალური შენიშვნაა, მაგრამ ვერ გაექცევი, რომ ასე ხდება ხოლმე — გვფანტავს ცხოვრება და ისევ გვახვედრებს. ყოველ შემთხვევაში, ეს შეხვედრა ჩვენთვის სიურპრიზია.

აქ ბევრად მეტი ადამიანია შეკრებილი. რაც მთავარია, გენდერული თანასწორობა ამჯერად, ასე თუ ისე, დაცულია. თითოეული ჩვენგანი ცდილობს, წინა შეხვედრისგან განსხვავებული ტექსტები წაიკითხოს. ბატონი ვანო ამჯერად თავის „ჰიტს“ კითხულობს. ესაა ლექსი, რომელზეც კომპოზიტორმა ზურაბ მჟავიამ თავისი ცნობილი სიმღერა, „დეკემბერი, დეკემბერი“ დაწერა. ცხადია, ეს ყველასთვის სიურპრიზია. მე ამჯერად ქალების თემატიკით ვერ გავალ ფონს და ვირჩევ მოთხრობას, რომლის პერსონაჟიც მოზარდია. ყველა ყურადღებით ისმენს ამბავს იმ ბავშვის ბედზე, რომელიც მშობლებმა და-ძმებს მოსწყვიტეს და ბებიის სახლში გადაასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უფრო მოხერხებული იყო.

პროზაიკოსებს, ანუ როგორც მე მიყვარს ხოლმე თქმა, მეპროზეებს, ზაზას გარდა, მარიამიც წამოგვეშველა. მერე კი დამსწრეებისთვის პრიზები გაათამაშა — ჩვენი მაისური და სხვადასხვა მუსიკოსის დისკები. ცხადია, თბილისიდან წამოღებული კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნების და ჟურნალ „OK“-ს რამდენიმე შეკვრაც გაჩუქდა გარდაბანშიც, საგარეჯოშიც და ყველა იმ რაიონში, სადაც მერე მოგვიწია წასვლამ.

უმშვენიერეს და უდახუნძლულეს სუფრაზე გვიწვევენ. ქეთის იდეა, გზად, თბილისისკენ, მწვადები და კახური შოთები გვეჭამა, კონსერვდება და მასპინძელს მივყვებით. მოგვიანებით კი ისევ გაიოზის მანქანაში ვსხდებით. მე და მარიამი ჩავლილი დღის ანალიზს ვაკეთებთ. ჩემთვის ეს პირველი დღე იყო, მარიამისთვის კი მეხუთე ჯგუფია. მას და ქეთის ერთგვარი სტატისტიკური ინფორმაცია აქვთ მთელ ამ ვოიაჟებზე. მათი დაკვირვების არეალში ხან მწერლები არიან, ხან საქართველოს ესა თუ ის კუთხე, ხან კი კონკრეტული ადამიანები.

ათი საათისთვის უკვე თბილისში ვართ, რომ მეორე დილას უკვე ორი დღით დავტოვოთ თბილისი.

5 ივნისი
გურჯაანი — სტერეოტიპების მსხვრევის, სამშობლოსადმი ალტერნატიული გრძნობებისა და გაბრაზებული კაცის ამბავი

აქ ბიბლიოთეკის დარბაზში გვაქვს შეხვედრა. დღეს უკვე ნაკლებად დაძაბულები ვართ, რადგან, ასე თუ ისე, მოვითელეთ. ყველაფერი ჩვეული ფორმატით ვითარდება. შესავალი საუბარი ქეთის და მარიამის პრეროგატივაა. ამის მერე კი ჩვენ ვართ მიშვებული ჩვენს ნებაზე. თავად უნდა განვსაზღვროთ, რისი წაკითხვა სჯობს, რა უფრო დააინტერესებს ამ კონკრეტულ აუდიტორიას. დარბაზში ბევრი ადამიანია. აქაური პოეტებიც გვესწრებიან. ყველაფერი რიგზეა. ერთი ეგაა, ბესოს მოთხრობა, „სოუზაშვილების შეკრება“ ცოტა გრძელია. ჩვენ რა, მაგრამ ბესო კითხულობს და შუბლიდან ოფლის მდინარეები მოსდის. ცხვირსახოცს ცხვირსახოცზე ვაწვდით. უკვე მეშინია, მისი ერთი პერსონაჟივით წყლად არ გადაიქცეს, მაგრამ ვენტილატორს რთავენ, თან ტექსტიც ფინალს უახლოვდება და... მგონი, გადავრჩით... სამაგიეროდ, ლადო ვერ გადაურჩა ერთ დამსწრე მამაკაცს. მას ჯერ ჩემი სიტყვები არ მოეწონა, როცა მე სტერეოტიპების მსხვრევაზე ვისაუბრე. ახლა კი ლადოს საუბარი იმაზე, თუ ერთდროულად როგორ უყვარს და ეზიზღება სამშობლო. ცხადია, კილასონია ამას თავისებური რადიკალურობით აცხადებს და განმარტავს — თუ რატომ აყალიბებს ასე თავის ემოციურ დამოკიდებულებას სამშობლოს მიმართ, მაგრამ იმ კაცს აღარაფრის მოსმენა უნდა, გვემშვიდობება და დარბაზიდან გადის. არაფერია. ესეც დამოკიდებულებაა და მე პირადად გულწრფელი პროტესტი მირჩევნია ფარისევლურ ღიმილს. ჩვენი გამოსვლის მერე თავის ლექსებს ადგილობრივი პოეტი კითხულობს. სამომავლოდ აქაური პროზაიკოსის პრეზენტაციაზეც გვეპატიჟებიან, ბოლოს კი ყავაზე გვიწვევენ, მაგრამ მასპინძელს მადლობას ვუხდით და უარს ვეუბნებით, რადგან სხვა შეხვედრაზე მიგვეჩქარება — სანამ სიღნაღში წავალთ, ვაჩნაძიანში უნდა შევიაროთ და თემურ ჩხეტიანი ვნახოთ.

ჩხეტიანთან
ჩახუტება ვაჩნაძიანურად

არ გაგვიფრთხილებია და მოულოდნელი თავს დატყდომა სიურპრიზი იქნება მისთვის. თემოს ყველაზე ახლო მეგობარი ჩვენ შორის ბესო ხვედელიძეა. ზოგი კი მას ვირტუალიდან იცნობს და ახლა პირველად ნახავს რეალში. ჩვენ განსაკუთრებული მომენტი გვაქვს — ამ რამდენიმე ხნის წინ ფეისბუქზე რაღაცის გამო წავკინკლავდით და მას მერე უბრად ვართ. ახლა ვეწვევი და შევრიგდებით. როგორც იქნა, სახლს მივაგენით. გარედან ვეძახით. არ ესმის. ბესო მეორე სართულზე ადის და მეც მივყვები. კვლავ ეძახის. ბოლოს კარს შეაღებს. თემო კომპიუტერს უზის. ალბათ ფეისბუქშია და რაღაცას პოსტავს... ვერ აღვწერ იმ სიხარულს, რასაც ის განიცდის. ჯერ ბესოს იკრავს გულში. მერე ჩვენ ვეხუტებით ერთმანეთს. დანარჩენებიც რიგს იცავენ, რომ სათითაოდ ჩაეხუტონ ამ საყვარელ ადამიანს.

აბა, ის რა შერიგებაა, თუ ჯერ ცოტათი კიდევ არ წაკინკლავდი... ჰოდა, თემოც მომიბრუნდა — შენა კაცო, რატომ ხარ ასეთი ფიცხი, ჰა?

— მე ვარ ფიცხი, თუ შენ?! — ვპასუხობ. მოკლედ, საბოლოოდ ვადგენთ, რომ ორივე ფიცხები ვართ. გულაჩუყებულები სათითაოდ ვიღებთ ფოტოებს მასთან ერთად და უკვე საათებზე ვიყურებით, რომ

სიღნაღში არ დავიგვიანოთ. თემოს ვემშვიდობებით და პირველ სართულზე ვეშვებით. ბოლოს მე ჩამოვდივარ. თემო უკან მოგვყვება. ისე ვარ დაბნეული და აღელვებული, კაცი მეორე სართულიდან კიბით ქვემოთ ეშვება და ვეუბნები — თემო, ჩადი, არ ამოხვიდე-მეთქი. ზაზა ბიბილაშვილი რისი ზაზა ბიბილაშვილია, რომ ეს არ დააფიქსიროს და არ ჩაიხითხითოს. გარეთ გამოსულები და ვაჩნაძიანური მზისგან დასიცხულები თემოს მეზობლის თუთას შევესიეთ. ზოგიერთები, აქაოდა, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ვართო, პირდაპირ ტოტიდან ვიყრიდით ნაყოფს პირში. ბატონმა ვანომ კი ხელისგულიდან ერბოკვერცხი არა, მაგრამ გარეცხილი ნაყოფი გამოგვიწოდა.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, 2 წუთიც და სიღნაღის თეატრისკენ მივქრივართ. გზაში სულ თემოზე ვლაპარაკობთ.

სიღნაღი — ვინ იგებს ომს ქალების საზოგადოებაში

გზაში გვშივდება. ბატონი ვანო შოთებს ყიდულობს. ჰოდა, პურმა და ლადოს მოტანილმა მიწნულ-მოწნულმა სულგუნმა ცოტათი დაგვანაყრა. მარიამმა ნაყინიც იყიდა, მაგრამ რად გინდა, აღმოჩნდა, რომ მანქანაში მსხდომთა უმეტესობას ნაყინი არ გვიყვარს. ხალხი ვართ ჩვენ? ნაყინი რომ არ გეყვარება კაცს...

კულტურის სამსახურის უფროსი მანქანასთან შეგვეგება. ცოტა ადრეა და თეატრის ფოიე დავათვალიერეთ. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლების აფიშები მოგვხვდა თვალში. დარბაზში შევედით. სცენა განათებულია და პარტერი ჩაბნელებული. აი, სად უნდა წავიკითხო პიესა, პირდაპირ დეკორაციებიღა გვაკლია — ვფიქრობ და არ მახსოვს, მარიამს თუ ქეთის ვუზიარებ ამ აზრს. რას ამბობ, შეხედე, დარბაზში რამდენი ბავშვია — მეუბნება მარიამი თუ ქეთი. მართლაც, სიბნელეს თვალს ვაჩვევ და ვხედავ, რომ 9-10-დან 60-70 წლამდე მერყეობს დამსწრეთა ასაკი. ცხადია, უმეტესობა ქალები და გოგონები არიან. ვაიმე — ვფიქრობ. რა წავიკითხო, რომ ბავშვებმაც აღიქვან და დიდებმაც. აი, სად გამჭედა ჩემმა თემებმა — იქით ეროტიკა, აქეთ სუიციდი, მოღალატე ცოლები, კლიშეების მსხვრევა და ათასი რამ, რაც ახლა ნერვების მომშლელად მეჩვენება. ნეტავ, ერთი ჩუმი და უპრეტენზიო ლექსი მაინც მქონდეს მტრედზე, მოლაღურზე, ან, სულაც, სამშობლოს მთა-ბარზე... ჰმ... პოეტებს რა ენაღვლებათ. მით უფრო მათ, ვინც კონვენციურ ლექსებს წერენ, რაც ყველაზე კარგად ისმინება დარბაზიდან. მხსნელად მარიამი გვევლინება. მას ხომ საბავშვო კრებულებიც აქვს გამოცემული. კონფერანსიე მარიამიდან ის საბავშვო ავტორად გარდაისახება. დამხეცებული აქვს უკვე. საბოლოო ჯამში კი ყველა ვნახულობთ შესაბამის თემატიკას. მე ბავშვებთან უბრალოდ საუბარს ვარჩევ. მათ ჩემი მომავალი პიესის შესახებ ვუყვები, სადაც სკოლის ამბებია აღწერილი და ვთხოვ, თვითონაც გამიმხილონ რაღაც-რაღაც ამბები თავიანთი სასკოლო ცხოვრებიდან, მასწავლებელთან ურთიერთობიდან და ასე შემდეგ. ბავშვები ირცხვენენ. ვხვდები, რომ დარბაზში მათი პედაგოგებიც არიან და ყველანი ვიცინით. თუმცა კი, მაინც არაფერს მიმხელენ. სამაგიეროდ, ლადო კილასონიასთან იქცევიან უშუალოდ. ზოგს მისი მწერლობა მოსწონს და ზოგს კი ის, რომ რაგბისტია და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი. ზაზა ხომ საერთოდ, ჯერ სატრფიალო ლექსებს კითხულობს, მერე მარიამი იმასაც ამხელს, რომ თურმე ვასიკო ოდიშვილის ტექსტების სცენარს ზაზა წერს და მოკლედ, ამით საბოლოოდ იგებს დამსწრეთა გულს... ბესოს ნეპალურ ლეგენდებზე აღარაფერს ვამბობ. მას ისე უყურებენ, თითქოს ომიდან დაბრუნებული მზეჭაბუკია. რა, არ არის ომიდან დაბრუნებული თუ რა....

არა რაა... ფაქტია — ქალების საზოგადოებაში მამაკაცები იგებენ ომს...

სიღნაღური ღამე

ესეც მეორე დღე... ამაღამ სასტუმროში ვრჩებით. დილით დედოფლისწყაროში უნდა შევხვდეთ საზოგადოებას. მანამდე კი, „პროტოკოლის“ მიხედვით, სრული უფლება გვაქვს, ავიწყვიტოთ. ამისათვის სიღნაღი სწორედ რომ შესაფერისია. არ ვიცი, აქაური განუმეორებელი არქიტექტონიკა გვაძლევს ასე ფიქრის საფუძველს, გეოგრაფიული აგებულება თუ, უბრალოდ, ჩვენი განრიგი. სასტუმროში მივდივართ, რადგან ძალიან გვშია. პატარა, ოჯახური სასტუმროა, შინაურული და მყუდრო. ჩანთებს ნომრებში ვყრით და ამასობაში დიასახლისი სადილზე, ან, უფრო სწორად, ვახშამზე გვეძახის. ყველაფერი გემრიელია. ერთმა ხელადა რქაწითელმა ხომ საერთოდ, როგორც იტყვიან, დაგვხატა. ნელ-ნელა შეღამდა. გასეირნება და დათვალიერება ვერ მოვასწარით, მაგრამ არც ახლაა გვიანი. მით უმეტეს, რომ ეს ერთი ხელადა ღვინო ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი ჩვენი ბოლომდე აწყვეტისათვის. ისე, ამ „აწყვეტა აწყვეტას“ რომ გავიძახი, ნეტავ, ვინ რას იგულისხმებდა ამ სიტყვის მიღმა. აი, მითხარით, როგორ შეიძლება, აიწყვიტოს რამდენიმე შუა ასაკის ქალმა და კაცმა და ერთმა ოცდაათი წლის ყმაწვილმა? კარგი, ეს ყმაწვილი სიღნაღელების ახალ ბიზნესს დააგემოვნებს — კვადროციკლზე დაჯდება და ერთ წრეს დაარტყამს. მაგრამ დანარჩენები ისევ გართობის ტრადიციულ ფორმას მივმართავთ — ალკოჰოლი და ღლაბუც-ხორხოცი ღამეულ ქალაქში. მოკლედ, შუა ხნის ხალხი-მეთქი და იმდენი ვიკისკისეთ, აშკარად გაოცებულია ამ თავაშვებულობით ჩვენი ახალგაზრდა და კდემამოსილი მიმტანი.

შუაღამისას კი ამ ყველაფერმა ჩვენი სასტუმროს აივანზე გადაინაცვლა. ბესო ხვედელიძემ კიდევ ერთი ბოთლი არაყი გაშანსა. ერთი ეგაა, ამასობაში მოგვშივდა და მე და ლადო სასადილო ოთახში შევდივართ, სადაც წეღან ვივახშმეთ. მკაფიოდ გვახსოვს, რომ კაი ბლომად საჭმელი დაგვრჩა. სამწუხაროდ, ყველაფერი ალაგებული და ადგილმიჩენილი დაგვხვდა და ჩვენც ოცდაოთხსაათიანი მაღაზიის საძებნელად გავდივართ. მალე ვაგნებთ. კარგა ბლომად საძაგელ ჩიფსებს ვყიდულობთ, თუმცა, იმ მომენტში პირადად მე კონსერვანტები, ემულგატორები, გამაფერადებლები და გემოს გამაძლიერებლები აღარ მახსენდება. ის კი არა, გზაზე აკიდებულ ძაღლსაც ვუყრი ცოტას, მაგრამ ის, როგორც ჩანს, ჩვენგან განსხვავებით, არ მიირთმევს ქიმიურ დანამატიან საკვებს. ვუერთდებით ჩვენს კომპანიას და ასე, ოთხის ნახევრამდე დასაძინებლად არ ვიშლებით.

6 ივნისი
დედოფლისწყარო — ბოლო ლიტერატურული შეტევა

გამაოგნებლად ბევრი ხალხი გვხვდება. უშველებელი დარბაზი გადავსებულია. ზუსტად არ ვიცი, რისი დამსახურებაა ეს. მოსახლეობის დაინტერესების? თუ კულტურის სამსახურის და ქალბატონი თამარის, ან ადგილობრივი ლიტერატორების — გიორგი ნატროშვილისა და ლევან ალავერდაშვილის, ან იქნებ აქაური გაზეთის რედაქტორის, ინგა შიოლაშვილის, რომელიც დაუსწრებლად ყველას გვიცნობს, რადგან მისი გერმანიაში მცხოვრები პოეტი დის, ირმა შიოლაშვილის ძველი კოლეგები ვართ...

ასეა თუ ისე, ბოლო ლიტერატურულ შეტევას ვახორციელებთ და კიდევ ერთხელ საუბრობს ქეთი დუმბაძე, მარიამ წიკლაური. შემდეგ ბატონი ვანო ჩხიკვაძე კიდევ ერთხელ კითხულობს ლექსებს, კიდევ ერთხელ ამბობს თავის ცნობილ „დეკემბერი დეკემბერის“ სტრიქონებს. დარბაზს ვაკვირდები. ქალებს მოულოდნელობისგან სახე უნათდებათ და მერე ჩურჩულით აყოლებენ სიტყვებს...

მე ისევ უბედურ დღეში ვარ, რადგან არ ვიცი, რა ტექსტი გამოდგება აქ. არჩევანს ერთ სათავგადასავლო მოთხრობაზე ვაჩერებ, თუმცა კი, იქაც მრავლადაა პიკანტური დეტალები, რომელსაც, არ ვიცი, როგორ შეხვდება აუდიტორია. წესით ამაზე არ უნდა ვფიქრობდე, მაგრამ ჩვენი აქციის მიზანი ის არის, რომ არ შევაჩეროთ მკითხველს ის, რაც ჩვენ მოგვწონს და რითაც თავს ვიწონებთ. არამედ შევთავაზოთ მათთვის საინტერესო ტექსტები, ჩვენდამი ნდობას რომ გაუჩენს, სამომავლოდ სხვა მწერლების გაცნობას რომ მოანდომებს, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოწერას რომ შეაძლებინებს...

სულგანაბულები მისმენენ. პიკანტურის გარდა, ცოტა არ იყოს, დამძაბავი და მძიმე სცენების აღწერის მერე, რომელიც ერთი 18 წლის გოგონას ღამეულ თავგადასავალს შეეხება, დარბაზს ვეკითხები, შეკითხვები ხომ არა გაქვთ-მეთქი. რა შეკითხვები, გამიწვრილდა გული, იგრე ვინ-ერვეულეო — ალალად მომიგო ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა.

ყურადღებით უსმენენ ზაზა ბიბილაშვილს და მარიამ წიკლაურს. მერე კი ბესოს მოთხრობას, ნეპალურ „ნამასტეს“ განმარტებას თუ სხვა ეგზოტიკურ ამბებს. ლადო, როგორც აუდიტორიის თინეიჯერული ნაწილის კერპი, მოთხრობას, ამბებს, შეკითხვებსა თუ პასუხებს — ყველაფერს ერთ მოკლე ფორმატში აქცევს და ბოლოს ქეთის სთხოვენ, რომ ისაუბროს მამის შესახებ. ქეთი ნოდარ დუმბაძის ჩანაწერების კრებულიდან კითხულობს რამდენიმე ჩანახატს. ბოლო ტექსტი გალაკტიონის შესახებაა. დარბაზიც და მეც ჩუმ-ჩუმად ცრემლებს ვიწმენდთ. ასეა, დიდ მწერალს სულ რაღაც ერთ აბზაცში შეუძლია, მძაფრი ემოციები გამოიწვიოს...

შეხვედრის მერე გვეუბნებიან, ახლა კი წავიხემსოთო. მე კი ვიცი, ქართველისგან ნათქვამი სიტყვა „წახემსება“ რასაც ნიშნავს და არც ვტყუვდები. მულტფილმი „ლურჯი მელია“ მახსენდება — უწყვეტ ნაკადად რომ მიაქვთ შემწვარ-მოხრაკული... ასეა ჩვენი „წახემსების“ საქმეც. ჩემ წინ ხმელ-ხმელი კახელი კაცი ზის — ბატონი ჯუმბერი. თუ სწორად მახსოვს, სამოცდათვრამეტის ვხდებიო, თქვა. ბოლომდე ცლიდა ღვინის ჭიქებს და ოდნავ, სულ ოდნავ თუ მოეკიდა ღვინო.

არა, რა. კახელებმა იციან, რამდენს გაუძლებენ. ამ კაცმაც იცის. ერთი ეგაა, ხანდახან წინ გადმოიხრება ხოლმე და უნდა, რომ ერთ აზრზე დამითანხმოს — მავანი და მავანი თანამედროვე უხამსი მწერლები რომ არიან და საკუთარ დედებზე უხამსობებს წერენ, აი, ისეთი მწერლები ღმერთმა გვაშოროსო. მე, აბა, რისი მე ვიქნები, თუ ამ კაცს შორიდან და მოვლითი გზებით არ ავუხსენი, რომ მწერალი სხვაა, პერსონაჟი სხვაა და შუა უზის დიდი ზღვარი. მომყავს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და სხვა ცნობილი მაგალითები, სადაც პერსონაჟი უმსგავსობას სჩადის და ეს მწერალს არ უნდა დაბრალდეს. ჯუმბერის გვერდით ლადო ზის და თვალებით მანიშნებს, რომ გაჩუმება სჯობს, მაგრამ მან, აბა, რა იცის, რომ მე გამოუსწორებელი უტოპისტი ვარ და ფარხმალს არასოდეს ვყრი. მოკლედ, მიუხედავად ბატონი ჯუმბერის ჩემ მიმართ სიმპათიისა, ის ამ აზრს არ იზიარებს და ნებართვას ითხოვს, თავის შეხედულებაზე დარჩეს. მე სუფრის ფორმატი არ მაძლევს საშუალებას, ეს კაცი გადმოვიბირო და ზაზა ბურჭულაძის მწერლობის მიმართ სიმპათიით განვაწყო. იქითა ფლანგზე თამადა, გიორგი ნატროშვილი კახეთის ისტორიის ფურცლებს ფრაგმენტებად ჰყვება. აქედან ლევან ალავერდაშვილი აძლევს ხმას, იქიდან კი ადგილობრივი მელექსე, გვარად წიკლაური.

ამ წიკლაურმა ჯერ ქეთი დუმბაძეს მიუძღვნა სატრფიალო ლექსი, მერე კი მე. მოკლედ, აშკარად იყო საფუძველი, ამ ორ დარბაისელ ქალს, ეჭვიანობის ნიადაგზე, ერთმანეთისთვის ჭიქაში საწამლავი ჩაგვეყარა, მაგრამ არც საწამლავი გვქონდა და თან, რაც მთავარია, ნატროშვილმა დაგვითანხმა, რომ მირზაანში კი არ წავსულიყავით, როგორც ეს მანამდე გვქონდა ჩაფიქრებული, არამედ ხორნაბუჯის ციხე დაგველაშქრა, რომლის მსგავს ძეგლს კახეთში იშვიათად ვნახავდით. ხორნაბუჯი დაახლოებით მესამე საუკუნის ძეგლია. ეს არის ერთ-ერთი პროვინციის, კამბეჩოვანის ცენტრი, ციხე-ქალაქი, რომლის ქონგურებზე დანთებული ცეცხლი აგებინებდა დედაქალაქს მტრის შემოსევის შესახებ.

გაიოზის მანქანამ გარკვეულ ადგილამდე მიგვიყვანა. მერე კი ფეხით გავაგრძელეთ გზა. მე წინ გავიჭერი და „ლბილს მდელოზედ“ წამოგორება მოვინდომე. ჩვენი თანმხლები ბიჭები — ლევან ალავერდაშვილი და გიორგი ნატროშვილი შეშფოთებულები მიქნევენ ხელებს, ადექიო. ვიფიქრე, ალბათ ჩემი გაციების ეშინიათ-მეთქი და ყური არ შევიბერტყე — თურმე სავსეა ეს მხარე გიურზებით და სანამ ადამიანები არ გაივლიან და არ აახმაურებენ მიდამოს, კენტად გზის გაკაფვა კბენითა და სულის გაფრთხობით შეიძლება, დამთავრდეს. ხორნაბუჯის ციხეზე ველური ბილიკი ადის. აღმოვაჩინე, რომ ჩემი ახალი ბოტასები სრიალებს და ასვლაზე უარს ვამბობ, მით უმეტეს, რომ წლების წინ ვარ ნამყოფი. დაბლა ვრჩები ლევანთან ერთად. მოლაშქრეები კარგა ხნის მერეღა ჩამოდიან დაქანცულები. ყველაზე საოცარი ის არის, რომ მარიამ წიკლაურმა ციხე მაღალქუსლიანი „საბოებით“ დალაშქრა. ამგვარ რეკორდს, ალბათ, ცალკე სტატუსი უნდა მიეცეს. ამასობაში, სანამ რეკორდსმენი და მისი ლაშქარი ზემოდან დაეშვებოდა, მე და ხვედელიძემ ჩვენს ჭკუაში საქმე წინ წავიგდეთ და ფეხით გავუყევით გზას. კარგა ხნის მერეღა წამოგვეწივნენ დანარჩენები. დედოფლისწყაროამდე მივედით, იქ ჩვენს მასპინძლებს დავემშვიდობეთ და უკვე შებინდებულზე გამოვაგრძელეთ გზა თბილისისკენ...

გზაში მანქანას ვტუმბავთ საწვავით და, ჩვეულებრივ გადმოვდივართ. კართან უშველებელი კოჭლი ძაღლი მხვდება და მორჩილად შემომყურებს. მე ბატონ ვანოს ვთხოვ, ცოტა ხნის წინათ ნაყიდი შოთის ნარჩენი მომცეს. ძაღლი ჰაერში იჭერს პურის ყუას. ცოტა ხანში კიდევ ორი პატარა ძაღლი მიახლოვდება — ცხადია, მათაც პური უნდათ. ამჯერად ბატონი ვანო ცდილობს, ისინიც დააპუროს, მაგრამ პირველი ძაღლი ყველას დაიფრენს და პურის ნაჭრებს ისაკუთრებს. დიდი ძალისხმევის ფასად ვუნაწილებთ საჭმელს სამართლიანად. მე გული მწყდება, რომ კოჭლი ძაღლი ასეთი მსუნაგი და ღორმუცელა აღმოჩნდა. ლადო, როგორც პროზაიკოსი და ფსიქოლოგიური წვდომების მოყვარული, „აღმოჩენას“ აკეთებს, რომ მე ყველას ყველაფერს ვუხსნი და კარგი იქნება, ახლა ამ ძაღლსაც ავუხსნა, ასე მოქცევა არ შეიძლება. მიდი, უთხარი, გაიგებსო — გადამეკიდა. მერე დამსწრეთ გაახსენა, როგორ ვუხსნიდი დედოფლისწყაროში ჯუმბერს ზაზა ბურჭულაძის პროზის სიკეთეს. მანამდე თურმე სამი წლის ბავშვებთან ვერლიბრზე მისაუბრია. ხომ არის გიორგი ბუნდოვანი, შოთა მეტამორფოზული, შენ კი ლელა შეუპოვარი ხარო, ამბობს... რას არ გაიგებ საკუთარ თავზე, მოკლედ...

ისევ ვსხდებით მანქანაში და ბოლო მონაკვეთებს გავდივართ თბილისამდე.

ვფიქრობ იმ ადამიანებზე, რომელთაც შევხვდით ამ სამი დღის მანძილზე. ისინი ფრთხილად, რუდუნებით გათვითცნობიერებას საჭიროებენ. ზედმეტად ნატიფადაა შესასრულებელი ის მწერლური თუ ინტელექტუალური მისია, რომელიც წამოვიწყეთ და რომლის გაგრძელებას სამომავლოდაც ვგეგმავთ. უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, რომ კი არ განვხიბლოთ, არამედ მოვაწონოთ ლიტერატურა. გავხადოთ ის მათი ცხოვრების ნორმა და ნაწილი.

გზის დასასრულს ლადო კილასონია კიდევ ერთხელ იმეორებს ერთი ცნობილი რუსული „პაპსავიკური“ ჰიტიდან სიტყვებს: „Í î âñ¸ êîãäà-í è áóäü êîí÷àåòñÿ“. არადა, მთელი სამი დღე ამ სიმღერას ღიღინებდა. რა შედევრებზე არ შევეცადე მის გადართვას, ბოლოს მაინც ამ მელოდიას მღეროდა ჯინაზე. ჰოდა, ახლა უკვე მიზანმიმართულად ამბობს ამ ტექსტს...

ვერც შეედავები... ჩვენი სამდღიანი ისტორია მართლაც დამთავრდა...

დანარჩენი — ვნახოთ...

წიგნიდან: სიყვარულის შავი ყუთი

* * *

იმედგადაწურული —
ვარ მეგრელი გურული!
მიყვარს ღვინო — კახური
და ატმები — გორული!
მიყვარს ჭაჭა — ფშავური,
ხინკალი — ხევსურული!
(იმედგადაწურული —
ვარ მეგრელი გურული)!
მიყვარს კარტის თამაში —
ხშირად ვარ გამურული!
(იმედგადაწურული —
ვარ მეგრელი გურული).
მიყვარს კურო! კორიდა! —
ჩვენს ენაზე — **კურული!**

(იმედგადაწურული —
ვარ მეგრელი გურული!).

საღღეგრძელო, რომელიც არ ვთქვი...

ტკივილი გაქვს — ეყოფა ას კაცს!
როგორ უძლებენ ამ ტკივილებს ასკეცს!
ყოფა მაინც ვერ გიტირა ყოფამ —
ვერ აკეთებს ყოფა შენგან ასკეტს...

ხედავს ბრიყვი შენსას მხოლოდ ფასადს!
თავის ჭკუით გყიდის ბრიყვის ფასად...
ვენაცვალე შენს ტკივილებს კაცურს —
რომ უძლებ და ისევ რჩები კაცად!

როგორ იცი? — ერთ მშვენიერ დღესო
ხომ ყველანი მოვადენთო ტკაცანს!
იმ ტკაცანსაც ვენაცვალე შენსას,
დიდო კაცო, დარჩენილო კაცად...
. . .
...იმ სუფრაზე, იმოდენა ხალხში
ვერაფერი რომ ვეღარ ვთქვი გუშინ —
სადღეგრძელოს მეც ვამბობდი, ოღონდ
ქებას შენსას ვჩურჩულებდი გულში...

* * *

— მიყვარს ცქერა ზეცის — უფრო მაინც მეცხრის!
მიყვარს გაზაფხულზე შემოფრენა მერცხლის!
მაქვს პატივისცემა მხოლოდ ჩემის — მეც ლის!
მიყვარს ფერი ცაზე გაელვებულ ცეცხლის!
მიყვარს ცქერა ქალის — მუდამ, ყველგან ცოცხლის!
მძულს — ხსენებაც თუნდა — ოცდაათი ვერცხლის!
მძულს ხელისუფლება — დაცემას რომ ვერ ცვლის...
მომწონს დამწიფება ატმის — თუნდაც მეწლის...
მებრალება, დღეში ვინც ვერ გადის ვერც ლის...

ახლაც — ცქერა ზეცის! — რა თქმა უნდა —
მეცხრის...
(გემოვნებას ჩემსას აწი რაღა შეცვლის)...

* * *

...ატრიალებს ამ ასო „ყ“-ს —
თავს იწონებს თავის „ყ“-თი!
ავიწყდება საიდუმლო —
სიყვარულის შავი ყუთი...
ხუთ კონტინენტს მოდებული —
აღარ ახსოვს გრძნობა ხუთი! —
ის ინტრიგაც ავიწყდება —
სიყვარულის შავი ყუთი...
ვინ — მტყუანი, ვინ — მართალი,
ზოგი — კარგი, ზოგი — ცუდი...
ვინ — მსხვერპლი და ვინ — ჯალათი
(სიყვარულის შავი ყუთი...).
ვისთვის — დილა, ვისთვის — ღამე.
ვისთვის — წელი. ვისთვის — წუთი...
მარად გაუხსნელი საქმე
(სიყვარულის შავი ყუთი)...
სულ კამათი, პოლემიკა.
გარჩევები. ღვინო. ლუდი...

...დაკარგული სამუდამოდ —
სიყვარულის შავი ყუთი...

83

— ეს რამდენი გიტირია!
ეს რამდენი გიცინია!
ეს რამდენი გიმღერია!
ეს რამდენი გიძინია!
ეს რამდენი გყვარებია!
ეს რამდენი გძულებია!
სიყვარული! სიძულვილი —
ეს რამდენი სულებია!
ეს რამდენი მოგიგია!
ეს რამდენი წაგიგია!
ეს რამდენი გრიპია და
ეს რა მწარე შაკიკია!
ეს რამდენი შეიჭამა!
ეს რამდენი დაილია!
ეს რამდენი ვაჟაა და
აკაკია და ილია!
ეს რამდენი საქაღალდე,
ეს რამდენი წიგნებია!
შენ რომ წახვალ, აქ ისინი
ნეტა როგორ იქნებიან!
სიმართლე ვთქვა? — ეს რა მოკლე
სიცოცხლე და ცხოვრებაა!
— მაგიერში იქ ბრწყინვალე,
უსასრულო ცხონებაა!
სული შენი მომავალში
გაგზავნილი ფაილია! —
უკვდავების წყაროს წყალი
არ იქნა, ვერ დაილია...

მეორედ მოსვლის უცნაური ფაქტი

გაცოცხლდა და წამოდგა და
ფეხზე წამოიმართა! —
საფიქრალი გაუჩინა
ამათაც და იმათაც!
ფავორიტთა რიცხვმა უცებ
ერთიათად იმატა! —
პრობლემები გაუჩინა
ამათაც და იმათაც!
თავი ისევ შეაყვარა
ამ ათასს და იმ ათასს! —
სადარდელი გაუჩინა
ამათაც და იმათაც!
ყველაფერში, რაც აბრალეს,
თავი წუთში იმართლა!
სინანული გაუჩინა
ამათაც და იმათაც!
დააცხრო და დაადუმა
ყველა ენაკვიმატა!
სინანული გაუჩინა
ამათაც და იმათაც!
ნაძირლებში, თახსირებში
ბრმა პანიკამ იმატა! —
შიში, ძრწოლა დაეუფლა
ამათაც და იმათაც!
დადუმდნენ და გაიპარნენ
ესენიც და ისინიც!

ვდგავართ ამის მომხრეები,
ვკისკისებთ და ვიცინით!

193...

აქეთ — სიცოცხლე! იქეთ — სიკვდილი! —
აქეთ — თარიღი! იქეთ — თარიღი! —
ორ თარიღს შორის მოქცეულია
ადამიანი — მსხვერპლი! ტარიგი!
არ იწყევლება? — როგორ არ იწყევ...
არ იგინება? — როგორ არ იგი... —
მაგრამ მთავრდება ერთი სიცოცხლე,
და არ არსებობს სხვა თადარიგი...

(ვაი, ტარიელ! ჩემო ტარიკო!
მარადიულო მსხვერპლო! ტარიგო!
შენ სურვილი გაქვს, იყო! სულ იყო!
მან გადაწყვიტა — იყო... არ იყო...)...

...შეწირულები სტანდარტს — ორ თარიღს —
აგერ — ჭაბუა... ეგერ — ოთარი...
ეგერ...
ეგერ...

!

— თავისუფლების ქარტია
ჩემთვის ლექსი და კარგია!
პარტია? — აპაპაპაპა! —
პაპაპაპაპა — პარტია! —
პარტია ვარდ-ყვავილებში
გართხმული ეკალ-ბარდია!
პარტია? — აპაპაპაპა —
პაპაპაპაპა-პარტია!

აქეთ-იქით...

შველის საქმეს იმედი? — მე მგონია, შველის...
შეპირისპირებები ახლისა და ძველის!
შეპირისპირებები მშრალისა და სველის!
შეპირისპირებები მოკლისა და გრძელის!
შეპირისპირებები ძუნწისა და ქველის!
შეპირისპირებები კისკისის და ხველის!
შეპირისპირებები მტრედისა და გველის!
შეპირისპირებები ცივისა და ცხელის!
შეპირისპირებები ბლუს და ღვთისმეტყველის!
კაცის — ერთგულისა და კაცის — გამყიდველის!
ქალის — უმადურის და ქალის — მადლობელის!
გამობერილ მუცლისა და წერწეტა წელის!
ყინულოვან მწვერვალის და კაშკაშა ველის!
ქონით წაშლილ ყელის და მოღერებულ ყელის!
იდიოტი კოჩობას და ანდრეი ბელის!
შეპირისპირებები ნაწილის და მთელის!
შეპირისპირებები ფეხისა და ხელის!
შეპირისპირებები ჩქარისა და ნელის!
ტიპის — მაწყევრისა და ტიპის — მომლოცველის!

...კიდევ რამდენს რამდენთან შედარება ელის...

დროზე ფიქრში დაკარგული დრო

დრო ისე ნელა გადის
დრო ისე ჩქარა გადის
საიდანა აქვს მაინც
ეს მოქნილობა კატის
ზოგჯერ სიმწარე შხამის
ზოგჯერაც სიტკბო ქადის
ხშირად უარი სასმელს
ხშირად — აღმძვრელი მადის
ზოგჯერ — ალერსის სახე
ზოგჯერ — სიმძლავრე თათის
დღეს ვერც ინძრევა თითქოს
ხვალ ისე ჩქარა დადის
დღეს მორწმუნეს გავს კეთილს
ხვალზეგ — ულმობელ სადისტს
არც დაიჯერებ — ზოგჯერ
ისეთ სიკეთეს ჩადის
წარსულს, მომავალს, აწმყოს —
ერთ გაუბზარავ მთლიანს —
ზოგიერთები — ეშმად,
სხვები — განგებად თვლიან
სალამი დროის ბრუნვას
მის უსასრულო ტრიალს
წარმავალს, მარადიულს
მოყვრიანსა და მტრიანს...
ღმერთს, ან ღმერთზედაც მაღალს —
ერთ გაუბზარავ მთლიანს...
. . .
სხედან სალი და თამო —
წლევანდელ სინაფს თლიან...

ლექსპრომტი მეტაპოეტს

არაფერი არა გვაქვს დღეს საერთო მეტაშენ —
რითმა მე და მეტაშენ
ფიქრი მე და მეტაშენ
სევდა მე და მეტაშენ
ვნება მე და მეტაშენ
დამიჯერე მოგინელებს შენ ამდენი მეტასტაზი
შეიძლება? — ცხოვრებაში ყველაფერი ნამეტანი

მეტი — ტყუილი
მეტი — ბლეფი
მეტი უაზრობა
მეტი — უმეცრება
მეტა — ერთი
მეტა — ორი
დაცემული მეტეორი
პოეტი და მეტყვილია?
აბნეული მეტყველება იწვევს თურმე მეტ ხველებას
ნუ გაუშვებ მეტ რაკეტას
მოერიდე მეტ რაკეტას —
არ დაეცეს მეტაპოეტს.

* * *

გაგვაჩინეს სიყვარულით,
დაგვანათლეს გრძნობა ხუთი!
...რა იცოდნენ, რომ არსებობს
სიყვარულის შავი ყუთი...

...დიდი ვარ თუ პატარა ვარ —
სულ ერთია, რაც ვარ, ვინც ვარ! —
უფლება მაქვს, თან სურვილიც —
თავი ჩემი ჯვარზე ვიცვა...

* * *

ბოლო სიზმარი და ბოლო ძილი
გამზადებული — ცრემლისთვის — შვილი
დაწამებული — სულ ბოლო ცილი
უკანასკნელად შეკრული ღილი
ღამედ ქცეული კაშკაში დილის
გრძნობ, სიცოცხლეში აღარ გაქვს წილი
ახლობლის ცრემლით გზადალოცვილი
თავზე გადგანან ცოლი და შვილი
გინთია თავთან სანთელი — ცვილი
...შემოდის კენტი
შემოდის წყვილი
...განაწილება ბინის და ვილის...
ვის რჩება შენი „რენო“ და „ზილი“
პანთეონამდე — თერთმეტი მილი
საფლავი — მიწა შეცვლილი სილით...
...უწმინდესისგან გზადალოცვილი —
ხარ საბოლოოდ სიკვდილის შვილი

აქაც და ყველგან
წინათ და მუდამ —
ყველას ფინალი — ესაა ძილი...

ექთანი... ეგ ტანი...

გზა დასრულდა... — კაცმა რომ თქვას,
შენ არცა ხარ ავად!
ხვალაც დახევ ღარიბ ანდერძს —
ჩამოწერილს შავად...
დაგპატიჟეს! მაგრამ იმათ ხბოს მწვადებს და მაჭარს
გირჩევნია — ის ექთანი
გისინჯავდეს მაჯას...
ეს სიცოცხლე — მშვენიერი...
ეს ცხოვრება — ფლიდი...
რა რას ჯობდა! — სიყვარული?
თუ — მსუბუქი ფლირტი...
აწყვეტილი თამაშები,
აწყვეტილი სმები...
უპარტიოს — გღალატობდნენ
პარტიული ძმები...

გირჩევნია საცოლეს და
საქორწილო ბეჭდებს —
მაჯას სულ ის გისინჯავდეს —
სასთუმალთან გეჯდეს...

აბდაუბდა სიყვარულის თემაზე

სიყვარული ჭლექია!
სიყვარული ცოფია!
უკურნელი სენია —
სიყვარულოფობია!
ის დრო არის — სიცოცხლეს
სიკვდილი რომ ჯობია!
ხოხობს დამიზნებული
გატენილი თოფია!
სიყვარული ცოფია!
სიყვარული — ჭლექია!
სანახევროდ — ბრძენია!
სანახევროდ — შლეგია!
ქალის გამტაცებელი
მეშარია ლეკია!
ხან ტკბილი გალობაა,
ხან — მწარე ელეგია!
სიყვარული — სნუკერი! —
ჩაუყრელი შარები!
აქეთ — თავხედები და
იქეთ — მეტიჩარები!
დღეს რომ კლერკის სკამია,
ხვალ — სამეფო ტახტია!
უფლის ხელმოწერილი —
უკვდავების **აქტია!**
სიყვარული მხედარი
და იმისი ცხენია!
ხან — ცნობილი ბრიყვია,
ხან — უცნობი გენია!
სიხარულით ეცვლება,
რაც ოდესმე ტკენია!
თურმე სხვისი ყოფილა —
რომ გეგონა, შენია...
შამპანურის წვეთია,
ციანმჟავას შხამია!
ხშირად — საუკუნეა,
ზოგჯერ — მხოლოდ წამია

ნაჩქარევს და ნამთვრალევს —
ზერელეს და ამორფულს —
გაბრაზებულს რატომღაც —
ბევრს ნუ მოსთხოვთ ამ ოპუსს...

ისევ სისხლის თემაზე...

— მარადიულის რეჟიმში
შრომობენ სისხლის ძარღვები!
მე რა ვქნა! საითაც წავა,
სისხლს მეც იქეთკენ წავყვები!
არასდროს დაურღვევიათ
თავის წესი და ადათი!
არ გიკვირთ? შვილიდან შვილში
როგორ იოლად გადადის!
ღონე არასდროს ელევა,
ფერსაც არასდროს არ იცვლის!
რა ხნის, რამდენი წლისაა —
მგონი თვითონაც არ იცის...

...გვინახავს ტყვიადახლილი
და ამიტომაც — დაღვრილი,
მაგრამ არასდროს არავის
უნახავს სისხლი დაღლილი...

მე ვადღეგრძელებ სისხლის თეთრ
და სისხლის წითელ ბურთულებს!
(და თქვენ გიტოვებთ ამ თემას —
ულამაზესს და ურთულესს...)...

P.S.
აღტაცებულს და ბედნიერს —
ვისმენ მსმენელის ათას ხმას! —
უფალს გადაუწყვეტია
ჩვენთვისაც სისხლის გადასხმა!

ალტერ ეგო

შეიძლება? შვილიშვილი —
ტარიელი, ტარიკო —
გახდეს ჩემი მესამე მე —
მეორე ალტერ ეგო!

ხშირად ვფიქრობ ფროიდივით,
ზოგჯერ ვფიქრობ იუნგივით!
ჩემს მეორე მეს კი არა —
მინდა დავუჯერო გივის...
წელან მეც, ავთანდილივით,
თავი **გავითავისწინე...**
არაფერი გამოვიდა —
არ იქნა, ვერ დავიძინე!

...ბოლოს შენც დაბერდები,
შენც გამოიფიტები! —
გიღალატებს გული და
გიღალატებს ფილტვები,
და შენც ჩაუღრმავდები
მაცთურ თეორემას,
და მაგ შენს „მეს“, ცხადია,
და შენს მეორე მეს...
და იტყვიან პოეტზე —
არ მომკვდარა ეგო! —
ის მოკვდაო! — მეორე,
მისი ალტერ ეგო...

ბოლო საახალწლო...

სიხარულს ველი ახალი წლიდან
შვილიშვილიდან, შვილიდან, რძლიდან,
ყველაფერს ვუძლებ, ყველაფერს ვიტან —
გაჩენილი ვარ რკინიდან, ქვიდან,
სუფსიდან,
მტკვრიდან
და არაგვიდან!
სხვისი არა გვშურს, არც არა გვინდა!
გამოსულები ჩვენი გენიდან,
ჩვენი გვარიდან და ჩვენი წრიდან,
უფრო მეტს ვივლით,
უფრო შორს წავალთ
ამ სანატრელი ახალი წლიდან!
სისხლი, დაღვრილი ათასი მტრიდან,
სამშობლომ დიდხანს აშრო და წრიტა...
სუყველაფერი იქნება კარგად
სწორედ დღეიდან — თხუთმეტი წლიდან!

გუშინწინ, გუშინ ცოტ-ცოტას ცრიდა,
გუშინ, გუშინწინ დროდადრო წვიმდა!
ცუდი იქნება? გათოვდეს სულაც,
მოვიდეს თოვლი ახალი წლიდან!

რას ვიბანავებ სუფსაში აწი —
ამოსული ვარ ბავშვობის წყლიდან!
...ყველაფრიდან ჩანს — მეც მალე გავალ
ჩემი გუნდიდან და ჩემი წრიდან...

25 მარტი. ოთხშაბათი. 2015

— რატომ უნდა ავყვე ამ საშინელ, ავ დღეს!
არ ჯობს? ვიწვე აგერ! რატომ უნდა ავდგე!
ყოველი დღე თითქმის ამ თამაშში მიწვევს!
რატომ უნდა ავდგე! მირჩევნია, ვიწვე!
ვერც გული მაქვს კარგად და ფეხებსაც ვიტკენ!
ვწევარ აგერ ჩემთვის! ფეხზე რატომ ვიდგე!
ყოველი დღე ასე არჩევანში მიწვევს! —
რომელი ჯობს — ავდგე?
თუ — მთელი დღე ვიწვე...

...ეს ჭადარი აგერ! — რა ჯობს — იწვეს? იდგეს?
ახლა იგი დგას? წევს? — მიდი, თვითონ კითხე...

ოდა

ათასად კაცი დაფასდა,
ასიათასად — ქალი! —
საცოლე. ცოლი. ცოლისდა,
სიდედრი. მული. რძალი...
ათასად კაცი დაფასდა,
ას მილიონად ქალი!
(სწორედ კაცებმა დახურეს
ეს დედამიწა ჩალით...).
ათასად კაცი დაფასდა,
ათ მილიარდად — ქალი!
ვნება — ათასი რენტგენი
სწორედ რიხტერის შკალით.
ხომ კაცისაზე გამძლეა
ქალის ხორცი და ძვალი!
ხომ კაცის მოგონილია
გადაუხდელი ვალი!
ხომ კაცის დაკარგულია
ცხინვალიც, გაგრაც, გალიც...
ხომ ქალის მოგონილია
ნარმა, ჟორჟეტი, შალი...
ხომ ახლაც ისევ წკრიალებს
თამარის მერნის ნალი...
(ეკა და ანა. ირინა.
მაია. თამო. სალი... —
ნაწილი ქალთა, რომელსაც
ქვია ოჯახის ქალი...)...
ისევ ცოლი და საცოლე,
ისევ სიდედრი, რძალი...
ყველა ვალს ისევ ისა ჯობს,
ქალისგან რომ გაქვს ვალი.
ანდა რა არის, კაცმა თქვას,
მოლოდინები ხვალის —
მოლოდინები ძვირფასი
და სანატრელი ქალის...
იმაზე მაინც ვერ მიხვდით? —
სულ კაცები რომ ვკალით...
რა იშვიათად ერია
იმ მოკლულებში ქალი...
მხოლოდ შემთხვევით ხვდებოდა
იმ მოკლულებში ქალი...
დღეს ჰერა შენ არ ახსენე?
შენ არ ახსენე დალი?
ქალი — ლხინი და მეჯლისი!
ქალი — მდიდრული ბალი!
...
ათასად კაცი დაფასდა!
ფასი ვინა თქვას ქალის...

ლექსპრომტი, შთაგონებული მურმანის შედევრით

— არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი —
ამ საწყალ დედამიწის მეტი არ გაგვაჩნია...
ჩვენ კი ურთიერთსიძულვილს და სისხლიან ომებს
სიყვარულად და
სიკეთედ და
სიბრძნედ გვაჩრიან...

თქმა თუ გავბედეთ, გვაცხადებენ სამშობლოს
მტრებად,
უხამსად სულში გვაფურთხებენ,
ენას გვაჭრიან...
...
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი —
ძვირფასი დედამიწის მეტი
არ გაგვაჩნია...

ალტერნატიული საქართველოს ამბები

ჯანდარამდე გზა რომ მქონდა

გურამ მეგრელიშვილი

აბა, თუ იცით, რას აკეთებს ადამიანი, როდესაც თვითმკვლელობას გადაწყვეტს? და რას აკეთებს ასეთი ადამიანი თუ ის მწერალია?

რამდენიმე რჩევა მინდა მივცე იმათ, ვისაც ზოგადადამიანური სიკეთეების აღარ სჯერა, ვისაც ჰგონია, რომ გამოსავალი აღარ არსებობს, ვინც ბევრჯერ იწვნია ტყუილის გემო: არ მოუსმინოთ პრისნერის მსგავს მუსიკოსებს, არ წაიკითხოთ კინგის დარი მწერლები და მოერიდეთ სასმელს, რომელიც თვითდუღილით არ მზადდება.

გადავწყვიტე, სახლ-კარი გამეყიდა, უძღები შვილის იგავი ხომ მხოლოდ მშობლისგან წასვლა არაა. შვილებისგან, ცოლისგან და, უმეტესად კი, საკუთარი თავებისგანაც მიდიან. უკან დასაბრუნებელი ერთი ლეპტაც თუ დაიტოვე კიდევ, წასვლა წასვლა ვერაფრით იქნება. თუ იცი, რომ სახლში საკუთარი სკამი მაინც გელოდება, აუცილებლად დაბრუნდები როდესმე და ეს დაბრუნება იქნება ყველაზე დიდი დაბრუნება შენს ცხოვრებაში.

მე საკუთარი თავიდან წასვლა რეკლამამ გადამაწყვეტინა. შვეიცარიაში არის ერთი სარეკლამო რგოლი, რომლის შინაარსიც სულ სხვა რამეს ამბობს, სულ სხვას კი გულისხმობს. სარეკლამო რგოლი კი ასეთია: ახალგაზრდა კაცი გადმოდის „ფერარიდან“ და შედის კეთილმოწყობილი სასტუმროს პენტჰაუსში, სადაც მას ნახევრადშიშველი გოგონა ელოდება საწოლში. ამას მოსდევს რამდენიმე კადრი, სადაც კაცის დაუვიწყარი თავგადასავლებია ასახული სიბერემდე (პერიოდულად კადრები აჩქარდება ხოლმე, დროდადრო უკანაც ეხვევა). აღმოჩნდება, რომ ამ კადრებს იგივე ახალგაზრდა კაცი უყურებს ტელევიზორში და ხელში გადამრთველი უჭირავს. ეკრანზე კი დიდი ასოებით ეწერება სლოგანი: შენ თავად ირჩევ როდის!

ალბათ, ბევრი ვერ მიხვდით, რაზეა ეს სარეკლამო რგოლი. ვეცდები, მოკლედ ავხსნა: ესაა ევთანაზიური ტურიზმის რეკლამა, რომელიც შვეიცარიაში ძალიან პოპულარულია.

ამ ტურიზმის მთელი მუღამი (ჩემი აზრით კი, ნაკლი) ისაა, რომ დამკვეთმა არ იცის, როდის მოკვდება. ის იხდის გარკვეულ თანხას და ამ თანხის საფასურად სთავაზობენ გართობისა და სიამოვნების უზარმაზარ სპექტრს. ერთ კონკრეტულ დროს კი ის მოკვდება. შეიძლება, ტურისტი მოკვდეს საწამლავით; შეიძლება, სასიკვდილო ინექციით; შეიძლება, ელექტროენერგიის დარტყმით და შეიძლება, კოკაინის გადამეტებული დოზითაც კი, მთავარია, რომ ის აუცილებლად მოკვდება.

უკვე ვთქვი, ეს ამ ევთანაზიური ტურიზმის ყველაზე დიდი ნაკლია-მეთქი. სინამდვილეში, ადამიანი ირჩევს მხოლოდ დროის დიდ ნაწილს და მას არ შეუძლია, თვალი გაუსწოროს სიკვდილს. მე გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის ევთანაზიური ტურიზმის ჩემეული ვარიანტი შემეთავაზებინა.

მაშ ასე, გავყიდე ყველაფერი, რაც მებადა. არ დამიტოვებია არც ერთი გროში ჩემი ოჯახისთვის. არ დამიტოვებია ანდერძი, სად, ვის მიერ უნდა დავმარხულიყავი და უბრალოდ წავედი. არ მიფიქრია შვილების აზრზე — რას იტყვიან, როცა გაიზრდებიან? რას ეტყვის დედა ჩემზე? რომ მამამ ყველაფერი გაუყიდა და უკანასკნელი ლაჩარივით გაიპარა? იქნებ პირიქით, ჩემგან უდიდესი გმირი შექმნას და შვილებს მოუყვეს, როგორ ჩაიდინა მათმა მშობელმა სიქველის უდიდესი აქტი? რა თქმა უნდა, მე ამ ამბებზე არ მიფიქრია, მე უკანასკნელი ლეპტა არ დავტოვე.

თანხა ბევრი არ გამოსულა, 70 000 დოლარი (წარმოვიდგინე ცოლის სახე, როდესაც ახალი მეპატრონეები მიადგებოდნენ და ბინის დაცლას მოსთხოვდნენ), მაგრამ იმისთვის, რასაც მე ვაპირებდი, სრულიად საკმარისი იყო. მე ჯანდარისკენ მივდიოდი.

მას შემდეგ, რაც ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზა შეიცვალა და ყველა კაზინომ, სათამაშო ბიზნესმა და სამეძაო სახლებმა ჯანდარის ტბის ირგვლივ მოიყარა თავი, საქართველოში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა. გაუთავებელი ლაპარაკი იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა პროსტიტუცია ლეგალური, ხოლო დაცულნი არიან თუ არა ჩვენი შვილები ონლაინ თამაშებისგან, შენყდა. არჩევანი განსაზღვრული და ნათელი გახდა — გინდა კაზინოში თამაში, სამეძაო სახლში გართობა ან სულაც უკანმოუხედავად წასვლა? ჯანდარამდე გზა გქონია — გზა კი საუკეთესოდ არის დაგებული.

ჯანდარამდე გზა მართლა საუკეთესოა. მაგალითად, თბილისის ახალშენიდან (რომელიც ლამისაა რუსთავს შეუერთდეს), ვთქვათ, „მამკოდის სუფთამდე“ მისასვლელად დაახლოებით ცხრა-თორმეტი წუთით მეტი უნდოდა ადამიანს, ვიდრე თბილისის მთავარი ფოსტის შენობიდან ჯანდარის ცენტრში მდგარ კაზინო „Tunnel“-ამდე. დეცენტრალიზაციის დაწყებისთანავე გზების გაფართოებაც მოხდა და ავტომაგისტრალებმა ქალაქებს შორის მანძილი თითქოს დაამოკლა კიდეც.

ჯანდარის „ოქროს ტაფობი“ გრანდიოზულად გაიხსნა. გახსნამდე კი სატელევიზიო პროპაგანდამ კარგად იმუშავა. ყველა არხზე დღეში თითო სიუჟეტი მაინც პროექტის ავ-კარგიანობაზე მსჯელობას ეთმობოდა. რა თქმა უნდა, ეს დაკვეთილი სიუჟეტები იყო (როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება. ვგულისხმობ არაპირდაპირ დაკვეთას, როცა კომპანიას რეკლამა მიაქვს არხზე, ეს უკანასკნელი კი სანაცვლოდ თემას ზევით სწევს), მაგრამ ინტერესი არც უამისოდ აკლდა საქართველოს აღმოსავლეთით წამოწყებულ „ოქროს ქალაქის“ მშენებლობას. თუ წლების წინ ჯანდარის დასახლება ხრიოკი და ლელიანის კატების ნავსაყუდელი იყო, ახლა ყველაზე ფხიზელი და განათებული ქალაქი გახდა საქართველოში. ჰავა (ქალაქში აკრძალული იყო ყველა სახის ტრანსპორტი ველოსიპედისა და ელექტრომობილების გარდა) ისედაც სუფთა და რბილი იყო და სპეციალური შემრევების წყალობით, რამდენიმე ღამეც კი სტუმარს ძილის გარეშე ცხოვრება თავისუფლად შეეძლო. თავდაპირველი ჩანაფიქრით, ჯანდარა C-ს ფორმის პატარა, სპეციფიკური განვითარების ქალაქი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით, ინვესტიციებმა იმატა და ქალაქი ჯერ O-ს ფორმის გახდა, შემდეგ კი ეს რკალი გაიზარდა და სამშრიანი დასახლება გაკეთდა, ამიტომაც იყო ქუჩები წრიული და არა — პერპენდიკულარული.

ქალაქის სამხრეთით, ძირითადად, სათამაშო სახლები, კაზინოები იყო განლაგებული, დასავლეთის მხარეს ბორდელები, აღმოსავლეთით რამდენიმე რესტორანი და ჩრდილოეთით ბანკები და ათიოდე წვრილი ოფისი, რომელთა მთავარ ფუნქციას, ძირითადად, უძრავი ქონების გაყიდვა-გაქირავება შეადგენდა.

ქალაქში არ არსებობდა რელიგიურ-საკულტო ნაგებობები (თუმცა ცალკეულ კაზინოებს სპეციალურად გამოყოფილი კუთხეები ჰქონდათ მუსლიმებისთვის, ქრისტიანებისთვის, ბუდისტებისთვის), არ იყო არც ერთი პროდუქტის მაღაზია, საგანმანათლებლო დანესებულება, თეატრი (იყო ორი კინოთეატრი), ბიბლიოთეკა ან წიგნის მაღაზია, მოედანი, ცირკი, დამკრძალავი ბიურო, მეტრო და ასე შემდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა ქალაქში მცხოვრებთა მხოლოდ 5-6%-ს თუ შეადგენდა და ისიც იმათ ხარჯზე, ვინც თავის დროზე სამეძაო სახლები გახსნა და ასე დაფუძნდა აქ. კერძო მესაკუთრეებიც კი ერიდებოდნენ ხანგრძლივად ჯანდარაზე ცხოვრებას ერთი მარტივი მიზეზის გამო — უძილობა ტანჯავდათ.

„ოქროს ტაფობში“ შესვლა სამი მხრიდან იყო შესაძლებელი: ჩრდილოეთით, აზერბაიჯანის მხრიდან, საავტომობილო გზა და რკინიგზა შემოდიოდა. აღმოსავლეთით, თბილისის მხრიდან, მიმსვლელთა ნაკადი შედიოდა, დასავლეთით კი პატარა სოფლის გზით ქვეყნის მთავარი ციხე — „ვერცხლის ტაფობი“. უერთდებოდა ქალაქს. „ვერცხლის ტაფობი“ იყო 5 ჰექტარზე გადაჭიმული უზარმაზარ შენობა-ნაგებობათა მთელი კომპლექსი, სადაც პატიმრები რამდენიმე ეტაპს გადიოდნენ: საშუალო ხარისხის დანაშაულიდან მძიმე და ძალიან მძიმე დანაშაულამდე, შესაბამისად, 4 კაციანი ოროთახიანი საკნებიდან ერთკაციან, 10 კვადრატული მეტრის საკნებამდე (მსუბუქი დამნაშავეები სასჯელს სხვა ციხეში იხდიდნენ). ციხის ტერიტორიაზევე იყო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფაბრიკები (სამხედრო ნაწილები სწორედ ამ სამოსით მარაგდებოდა), ქართული წარმოების პლანშეტების ქარხანა და ორი პროფესიული გადამზადების ცენტრი. პატიმრებს საკუთარი შრომით გარკვეული თანხის გამომუშავება და ოჯახის რჩენაც კი შეეძლოთ, შემსუბუქებული სასჯელისთვის კი ხშირად პრობაციონერთა დასახლებაში, სამხრეთ საქართველოში სახლდებოდნენ.

როგორც წესი, ჯანდარამდე სწორედ ამ გზით შევდიოდი ხოლმე. არ ვიცი, დაკვირვებიხართ თუ არა, მაგრამ ყველა ციხეს აქვს რაღაც იდუმალი, მისტიკური ენერგია, ჩაკეტილობის, მარტოობის ენერგია, რაც გარკვეულ ენერგეტიკულ მარაგს ატარებს და შორიდან მაცქერალი ლამის ერექციამდე მიყავს.

ქალაქში შესვლა უპრობლემოდ ხდებოდა, გამოსვლისას კი მცირე საბაჟო შემოწმებასავით გადიოდი. არ ვიცი, იყო ეს უსაფრთხოების თუ სხვა სახის კონტროლის ნორმები, მაგრამ ტურისტებს, როგორც წესი, ეს შემოწმება არასოდეს გაუპროტესტებიათ.

„ვერცხლის ტაფობიდან“ „ოქროს ტაფობამდე“ მისასვლელ გზაზე იდგა კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი ერთი სახლი, სადაც ჩემი ძველი ნაცნობი ძია მერე, იგივე „ვინსტონა“, ცხოვრობდა. „ვინსტონას“ უნახავად არც ერთი ჩემი ნაცნობი ქალაქში არ შევიდოდა, ეს ერთგვარი ტრადიციასავით იყო და ამას თავისი ისტორიაც ჰქონდა: წლების წინ, როცა ჯანდარაზე ჯერ კიდევ შიშველი ბუჩქებისა და ლელიანის მეტი არაფერი იყო, „ვინსტონა“ აქ ცხოვრობდა. ვისაც სანადიროდ ამ მიწებზე უვლია, ყველას ეცოდინებოდა ეს მარადერთი ასაკის კაცი, რომელიც მხოლოდ ერთი მარკის სიგარეტს ეწეოდა და ეწეოდა დაუზოგავად, ერთგვარი გაშმაგებითაც კი, თითქოს ყოველი ღერის ჩასუნთქვისას სიცოცხლის ბონუსი ეზრდებოდა.

„ვინსტონა“ სახლში არ დამხვდა, მაგრამ სახლში იყო „დიასახლისი“, როგორც მერე ეძახდა. ეს „დიასახლისი“ ერთი გაურკვეველი ასაკის (და წარმოიდგინეთ სიმაღლისაც კი) ქალი იყო. მე მას პირველი ნახვისას ბიორკი დავარქვი, რადგან ვერ დაადგენდი, რამდენი წლის იყო რეალურად. ისლანდიელი მომღერალივით წვრილი, შავი თვალები ჰქონდა და ძალიან არასასიამოვნო ენერგეტიკით იყო დატვირთული.

წლების წინ, როცა მერე გავიცანი, ერთ-ერთ სეზონზე, მასთან მისულს ეს „დიასახლისიც“ დამხვდა. ქალი გობელენების ქსოვით იყო დაკავებული, პარალელურად რაღაც ბალახებს ამზადებდა და ერექციის პრობლემების მქონე ადამიანებს ეხმარებოდა. როგორც მერე ამბობდა, სრულიად უფასოდ. მე უფასო მედიკამენტების არ მჯერა, არც ამდგარი სირის მჯერა, თუკი ეს ტვინიდან არ მოდის, ამიტომ „ბიორკის“ მიმართ მაინცდამაინც დადებითად ვერ განვეწყვე.

ქალს დედაქალაქში ძველმანების სამი დახლიც ქონდა. ანტიკვარული ნივთებით და მონეტებით ვაჭრობდა და გაბმული იყო ათას აღებ-მიცემობით მაქინაციებში. თავის დროზე ყიდდა ძველ, იშვიათ და უნიკალურ დაწერილ ხატებსაც, რის გამოც ერთი ხანობა დაჭერილიც კი ყოფილა. მერე „ვინსტონასთან“ დასახლდა და ჯანდარის ტბის გაშენებამდე მიწების ყიდვას მიჰყო ხელი. მაშინ, როდესაც სხვა მესაკუთრეებმა ინვესტორებს კაპიკებში მიჰყიდეს მიწები, „ბიორკმა“ გასხვისებაზე უარი თქვა და სწრაფად განვითარებად დასახლებაში გამოცდილი მეანკესესავით დაელოდა ნადავლს. ახლა იმ ბორდელებიდან, მის მიწაზე რომ იყო გაშენებული, შემოსავლის 3 % მის ანგარიშზე, ჯიბესა თუ მუთაქებში მიდიოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ვინსტონაც“ და ისიც ძველებურად ქოხმახში ცხოვრობდნენ და ერთი საზიარო „Ford“-ი ჰყავდათ, როგორც მაშინ, როცა მე გავიცანი ორივე.

დიდი სურვილი არც არასოდეს მქონია ამ ქალთან საუბრისა, ყველა ნახვაზე ცივად ვესალმებოდი და ზურგს დემონსტრაციულად შევაქცევდი ხოლმე, ახლა კი გველის დანახვაზე რომ კატა ღიზიანდება, ისე ავიჯაგრე და „ოქროს ტაფობში“ მეძავების უბნის მხრიდან შევედი.

მე, როგორც მეტნაკლებად პატიოსან ადამიანს, მეძავებში სიარული არასოდეს მიყვარდა, ცოლისთვისაც სულ ორჯერ მქონდა ნაღალატევი — პირველად ჩვენი მეორე შვილის დაბადების დღეს და მეორედ — ქორწინების თოთხმეტი წლის თავზე, როდესაც ხევსურეთში, კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესების გამო რამდენიმე დღით სასტუმრო „მუცო Marriot“-ში გამოკეტილმა სრულიად გაუაზრებელი და რამდენიმესაათიანი ფლირტი გავაბი ერთ ქართველ ქალბატონთან, ვინც სტომატოლოგთა ჯგუფთან ერთად რაღაც საერთაშორისო სემინარებს ესწრებოდა მუცოში. ჩემთვის ღალატის ფაქტი რაღაც აქცია, დემონსტრაცია ან პერფორმანსი უფრო იყო, ვიდრე გართობისა და სიამოვნების მიღების კლასიკური საშუალება, რადგან ჩემნაირი კაცებისთვის მთავარი პარტნიორის ყოლაა და არა პარტნიორთა ცვლა. მე და ჩემნაირები თუ ცოლს ვუღალატებთ, ეს უფრო საკუთარი მეს გაბრძოლების და სიამაყის დამტკიცების მორიგი მცდელობა უფროა, ვიდრე „მრუშობა“, როგორც ოჯახს გარე ურთიერთობის კლასიკური მაგალითი. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თვითმკვლელობის ფაქტით ისევ გარკვეულ პერფორმანსს ვატარებდი, არავითარი სურვილი გამჩენია, რომელიმე „კეთილი ქალების სახლში“ (როგორც აქაურ ბორდელებს ეძახდნენ) შემეარა. მშვიდად ჩავუარე ნარინჯისფერ ვიტრინებს და კაზინოებისაკენ წავედი.

არ მჯერა თეორიისა, თითქოს თამაშის დაუოკებელი სურვილი სქესობრივი სისუსტის მქონე არასრულფასოვან ადამიანებს აქვთ (იგივეს ამბობენ ბანკირებზეც და სხვადასხვა ტიპის კოლექციონერებზეც), რადგან თამაშშიც რამდენიმე სახის თამაშის გამოყოფა შეიძლება: თამაში გამდიდრებისათვის, თამაში მოგებისთვის და თამაში, როგორც ცხოვრების ფილოსოფია. პირველ ორს იქნებ მართლაც ჰქონდეს საერთო სუბლიმირებულ და რეცესიულ იმპოტენციასთან, არასრულყოფილების კომპლექსებთან და ნერვულ აშლილობებთან, მაგრამ თამაშის მესამე სახე ნამდვილად სხვა განზომილებაა. ვისაც ერთხელ მაინც უთამაშია რამდენიმე ღამე გადაბმულად, დამეთანხმება, რომ დგება მომენტი, როდესაც წაგება უფრო დიდ სიამოვნებას განიჭებს, ვიდრე მოგება. ეს არის ნამი, როდესაც ბორბლის ტრიალი მსუბუქ თავბრუსხვევას იწვევს შენში, პირში თაფლის გემოს გრძნობ, ირგვლივ კი მოცვის სუნი დგება, დაახლოებით მსგავსი შეგრძნებები ეუფლება ადამიანს ეპილეფსიური შეტევისას. თამაშის ფილოსოფიას განვითარების და დაცემის რამდენიმეეტაპიანი საფეხური აქვს, როდესაც შეიძლება, სრულიად გასხივოსნდე კიდეც და ქვესკნელს იქითაც დაეშვა. ამბობენ, რომ ეს საფეხურები სულ შვიდია და მეშვიდე საფეხურზე მყოფ მოთამაშეს (იგულისხმება კიბის თავი და არა ბოლო, რადგან 7 საფეხური აქვს დაცემასაც) შეუძლია, მოიგოს იმდენი თანხა, რამდენიც მოესურვება, თუმცა ის იწყებს მოგებას არა ფულის, არამედ კონტროლის გამო — საკუთარი თავისა და გარემოცვის კონტროლისა.

თითოეულ საფეხურზე ასვლას წლები და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება. ეს შრომა შეიძლება, შევადაროთ ბუდისტი ბერის მარხვას, ქრისტიანი ბერის ლოცვას ან მუსლიმი სუფიის საკუთარ თავში ჩაკეტვისკენ თავდაუზოგავ მისწრაფებას. ასეთი ტიპის მოთამაშე განვითარების გარკვეულ ეტაპზე იწყებს არა გონებით, არამედ გრძნობებით თამაშს, მისი თითოეული ფსონი დამოკიდებულია გულისცემის სიხშირეზე (ჯერ საკუთარი, შემდეგ კრუპიეს), სუნთქვის დინამიკასა და, რაც მთავარია, მინდობაზე, სრულყოფილად მინდობაზე. ასეთ დროს მოთამაშე გადადის სრულ ტრანსში და თუკი ის ჭეშმარიტი ოსტატია, ბორბალი ტრიალებს სწორედ მისი აზრების ირგვლივ და არა თავისთავად. თავის მოტყუება გამომივა, რომ ვთქვა, ოსტატი ვიყავი-მეთქი, მაგრამ კაზინოებში ჩემი დანახვა განსაკუთრებულ აღტაცებას არასოდეს იწვევდა — განსაკუთრებით, ჯანდარის „ოქროს ტაფობში“, საიდანაც ყოველ უიქენდზე ხუთი-შვიდი ათასი ლარით მდიდარი ვბრუნდებოდი ხოლმე დედაქალაქში.

დიდად დასამალი არაა, რომ მწერლობა არსებობის მისაბაძი საშუალება მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც არასოდეს ყოფილა. რამდენიმე მილიონერ მწერალს თუ არ ჩავთვლით (ჯეიმს პატერსონი, სტივენ კინგი, ჯოან კოლინზი და ასე შემდეგ), ამ პროფესიის ყველაზე ღირსეული წარმომადგენლებიც კი თავს სხვა დარგში მუშაობით (როგორც, მაგალითად ბეგბედერი სარეკლამო სცენარების წერით, ბილ ო რაილი — პოლიტიკური ტელემიმომხილველობით, დათო ქართველიშვილი — ქართული რესტორნების ქსელით ამერიკაში და ასე შემდეგ) ირჩენენ და ირჩენდნენ. ლიტერატურით ფულის შოვნა განსაკუთრებული ფუფუნებაა მას შემდეგ, რაც ტელევიზორი გამოიგონეს. ჩემი, როგორც ავტორის საშუალო შემოსავალი წელიწადში 12 000 ლარს არასოდეს ასცდენია, მაგრამ თამაშით იმდენ ფულს ვშოულობდი, რომ წელიწადში ორჯერ ცოლისა და ორი ქალიშვილის რომელიმე უცხო ქვეყნის დასათვალიერებლად წაყვანა თავისუფლად შემეძლო.

ჩემი ცოლი საქართველოში ყველაზე დიდი სუპერმარკეტების ქსელის „ჩარგლის“ ბუღალტერი იყო. სტანდარტული ბუღალტერებისგან განსხვავებით, ძალიან რბილი და მზრუნველი ხასიათით გამოირჩეოდა. ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე ურთიერთობაში პრობლემა გვქონოდა ან ჩვენი ოჯახი დანგრევის საფრთხის ქვეშ დამდგარიყო, მაგრამ, როგორც მწერალთა უმეტესობას, მეც მქონდა ჩემი მიკროსამყარო, სადაც ხშირად ვიმალებოდი და ეს თვითიზოლაცია ყოველი შვილის დაბადების მერე სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდებოდა. ცნობილმა ქართველმა ფილოსოფოსმა, ლევან გიგინეიშვილმა მითხრა ერთხელ (არ ვიცი, პერიფრაზია თუ მას ეკუთვნის იდეაც), რომ ფილოსოფოსობა, მწერლობა და განდეგილობა მაღალ მატერიებზე ფიქრი, წერა და კელიაში დაყუდება კი არა, მარტოობასთან მუდმივი შეგუებაა (თუ რაღაც ამდაგვარი). მე მარტოობის გარეშე ყოფნასთან მიჭირდა შეგუება და ვფიქრობ, გადაწყვეტილება, რომლითაც ჯანდარამდე მივედი, სწორედ აქედან იღებდა სათავეს.

სასტუმროს, სადაც ყოველ ჩამოსვლაზე ვჩერდებოდი, გვერდით ჩავუარე. მომსახურე პერსონალს ახლოს ვიცნობდი და სიკვდილის წინ ზედმეტი ფამილარობა ნამდვილად არ მსურდა, ქალაქის განაპირას მდგომ პატარა სასტუმროს მივადექი. სასტუმრო „პაულო“ კლასიკური ტიპის სამოცდახუთადგილიანი სასტუმრო იყო, საკუთარი მცირე ბარით, ტრადიციული ქართული, და ზოგადად, კავკასიური მენიუთი და მომსახურების სამვარსკვლავიანი დონით. ასეთი ტიპის სასტუმროებში, როგორც წესი, ძირითადად ის მოთამაშეები ჩერდებოდნენ ხოლმე, ვინც ჯანდარაში პირველად ჩამოდიოდა ან ბრუნდებოდა რევანშის ასაღებად, რადგან ფასები ზომიერი, გარემო კი ზედმეტად მშვიდი იყო. როდესაც ადმინისტრატორმა ნომერი დამათვალიერებინა, ცოტა ვინანე კიდეც, რომ უკეთესი სასტუმრო არ ავარჩიე თვითმკვლელობისთვის, ბოლოსდაბოლოს, ადამიანი ერთხელ იკლავს თავს და რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს იარაღი და კომფორტი, თუ ამის საშუალება არსებობს?

უცბად გავბრაზდი კიდეც, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობდა შვეიცარიის ტიპის ევთანაზიური დასვენების სერვისი. იხდი ფულს და ცხოვრობ მეფესავით ერთი დღე, შეიძლება, ერთი წელიც. კაცმა არ იცის, სასტუმროს ადმინისტრატორი როდის ჩაგიყრის საწამლავს დილის ყავაში, ან შენი პარტნიორი ბოულინგ კლუბში როდის დაგახლის ტყვიას შუბლში. ინექციით როდის გადახვალ მიღმიერში ან გულის უკმარისობას როდის დაგმართებს ქალი ან კაცი (გააჩნია არჩევანს) საწოლში. რაც იყო, ეგ იყო. წუწუნისთვის ბოლო წუთების დაკარგვა არ ღირდა. ხელბარგი არც ამომილაგებია, კოხტად მივაწყვე ფეხსაცმელი საწოლთან და ერთი საათი წავუძინე.

ჩინებულ ხასიათზე გამეღვიძა. კაზინო „ორმაგ A“-ში მაგიდა დავჯავშნე და წასაგებად წავედი.

გამიგია, მსახიობები სცენაზე, სპორტსმენები მოედანზე, საყვარლები სარეცელზე და სასულიერო პირები საკურთხეველთან სიკვდილს ნატრობენო. ჩემი ოცნება ბორბალთან სულის ამოხდომა იყო. რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი ნეტარება, როცა მაგიდასთან ზიხარ და წარმოსახულ ოსტატებს ეთამაშები. რეალურ სამყაროში შენ აგებ, მიღმიერში კი იგებ და პირიქით. გადიხარ მიწიერი სივრციდან და იქვე რჩები. რომ ვთქვა, წიგნის წარდგინებაზე სიკვდილი მინატრია-მეთქი, მოვიტყუები. ალბათ არც არასოდეს ვყოფილვარ ნამდვილი მწერალი. აი, მოთამაშე კი...

კაზინოში დიდი აღტაცებით არ დამხვედრიან. არავის უყვარს ჩემნაირი მოთამაშე. ჩემნაირები მოგებულ ფულს უკან არასოდეს ვაბრუნებთ, თუ წაგებაა, ისეთ კაზინოში ვაგებთ ხოლმე, სადაც ჯერ არ მოგვიგია. დღის ადმინისტრატორი კართან დამხვდა და ყალბი ღიმილით მაგიდისკენ წამიძღვა. „ორმაგი A“ „ოქროს ტაფობში“ ზომით მესამე კაზინო იყო. „არაქსში“ არ მიშვებდნენ (მიზეზი ჩხუბი იყო, სინამდვილეში თავიდან მომიშორეს), „თეთრი მელა“ კი არ მიყვარდა.

თამაში თავიდანვე არ წამივიდა. არ ვიცი, დავითარსე თუ „ბიორკმა“ გამთვალა, უაზროდ ვიგებდი. საკმარისი იყო წითელზე დამედო, წითელი ამოდიოდა, 43-ზე და, 43 ამოდიოდა, ზეროზე — ზერო. რამდენიმე წუთში ჩემ მაგიდასთან სეირის მაყურებლები გაჩნდნენ და ყურადღებით უყურებდნენ, როგორ იცვლებოდა მაგიდასთან მესამე კრუპიე. მე უგერგილოდ ვთამაშობდი, წამითაც კი არ გადავსულვარ ტრანსში, გადაჩურჩულებები კონცენტრაციის უნარს სრულიად მაკარგვინებდა. ასეთ დროს უმჯობესია, მუსიკა ბოლო ხმაზე იყოს ჩართული და გვერდით მჯდომი კაცი დედას იგინებოდეს. ასეთ ხმაურს ყურადღებას არც მიაქცევ, აი, ჩურჩული კი...

არც მახსოვს, იმ საღამოს რამდენი მოვიგე. თანხას ვაორმაგებდი და ვიგებდი. მაყურებლები ჩემს ირგვლივ მარაოსავით ფარფატებდნენ. ყველას სურდა დაენახა იღბლიანი, ვინც მთელი საღამოს განმავლობაში ერთ თეთრსაც არ აგებდა.

არ ვიცი, წაგიკითხავთ აფხაზი მწერლის, მიხეილ ლაკერბაის ერთი მოთხრობა, ქართველი თავადი ბოლო გროშით კაზინოში რომ შედის და ბევრ ფულს იგებს?! იცის, სახლში მისულს ცალკე დიასახლისი დახვდება ცოცხით ხელში, ვალი დამიბრუნეო, ცალკე თანამებინადრე, საჭმლის ყიდვის შენი ჯერიაო, ეს კი აფხაზურად, ამაყად — მომსახურე ბიჭს, ვისკი რომ მოაქვს მაგიდასთან, მთელ მონაგებს ლანგარზე დაუყრის — და ეტყვის: „გარსონ, პრენე!“ რატომღაც ეს გარსონ პრენე გამახსენდა მაშინაც. ჩემ წინ დახვავებულ „ფიშკებს“ ხელი მოვუსვი და სახეალეწილ კრუპიეს (ვისაც წაგებების გამო, ალბათ, ძალიან მოხვდებოდა) სწორედ ეს ორი სიტყვა ვუთხარი „გარსონ, პრენე!“ კრუპიე ვერაფერს მიხვდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ფიშკები ხელით მისკენ მივაცურე და მშვიდად ვუთხარი: „აიღე!“ კრუპიემ თვალი კამერებისკენ გააპარა და ვიცი, რასაც იფიქრებდა, ადმინისტრაციის უსაფრთხოების სამსახური ამ ფულს ყელში ამოადენდა. შემეძლო, დამეხურდავებინა და მის საბანკო ანგარიშზე დამესვა მთელი თანხა ან პირდაპირ ფული მიმეცა ხელში, მაგრამ მე ხომ სიკეთის გაკეთებაზე არ მიფიქრია, არაცნობიერში წამოტივტივებულ პირველივე ფრაზას გავყევი და საქმეში გადმოვიტანე.

მთელი მონაგები მაგიდაზე დავტოვე და სათამაშო აპარატების ოთახში შევედი. არაფერი მძულს იმაზე მეტად, ვიდრე ეს სათამაშო აპარატებია. სათამაშო აპარატი სილიკონისმკერდიან ქალზე და სამოქტავიან ელექტროპიანინოზე დაკრულ ბახზე უარესია. სათამაშო აპარატი სუროგატულ ონლაინ კაზინოზე საშინელებაა, ამ ორს შორის იმაზე მეტი განსხვავებაა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის თამაშის ყურებას შორის ტელევიზორში თუ მოედანზე. სექსსა და ანანიზმს მეტი საერთო აქვს, ვიდრე ცოცხალ და ონლაინ კაზინოს ბორბალს თავისი გახევებული სახის კრუპიეთი და გაურკვეველი ხმებით დარბაზიდან. და მაინც, საყვარელ კაცზე გაბრაზებული ქალივით, ყველაზე მახინჯს რომ უწვება, რომ მერე საკუთარი თავისადმი ზიზღის შეგრძნებამ დანაშაულის განცდა, სიბრაზე და შურისძიების აუტანელი წყურვილი დაავიწყოს, სწორედ სათამაშო აპარატებთან გავჩერდი. საათს რომ დავხედე, შუაღამეს კიდევ თხუთმეტი წუთი აკლდა. გადავწყვიტე 00:08 ზე მომეკლა თავი. საშუალება შერჩეული მქონდა — როგორც კაცების უმრავლესობა, მეც იარაღით სიკვდილს ვარჩევდი, მაგრამ რაკი ცეცხლსასროლი იარაღი არ მქონდა, გადავწყვიტე, ვენების გრძივად გადაჭრის უმტკივნეულო ტრადიციული მეთოდით დამეძინა თბილ აბაზანაში.

აპარატმა პირველსავე ხუთ წუთში ყველა მონეტა ჩამიყლაპა ისე, რომ გროში არ მომიგია. რაღაც წამი მომეჩვენა კიდეც, რომ ენა გამომიყო და მარწყვები, მსხლები და ვაშლები გულწასული ადამიანივით ამოატრიალა. ახლა გაბრაზების დრო არ იყო. ასეთ დროს მსგავსი სისულელეებით ხასიათის წახდენა იმას ჰგავს, ქორწილის პირველ ღამეს დაზიანებული გაზის მრიცხველის გამო ინერვიულო. მთელი მონეტები, რაც მქონდა, საძაგელ აპარატს ხახაში ჩავტენე და წამოვდექი, რომ სასტუმროსკენ წავსულიყავი.

დარბაზში პატარა ბიჭს მოვკარი თვალი. ჯერ ჩემი შვილი მეგონა, მაგრამ გამახსენდა, რომ ბიჭი არ მყავდა. ბავშვი სამთვლიანი ველოსიპედით, დაბამბული ჭრელი ჯემპრეთი და საწყალი სახით დაგორავდა დარბაზში. გულმა ცუდი რამ მიგრძნო. როგორც ჩანს, ერთი ლეპტა მაინც დავტოვე სახლში. ბავშვები გამახსენდა. რამე ხომ არ დაემართათ? პირში თაფლის გემო ვიგრძენი და ირგვლივ მოცვის სუნი დადგა. ჭრელჯემპრეიან ბავშვს რამდენიმე სხვა ბიჭიც შეუერთდა და მალე დარბაზი ბავშვებით გაივსო. მთელი ტანი ოფლით დამისველდა. გასასვლელს ძლივს მივაგენი. გზაში ადმინისტრატორი დამეწია და რაღაცას მეუბნებოდა ყალბი ღიმილით. ხელი ვკარი და სასტუმროსკენ წავბარბაცდი. მისაღებში კაციშვილი არ იყო. გასაღები მოვისინჯე ჯიბეში და ნომერში ავაღწიე.

ჩემ ცოლს ნამტირალევი ხმა ჰქონდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სინამდვილეში გავაღვიძე.

ორჯერ გამიმეორა, დაბრუნდიო. ასე იცოდა ხოლმე პრობლემების მოგვარება, ვითომც აქ არაფერია. ვითომ მომდევნო კვირაში სახლიდან არ გაასახლებენ, ვითომ ოპერის წარმოდგენის დასაჯავშნი ბილეთების რიგს ვათანხმებდეთ. რა თქმა უნდა, იცოდა უბინაოდ რომ დავტოვე ყველანი. ისიც იცოდა, რომ თბილისიდან წამოღებული ფულიდან გროშიც კი აღარ დამრჩა, ალბათ, ჩემი გადაწყვეტილების შესახებაც ეცოდინებოდა, მაგრამ მაინც ორჯერ გამიმეორა — დაბრუნდი.

მოცვის სუნი უფრო მძაფრად ვიგრძენი, როცა ყურმილი დავკიდე. ყველანი კარგად იყვნენ. როგორც ჩანს, ყველას არ შეუძლია, საბოლოოდ წავიდეს მამის სახლიდან, ოჯახიდან, საკუთარი თავიდან.

ოთახში ისევ ის ბავშვი დავინახე, სამთვალა ველოსიპედით ხალიჩაზე დაგორავდა და გაყინული სახით მიყურებდა. ცივმა ოფლმა კიდევ ერთხელ დამასხა და აბაზანისკენ წავედი ტანის დასაბანად.

მეტად თავაზიანი პასუხი

„რა ამბავია ამდენი ქოხი და კვახის ყვავილი“
ანონიმური ავტორის კომენტარიდან

გამომრჩა: — კომბოსტოს ყვავილობა,
ოხრახუშის ნაწვიმარი ბაღი,
ლობიოს სარზე ჩამომჯდარი ნემსიყლაპია
(თუ ეს ვთქვი უკვე?).
კარგი! ვხუმრობ!
შევეშვათ ქოხმახს,
არც იმას ვიტყვი, როგორ მიყვარს კვახის ყვავილი,
არც სველი შამბით დამძიმებულ შარვლის ტოტებზე
არ დავძრავ კრინტს და...
იმაზე დავწერ, რაზეც ყველა,
შიშზე, რომელიც
ბრმა ციკლოპივით დააბიჯებს ღამის ქუჩებში,
ყნოსავს ლაჯებშუა მოქცეულ სახლებს,
არაფრად აგდებს ბრმებისათვის განკუთვნილ ბილიკს
და არც წრიპინა შუქნიშნების უაზრო წრიპინს.
„თავზარს მცემს შიში,
მკვდარს თვალებში როცა ვუყურებ“ —
თქვა ფედერიკომ.
რა თქმა უნდა, ეს ის შიშია,
ოთახის ქოთნის კაქტუსივით რომ გჩხვლეტს ძილშიაც.
რა მადრიგალი, პრელუდია, რა რომანსერო!
უკვე დამთავრდა ყველაფერი, ვწუხვარ, ასე რომ
დავემშვიდობე მოჩვენებებს, გაქრნენ, მორჩა და
გავთავისუფლდი ყველაფრისგან,
ვზივარ და ვწრუპავ,
ნელ-თბილ და ოდნავ პირმოკუმულ თხის რძის ორჩატას.

ადაჟიო

სანამ კაკლის გაბერილი კვირტები გასკდებიან,
სანამ ლოკოკინა გადაბობღდება ახავსებულ მესერზე—
მორიგეობით ახამხამე თვალები,
რომ რამე არ გამოგრჩეს.
სანამ ქათმები გადაქექავენ ბოსტანში ნაკელს
და ჯერაც ხარის ნაკვალევში წვიმის წყალი დგას —
იდექი ასე,
როგორც მუნკი მუნკის ტილოზე
უაზრო გამომეტყველებით,
თითქოს ვერ ხვდები;
ვერ ხვდები იმას —
რომ ისედაც არ გინდა მიხვდე.
რა უბრალოა „ცა მწყუროდა, მიწა მშიოდა“...
ისიც, რომ თურმე შენზე უკეთ ესმოდა რიხტერს
ფუტკრის ზუზუნი რომელიმე ადაჟიოდან.

ხარაბუზების ხშულ-მსკდომი და ბლაგვი ბგერები,
„ხოლო ხვთის სიტყვა ორლესულზე მკვეთრი და ბასრი“,
ვინ დამაჯერებს, ჩემზე უკეთ ნუთუ მათ ესმით...
გასწორდა წელში, დაიკვნესა და მიწით დასვრილ
კალთებს იფერთხავს დედაჩემი, ახლად დათესილ
ბოსტანში მდგარი.

ყველაზე მშობლიური

„ვაი ძმა მკვდარსა დებსაო“.
ბესიკ ხარანაული

ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ.
სამ ხმაზე —
ჩემი სევდიანი ქალების ტრიო.
მეოთხე — მხოლოდ შორეული კივილის ექო,
ჩემივე ხსოვნის ღრმა უფსკრულში დაგუბებული
და ისიც მხოლოდ ჩემს სიზმრებში დაქალებულის.
ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ
და შემიყვარებთ, მკვდარს, ცოცხალივით.
მერე რა, თუ კი ვერ მიხვდებით, სად როგორ შევწყდი.
ერთია...
„ზღმარტლის ლპობის ფერით ჩამომწიფება“,
სად თოვლით დახრილ დრეკად ტოტებზე
შუა ზამთარში ბეღურები ნაყოფს წიწკნიან.
კიდევ, ღამის ცა, მწიფე კენკრა, სათიბი მთაში,
დაღლილი გლეხის თვალები და თივის საწოლი.
სევდიან დღეთა მადრიგალი თუ რომანსერო,
რომელი ერთი,
არც არაფრით თავმოსაწონი...
ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ, ვიცი, ასე რომ
შორს დარჩა ფრანცის ბარკაროლა,
ზღვის ბნელი ყურე.
პატარა პორტი, ღამის ქარი, ჭრიალი ანძის.
ზღვის სიბნელიდან კვლავ მესეფის თვალი მიყურებს.
ზღვარს წაშლის, თუმცა სად წაუვა დარჩენილ მანძილს.
ხომ ვიცი, როგორ დამიტირებთ
და რა ძნელია,
ეს ყველაფერი, ასე ცოცხლად რომ მიდგას თვალწინ.

ტკივილი

დანით დასახიჩრებულ პოეტს,
რომელიც ორმოცი წელი ლოგინს იყო მიჯაჭვული

„სინათლის წამი ჯობს
ბნელეთის ათასწლეულებს“.
აფრასიონ აფრასიძე

ალბათ ჟანგდება სიტყვა „ტკივილი“,
ცივი და ბასრი
და როგორ ჰგავს იმ ციცქნა ლითონს,
კისრის ძვალში რომ ჩარჩენილა. არ იცი თვითონ,
სხვათა შორისაც, ვის მიმართო, ვის მიუთითო.
— იცოდეთ, საბანს თუ გადამხდით, კანიც გაყვება!..
გაპარვა მინდა საკუთარი არსებობიდან,
უკან მეწევა — ხმები. ასე რამ ააყეფა

ეს ქოფაკები, ვერ ჩაახშო თოვლმაც მათი ხმა,
ბნელში სულ უფრო მძიმდებიან ხელის თითები.
შენ, ლექსო, ალბათ, ერთადერთი ათინათი ხარ,
მე რომ ჩავქრები, იმ ადგილას შენ აინთები.

წერტილის დასმა

„Â ãåê ðàñïåãàé, êàê õî÷åòñÿ
Íàì — ëèáî óïðàçäíèì,
Â ãåê ñêîïèù — îäèíî÷åñòâà
—„ Õî÷ó ëåæàòü îäèí“ — Âçäîõ...“
მარინა ცვეტაევა

ქუჩები მეტად უღიმღამო. ეს ის ხედია,
წვიმით დაორთქლილ სარკმლიდან რომ ჩანს!
აქ საკუთარი თავიც ბევრჯერ შემზიზღებია,
რატომ? არ ვიცი! მძულდა და მორჩა.

თუნდაც დასასრულ... ამ გზის ბოლოში,
ვის ვეტყვი — „ანი რა ფეხებს მომჭამ“.
მეც ისე მინდა, როგორც ვოლოშინს,
ვიწვე სულ მარტო, ვიწვე და მორჩა.

რომ უპატრონო სასაფლაოდან
თან გაჰყვეს სევდა დარსა თუ ავდარს,
თქვან: — იქ ველური კამა ყვაოდა
და დასასრულიც დასაწყისს გავდა.

პირადი „პადრე“

„რელიგია — სხვადასხვა კარია
ერთი და იმავე სახლის. ხან მჯერა
ამ სახლის არსებობის — ხან არა“.
სტივ ჯობსი

აწვალებს ბეჭედს, ნერვიულად, თმიან და მსუქან
თითზე. რა მოხდა!
საგანგაშო რაა მაგაში.
აეროპორტში ჩააბარა უკვე ბაგაჟი,
ხვალ კი სასტუმრო ელოდება „კამპ ნოუს“ უკან.
ხოლო ის ჩვრებში გახვეული იწვა ბაგაში,
არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ არ ტყუის ლუკა.

მიირთმევს მშვიდად,
პირჯვარს იწერს, როდესაც ღელავს,
(ღრუბლებს ზემოთ ხომ სხვანაირი გემო აქვს სენდვიჩს),
ციმციმებს ციფრულ მონიტორზე მსოფლიო რუკა.
ის ფეხშიშველი დადიოდა, ჩემო აქვსენტიჩ,
არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ არ ტყუის ლუკა.

ბავშვობაში ჩაფიქრებული ლექსი

ჭრაქი უღელს მიამაგრა,
ვერ ყოფნით ხარებს მილეული მთვარის სინათლე,
სამარხილე გზა მთისკენ ტყე-ტყე მიიკლაკნება,
ძილგატეხილი აღმართებზე თავს ძლივს მივათრევ,
ხვალ რა იქნება, მზე თუ წვიმა, ახლა ნაკლებად

ვფიქრობ ამაზე, ასე უხმოდ უკან მივყვები,
უხასიათოდ, ტაფობს იქით დაბალ არყებთან,
მოულოდნელად აფუსფუსდნენ ხეზე ციყვები,
დაფრთხნენ ხარები, მეც დავფრთხი და ძაღლიც აყეფდა.

ზოგმა გაგვასწრო, ზოგიც კიდევ უკან მოგვყვება,
არ ჩანან, მხოლოდ მოციმციმე წერტილებს ვითვლი
(საცაა გავქრეთ, ლანდებივით, ღამის, სრულებით),
დიდ პანტა მსხლებზე, ბნელ და უხეშ ფოთლებში ფითრის,
დღემდე მჯერა, რომ ბინადრობენ ღამის სულები.

ლიფანალის ბოლო დღე

მთელი ზამთარი მარტო იჯდა,
ქსოვდა ამ წინდებს,
სტუმრად მყოფ სულებს აცილებდა სამფეხა სანთლით:
— ბამბა გათოვდეთ (ჩურჩულებდა), ზეთი გაწვიმდეთ,
ჩვენ ვერც წასვლას გთხოვთ, ვერც დარჩენას,
ნება თქვენია,
თქვენი სიმშვიდით გვანუგეშეთ,
არ გთხოვთ არც იმდენს...
ბამბა გათოვდეთ (ჩურჩულებდა), ზეთი გაწვიმდეთ.

* * *

„მოელო ბოლო სიკვდილთან თამაშს“.
ხორხე გილენი

უკუთვლაა! ოთხი, სამი, ორი და
ერთი. მორჩა! გაისუსა კორიდა.
სხვაა, როცა მხიარული ბავშვები
გამორბიან ხმაურიან სკოლიდან.

* * *

და ბოლოს ჩემთან, ჩემი ყველა ვნებაც დამიწდა,
მომიჭერს მიწა, გავიგონებ ტკაცუნს ლავიწთა.
„და ფსკერისაკენ დავეხრები დანისლულ ბირვილს“.
ეს ყველაფერი გულში მქონდა, თქმა დამავიწყდა.

* * *

აქ, ამ პალმებთან, ყველას ახსოვს ხოსეს პაპიდა,
ღრმა სიბერემდე რომ ელოდა თავის კაპიტანს.
შებინდებამდე გაჰყურებდა კადიზის სრუტეს,
მაცნედ ნუბერუს თუ უხმობდა ზღვის სქელ ქაფიდან.

* * *

სიზმარი ვნახე, ლამანჩელო, არც ისე ტკბილი,
მშვიდად! არ გაგცემ, საიმედოდ დავმუწე პირი,
ყველას ღიმილს ჰგვრი, მე კი ვკვნესი, შენ რომ პოლედოს
ციხის ნაშალთან ჩამომჯდარი ბავშვივით ტირი.

რობაი მამას

შეირხნენ, იგრძვნეს, მთის ნიავი ეზოს კაკლებმა,
იწვიმებს, მალე ცაზე ელვაც დაიკლაკნება,
კაკლის ხეები დასტურია — ვინც დარგო, იმას
სიცოცხლის სწამდა, ბარეორზე არანაკლებად.

სონეტი

დონ კიხოტის მესამედ წაკითხვის შემდეგ

გიორგი ლობჟანიძეს

რა სიზმარია! მინდორს იქით ერთი სახლი ჩანს,
იქვე პატარა ბოსტანი და ძველი ბოსელი,—
ელვამ წყვდიადი შუა გააპო, ორად გახლიჩა
და წამიერად კვლავ დავლანდე ბრმა ტობოსელი.

დავლანდე, გაქრა, როგორც ხილვა ან მოჩვენება
და ყურიც თითქოს მიეჩვია ქირქილს დამცინავს,
რა ჩვევად მექცა ერთი სიზმრის ამოჩემება,
ვეღარ ვიღვიძებ — ან იქნება სულაც არ მძინავს.

მეც სრულქმნილების გარსი მეკრა — დღეს კი მიწა ვარ,
აწ უფლის ნების წინააღმდეგ, ნეტავ, ვინ წავა.
შენ გეკითხები, ტოლედელო თუ ლამანჩელო,

ამ ჩემი ბნელი მიწურიდან ვერსად გაგიშვებ,
ამაზე მეტი რა სიგიჟე უნდა გვაჩვენო,
იდეალური გიჟი ხარ და ჩვენც გაგვაგიჟე.

თორნიკე რობაქიძე

დებიუტი

სიკვდილის სცენა

ამ ბოლო დროს,
ძილის წინ,
ჩემი სიკვდილის სცენას ვხედავ.
ვიქნები ალბათ ასე ორმოცის,
და დამიდგენენ
საშინელ ავადმყოფობას.
იმაზე მძიმეს, ვიდრე არის კიბო.
იმაზე მსუბუქს, ვიდრე გაციებაა.

ავადმყოფობას
ერქმევა მარტოობა,
და
ჩემთვის მოსატანი წამლის ფული,
ალბათ არავის არ ექნება.
მე ვიჯდები
საკუთარ სახელოსნოში,
მექნება ბევრი დაუმთავრებელი ტილო,
და მივეჩვევი სმას.

ეს იქნება ყველაზე გრძელი
სიკვდილის სცენა.
და ჯერ კიდევ
დასაფლავებამდე
შემეძლება ამაზე საუბარი.

სიმარტოვე

როდესაც საშინელ სიმარტოვეს ვგრძნობ
და გარეთ შემცივნებული შემოდგომა დაძრწის,
ვხვდები, რომ ვერაფერთან ვამყარებ კავშირს.
თითქოს მთელ სამყაროზე ამიცრუვდა გული.
აღარც სიზმრები მაწუხებენ, აღარც იმედები,
მოტივაციაც მოკვდა და მიჭირს გავიგო,
რისთვის ღირს ცხოვრება.
ვის უნდა შევეკედლო, რომ გავძლო.
არასდროს მყოფნიდა მარტო ჩემი თავი,
მაგრამ არც სხვა მყოფნიდა,
რადგან მათგან ყოველთვის
სრულყოფილ სიყვარულს ვითხოვდი.
ჩემი იმედგაცრუება კი ყოველთვის ეს იყო,
ვერასდროს ვიღებდი იმას, რასაც გავცემდი.

საკუთარო თავო

ხანდახან იმდენად მძულხარ,
რამდენადაც მიყვარხარ.

როცა რამდენიმე წამში კარგავ
თვითრწმენას,
როცა ჩაბნელებულ ოთახში წევხარ
და საკუთარი უმწეობის მსხვერპლი ხარ.

საკუთარო თავო:
სადამდე შეგიძლია ბრძოლა?
ბრძოლა თვით გადარჩენისთვის,
ან უფსკრულში მამაცურად ჩასაჩეხად.

როცა ყვირი: „როგორ შეიძლება კარგად ვიყო!“
მაშინ იბრძვი?
თუ სწორედ მაშინ ხარ უმწეობის მსხვერპლი?

თუ გაქცევენ ზურგს
ისინი, ვისი სიყვარულიც გჭირდება,
მაშინ ადექი და გაბედულად
დაიფარე სახეზე ბალიში.

საკუთარო თავო:
დიდი ხანია მინდოდა შენთან დიალოგი გამემართა.
მაგრამ ეს მონოლოგი უფროა.
მაინც კარგია,
რადგან მე ვთავისუფლდები შენგან.

ისე ყველაფერი შენი ბრალი მაინც არ არის.
შენც გარემოებების მსხვერპლი ხარ,
როგორც ხეები ქარში.

საკუთარო თავო:
შენში მოკვდა ჯერ არ ჩასახული,
უბრალოდ, გაფიქრებული ოცნებები.
და ეს უფრო მტკივნეულია,
ვიდრე კაცის მთელი წლის ნაოცნებარი.

საკუთარო თავო:
საით გინდა წახვიდე,
როცა დაკარგული გაქვს მომდევნო ერთი წუთისთვის
გასაძლები რწმენა.

როგორ აპირებ დღეს ღამით დაძინებამდე
თავის მიყვანას?
საკუთარო თავო,
რატომ იღუპავ საკუთრივ შენს თავს,
და არასაკუთრივ მეც.
სად დაიკარგა შენი ერთადერთი მეგობარი?

რატომ ვერ გიგებს შენი ერთადერთი სიყვარული?
რატომ გინდა გაქცევა შენივე თავიდან?

საკუთარო თავო:
იცი, როდის უნდა გაქრე ჩემგან?
მე ვიცი.
შენ ახლავე უნდა დამტოვო.
შენ ახლავე უნდა გაიქცე.

და შენც უნდა დამტოვო,
ჩემო ერთგულო
საკუთარო თავო.

* * *

მე ვანადგურებ ყველაფერს.
პირველ რიგში,
შენი თვალებიდან გავანადგურე
ჩემი სიყვარული.
მარტივი სულაც არ არის
ყველაფერს გადაუსვა ხაზი,
შემდეგ იჯდე და სველი თვალებით
უყურო საკუთარი სიყვარულის
გენოციდს,
რომელიც თავად მოაწყვე.

მე ვანადგურებ
ყოველგვარ სიახლოვეს.
თითქოს ის, ვინც მიყვარს,
მიზიდულობის ძალით,
მე — ერთადერთ გაყინულ სხეულს —
მშორდება,
დედამიწიდან კოსმოსში მიდის
და უსასრულოდ შორს
პლანეტებს ერწყმის.

მარტივი სულაც არ არის
ამ ყველაფერს თვალი გაუსწორო.

ჩვენ ყველა
უიმედო,
ნიჰილიზმით შეპყრობილ,
რამდენიმე ლიტრ ლუდში
და სიგარეტის კვამლიან ოთახში,
ამომხრჩვალებმა,
უნდა გავუძლოთ,
უნდა გავუძლოთ,
სანამ ვინმე ისევ მოვა...

შენ არ იცი როგორი ვარ

ყოველ დილით, სანამ სიგარეტს არ მოვწევ,
გაგიჟებული დავიარები სახლში.
შემდეგ სანამ ყავას არ დავლევ,
ვერ ვფხიზლდები სიზმრებისგან.
როცა სახლიდან გავდივარ,
დედაჩემი მომაძახებს, „რომელზე მოხვალ?“
მე არ ვიცი, რა ვუპასუხო,
ამიტომ ჩქარა ჩავრბივარ კიბეებზე.
ტროტუართან ნაცნობი ტაქსისტი დგას,
და ხელს ვუწევ.
(იმ ღამეს ეგ ტაქსისტი დამესიზმრა,
ხელებგაკოჭილი იჯდა თავის მანქანაში,
მინდოდა, მეთქვა ფრთხილად იყავითქო,
მაგრამ მომერიდა).
ავტობუსით აღარ ვმგზავრობ,
არ შემიძლია ვუსმინო მოძალადე კონტროლიორს,
და უნამუსო მგზავრებს.
ჩემს „მარშუტკაში“
ყოველთვის უკანა მარცხენა ადგილას ვჯდები
და წიგნის კითხვას ვიწყებ დროის გასაყვანად.
მიყვარს ეს ამოჩემებები.
ადგილების, ადამიანების, ტანსაცმელების, მუსიკების.
გვერდით ყოველთვის ბოლოს მიჯდებიან,
მაშინ, როდესაც აღარსად აღარ არის ადგილი,
და იძულებულნი ხდებიან დაჯდნენ.
ეს შემთხვევითობაა,
რომელსაც ჩემი ალტერ ეგო ძლიერ განიცდის.

შენ არ იცი როგორი ვარ.
შეიძლება ორი გაჩერებით უკან ჩამოვიდე,
რათა მძღოლი აღარ შევაწუხო,
და ფეხით გავუყვე გზას.

შენ არ იცი როგორი ვარ.
როცა ფული არ მაქვს,
მათხოვრებს ყოველთვის ზურგიდან ვუვლი.
იმედი მაქვს ვერ მხედავენ და არ წუხან.

შენ არ იცი როგორი ვარ.
უნივერსიტეტის კარების უკან,
ჩემი ერთი ნიღაბია,
მას ვიფარებ ხოლმე შესვლის წინ.
ეს უკვე აღარ მომწონს,
მაგრამ ახლა რომ ნიღაბი მოვიხსნა, ალბათ გადამივლიან.

შენ არ იცი როგორი ვარ.
როცა მთელი დღე გაღიმებული
ვემსახურები ადამიანებს,
შემდეგ შუა ღამე ტაქსით მივდივარ სახლში,
და ვუსმენ ტაქსისტის უინტერესო ამბებს.

შენ არ იცი როგორი ვარ.
როცა მაგიდას მარტო მე და დედა ვუზივართ.
ღამის ორი საათია და ჩაის ვსვამთ.
ჩვენ ვლაპარაკობთ გულწრფელად,
მაგრამ მე მაინც ვმალავ იმას,
რაც არ მინდა დედამ იცოდეს.
მე თავდავიწყებით შემიძლია სიყვარული.
აი ამის დამალვას ვცდილობ ყველასთან.



ფოლკლორისტი

ამირან არაბული

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან არაბული ხალხური სიტყვიერების ცოცხალი საგანძური და მისი პირუთვნელი მემატიანეა, უძველესი მითების, მითოლოგიური სახეების, თქმულებების, ლექსებისა და ანდრეზების შემგროვებელი და მკვლევარი, სიტყვაში ჩადებულ საიდუმლოებათა გამცხადებელი და ამომხსნელი. ჯერ კიდევ ბავშვი მშობლიურ ჯუთაში ისმენდა ბრძენი ხალხის მონათხრობს, ამიტომაც, მოგვიანებით, უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა, ბუნებრივად აირჩია სპეციალობაცა და ცხოვრების გზაც — ქართული ფოლკლორის სამსახური. წლები გავიდა და დღეს მისი ავტორობით გამოცემული წიგნები თუ შედგენილი კრებულები ნაწილია იმ უდიდესი შრომისა, ავტორმა ამ მიმართულებით რომ გასწია. არაერთი ლიტერატურული ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის პრემია „საბა“, ფოლკლორის ეროვნული პრემია, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პრემია „ოქროს ფრთა“, ილიას ფონდის პრემია „საგურამო“, პრემია „ქართული სული“. ექსპედიციები და სამეცნიერო საქმიანობა აქტიურად გრძელდება, როგორც თავად ამბობს, ქართულ ფოლკლორში ჯერ კიდევ ბევრია საკვლევიცა და გამოსაქვეყნებელიც. ბატონი ამირანი უკვე ოცდამეთხუთმეტე წელია, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში საქმიანობს, ამასთან, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დაარსებული ფოლკლორის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია. ჩვენ სწორედ იქ შევხვდით. ახალი დაბრუნებული იყო თელავიდან, სადაც ფოლკლორის რესპუბლიკურ ფესტივალს ესწრებოდა, როგორც ზეპირსიტყვიერებაში ჟიურის თავმჯდომარე. საუბარი ამ თემით დავიწყეთ.

— მოკლედ გვიამბეთ ღონისძიების შესახებ.

— საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ფოლკლორის რესპუბლიკურ ფესტივალს ატარებს. ეს არის ორწლიანი ღონისძიებების ციკლი. წარმოდგენილია ხალხური ცეკვა და სიმღერა, ტრადიციული საეკლესიო გალობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ზეპირსიტყვიერება — საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსისა და ეთნიკური ჯგუფის ფოლკლორი. ფესტივალი პირველად 2005-2006 წლებში ჩატარდა. მერე აღარ გამართულა. ასე რომ, საკმარისი დრო გავიდა შესადარებლად — რა შეიცვალა, რა სიახლეებია და, ზოგადად, როგორია ხალხური შემოქმედების დღევანდელი მდგომარეობა. მოგეხსენებათ, ფოლკლორი ფართო ცნებაა, არაერთ დარგსა და სფეროს მოიცავს, მეტნაკლებად ყველა დარგი გადარჩენილია, თუმცა მაინც დიდ ყურადღებას, ზრუნვას საჭიროებს. ჯერ რეგიონებს მოვივლით, დასკვნითი ტურები კი თბილისში ჩატარდება, გამოვლინდებიან გამარჯვებულები. პირველი ფესტივალის შემდეგ დუშეთისა და კახეთის რეგიონის ხალხურ მელექსეთა პოეტური კრებულები გამოვეცით. ალბათ, ამ ფესტივალზეც გამოიკვეთება მასალა მომავალი კრებულისთვის. შემთხვევითი არ არის, ღონისძიება თელავიდან რომ დავიწყეთ, ის ხომ ხალხური შემოქმედების ნამდვილი საბადოა. ქალაქმა იმედი არც ახლა გაგვიმტყუნა და ზეპირსიტყვიერებაში რეგიონის ათამდე კარგ მელექსეს მოვუსმინეთ. ფესტივალის გამარჯვებულები, რასაკვირველია, მონაწილეობას მიიღებენ ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამოში, რომელსაც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, ტრადიციულად, შემოდგომაზე ჩაატარებს.

— ახლანდელ ფესტივალებსა თუ საღამოებზე მოსმენილი, ალბათ, განსხვავდება ზეპირსიტყვიერების ძველი ნიმუშებისგან, თქვენ მიერ მთაში მიკვლეული ან არქივებში მოძიებული მასალისგან. ან კი დარჩა კიდევ რაიმე მოსაძიებელი და აღმოსაჩენი?

— აღმოსაჩენი კიდევ ბევრია. ბოლომდე დასამუშავებელია პეტრე უმიკაშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, დავით ხიზანაშვილის, აკაკი შანიძის და სხვათა არქივები. ცოტა ხნის წინათ ვახტანგ კოტეტიშვილის კოლექციაში ერთი უცნობი ლექსი ვიპოვეთ, არასდროს გამოქვეყნებულა, სიამოვნებით შევთავაზებდი თქვენი გაზეთის მკითხველს: „ჩემკე ნუ მაზდით, ღურბელნო,/ ნახალიზარნო სხვაზედა, / ჩვენ წინა სიმაგენი ვართ,/ ვერ გაიმარჯვებთ დარზედა./ ფრინველნ ადვილად ვერ ფრინვენ/ ქაჯეთის ციხის კარზედა,/ ხალხთ ვირჩევ სიკეთიანთა,/ მასკვლავთ წავხყვები ცაზედა,/ მარჯვენას გვერდზე მზე მიდგას,/ მთვარე მყავ მარცხენაზედა“. იმავე კოლექციიდან არის ესეც: „დაეხსენ არმის ჭამასა,/ დადექ ალალსა რჯულზედა,/ თორემ შენც მოგაგონდება,/ ხელთ რომ დაგიკვრენ გულზედა,/ ეშმაკნი ანგელოზებსა/ ეცილებოდან სულზედა“.

„ბავშვობა მოხუცების გვერდით გავატარე“

წლები გავიდა და ბევრმა ფაქტორმა, მათ შორის, წიგნიერებამაც, უარყოფითად იმოქმედა ხალხური პოეზიის განვითარებაზე. 70-100 წლის წინ ხალხური ლექსი უფრო მონოლითური იყო, უფრო შეკრული, დახვეწილი. არადა, მაშინ არც კალამი ჰქონდა მთიელ კაცს, არც ფურცელი, ბევრმა წერა-კითხვაც არ იცოდა, მაგრამ საოცარ ლექსებს, შედევრებს ქმნიდნენ. ალბათ, გსმენიათ ბესარიონ გაბურზე, არაჩვეულებრივ მელექსეზე. მისი ქალიშვილები და ახლობლები იგონებენ, სათიბში ანდა სახნავში მყოფი ბალახის ხმელ ღეროს აიღებდა თურმე და ხელზე იკაწრავდა იმწუთას წვეულ ლექსსა თუ სტრიქონს, ადვილად იცნობდით ბესარიონის ჩამონაჯდომს ქვებზე ამოკაწრული სტრიქონებით. მის ბანიან სახლში კედლები და დედაბოძი აჭრელებული ყოფილა ლექსებით. ბესარიონ გაბურის ფასი კარგად იცოდა აკაკი შანიძემ, სტუმრობდა მას ხევსურეთში და პირველ მსოფლიო ომში დაჭრილს იურევოშიც ჩააკითხა მოსანახულებლად. ომიდან ბესარიონი ისევ დაბრუნდა არხოტში — არხოტში, სადაც დღემდე არ არის სამანქანო გზა და ვერტმფრენით ან ცხენებით გადადიან. ანას ლექსი გახსოვთ, ალბათ: „ჭიმღის კლდეს ეშმა ბინადრობს,/ დადის, დაეძებს გაბურებს,/ ხან დიყ-ჟალტამში გორაობს,/ ხანაც წყალს შეაჩქაფუნებს“... ეს ჭიმღა გაბურების საგვარეულო სოფელია, ბესარიონი იქ ცხოვრობდა.

მის დროს გაცილებით ჯანსაღი იყო ხალხური პოეტური ტრადიცია მთაში. იმიტომ, რომ ხალხურ მელექსეთა მგრძნობელობა, დამოკიდებულება ბუნებასთან, იმ ცხოვრების შუაგულში ყოფნა-ტრიალი ძალიან ბევრს ნიშნავდა, დიდ სიბრძნესა და გამოცდილებას სძენდა მათ. ამიტომ კარგი ხალხური მელექსე, თუ არ ჯობდა, არც არაფრით ჩამოუვარდებოდა წიგნიერ, ტიტულოვან ავტორებს. ვახტანგ კოტეტიშვილმა ეს კარგად იცოდა, უბრალო გლეხებთან ხშირად უსაუბრია და ჭიქაც აუწევია. ამიტომ დაწერა — თუკი რამ შექმნილა დიადი და გენიალური, სათავე ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებნებაო.

ანდა, ფშაველი მელექსე ჭრელა უძილაური გავიხსენოთ, აი, ამგვარი ლექსის ავტორი: „მე არვინ მომწონებია დალალაის ქალივითა, კოხტა წითელ კაბა აცვავ, ელავს ცეცხლის ალივითა, ქვემოთაზე გამიარა, გამიქროლა ქარივითა, თვალწინაით დამეკარგა, სიპზე ჩიტის კვალივითა“. სხვათა შორის, შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა მასზე გოგი თურმანაულმა — „ჭრელა უძილაურის გაკვეთილები“, „ცისკარში“ დაიბეჭდა. ჭრელას მწარე ცხოვრებაზე ყვებოდა. ხანდახან მგონია, რაც უფრო ტკივილიანია კაცის თავგადასავალი, მით უფრო ძლიერია მისი პოეზია.

— შინაგანი გამოცდილება და ბუნების საიდუმლოთა ცნობა ერთია, მაგრამ მე მათი პოეტური ენა მაოცებს, სათქმელს ასე ზუსტად, უბრალოდ და გენიალურად როგორ გადმოსცემდნენ?!

— მართლაც წარმოუდგენელია, ისინი ხომ საგანგებოდ არ ფიქრობდნენ, არც ხელნაწერზე მუშაობდნენ. ამ ლექსების უმეტესობა იპროვიზირებულად იქმნებოდა და ზეპირი გზით ვრცელდებოდა. და მაშინ რომ იყო ენა დაწმენდილი, სუფთა, მოვლილი, ახლა სადღაა ისეთი. არადა, ენა ხომ საკრალური სამყაროა, მასთან უპასუხისმგებლო მოპყრობა არ შეიძლება. ილიაზე კარგად ვინ იცოდა ენის მნიშვნელობა, ჩვენ კი მისი სიტყვებიც დავივიწყეთ — ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო.

— ბატონო ამირან, ფოლკლორისტიკაში არაერთი წიგნის ავტორი ხართ. „ვინა თქვა თუშთა დალევა“ — ასე ერქვა მხატვრული ნარკვევების პირველ კრებულს...

— მას მოჰყვა „ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში“, „არხოტ რო წყაროთგორია“ — გაბრიელ ჯაბუშანურისა და ლადო ბალიაურის ლიტერატურული პორტრეტები, „სამგლოვიარო პოეზია“ — მონოგრაფია, „ვაჟკაცობისას ამბობენ“ — ვაჟა-ფშაველას დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოცემა, რომელიც ღირსეული მტრების ურთიერთმოწონების, დანდობისა და დაფასების ხალხურ და ლიტერატურულ მოტივებზე არის აგებული. გამოვიყენე „ჭეშმარიტების მეტყველი“ საისტორიო მწერლობის არაერთი ღირსსახსოვარი ეპიზოდიც. იგი ერთგვარი გაგრძელებაა აკაკი ბაქრაძის, გურამ ასათიანის, ზვიად გამსახურდიას ნაშრომებისა ქართული ხასიათის ფენომენზე. ამიტომ ვისურვებდი, ეს წიგნი გასცდეს ქართულ ენობრივ საზღვრებს და უცხოენოვანმა მკითხველმაც გაიცნოს ქართველთა ისტორიის ზნეობრივი მაგალითები; ეთერ თათარაიძესთან თანაავტორობით შექმნილ წიგნებსაც შეგახსენებთ: ძველი ქართული საფლავის ქვების ფერადი ფოტოსურათებისა და ეპიტაფიების კრებული „შენდობით მომიხსენიეთ“, რომლის მასალასაც ათი წელი ვაგროვებდით; „აღათო“, ორენოვანი გამოცემა — თუში ქალის სიყვარულის ტრაგიკული ამბავი; „ავაგე ეკლესიები“ — თუშეთსა და ხევსურეთში საქართველოს

ზამთრის ფოლკლორული ექსპედიცია ხევსურეთში. 1978 წ. წინა რიგში: პაატა ვეშაპიძე, ნოდარ გრიგალაშვილი. უკანა რიგში: ლევან ბაბუხადია, ბაჟან ხარაიშვილი, იურა ჯაფარიძე, შერმადინ ქალდანი, ამირან არაბული

გულქან რაზიკაშვილი. ამირან არაბულის ფოტო

კათოლიკოს-პატრიარქის სამდღიანი მოგზაურობის ამსახველი წიგნი, გაფორმებული მრავალი ფოტოსურათით, რომელთა ნაწილი ბატონ მამუკა ხაზარაძის გადაღებულია; „მაესტრო და (არა მხოლოდ) ხევსურეთი“, რომელიც მოგვითხრობს ქართველი საოპერო მომღერლის, ნოდარ ანდღულაძის მოგზაურობაზე ხევსურეთში, გურიასა და სვანეთში. მკითხველი გაეცნობა 50-იანი წლების მთას — არხოტის თემის სოფლებს, მოსახლეობას, ღვთისმსახურებისა და ყოფით ამბებს.

ბოლო ერთობლივ ფოლკლორულ კრებულში „პირმა დაგლოცასთ ღვთისამა“ მოხეური ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს მოვუყარეთ თავი, ისინი ჩაწერილია 1937 წელს სამი მოხევის მიერ, ხევში. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში ჩაკარგულ ამ უნიკალურ, სრულიად უცნობ მასალას ეთერმა მიაგნო, გამოცემას ძველი ფოტოები დავურთეთ. ასევე გამოვეცით „ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება“, რომელშიც შევიდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული უცნობი ნიმუშები, ჩაწერილი როზა თავდიდიშვილის მიერ ქუთაისში, 1937-ში.

— „ინტელექტმა“ 100 ლექსის სერიით გამოსცა გაბრიელ ჯაბუშანურის პოეტური კრებული თქვენი წინასიტყვაობით.

— უფრო ადრეც გამოვეცი გაბრიელ ჯაბუშანურის ერთტომეული ვრცელი წინასიტყვაობით, რომელშიც პოეტის ლექსებს, პოემებს, ბალადებს, ჩანაწერებს, პირად წერილებს მოვუყარე თავი და ლექსიკონიც დავურთე. შარშან კი, საიუბილეოდ, ორი კრებული გამოვიდა, „ჰოი, ღილღოს დაღრუბლულო ცაო“ — ღილღური ციკლის ლექსებისა და ბალადების შევსებული და შესწორებული ახალი გამოცემა და უცნობი საარქივო მასალები, რომელზეც პოეტის ძმისშვილმა კაკო ჯაბუშანურმა იმუშავა. ლიტერატურის მუზეუმში ბევრი მასალა აღმოჩნდა და შედგა კრებული. ის ჩემმა ვაჟმა, მინდია არაბულმა მოხატა, წინასიტყვაობის ავტორი მე გახლავართ. გაბრიელის შემოქმედებაზე სტუდენტობიდან ვმუშაობ და მგონია, რომ ეს პოეტი ჩვენში ჯერ კიდევ არ არის დაფასებული. არადა, მისი შემოქმედება ძალიან ღირებულია, თუნდაც — ის ღილღური ციკლი. ძნელია, ადამიანმა ისე განიცადოს და გაითავისოს მეზობელი ტომის გასაჭირი, როგორც გაბრიელი განიცდიდა ჩრდილოკავკასიელების, მაჰმადიანების მწარე ბედს. ის ღილღოში, 1944 წელს რეპრესირებული ქისტებისგან დაცლილ ერთ-ერთ აულში, უკეთესი საცხოვრებელი პირობების მაძიებელ თანასოფლელებთან ერთად არხოტიდან ჩასახლდა. 17 წელიწადი დაჰყო იქ და გავერანებული, გაუკაცურებული ქისტური აულების ცქერით გულდამწვარმა საოცარი ლექსები შექმნა. წლების შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებულ ქისტებს, ბუნებრივია, ხევსურებმა დაუცალეს სახლ-კარი და დაეხმარნენ კიდეც, ცხოვრება ახლიდან მოეწყოთ. გაბრიელმაც სხვა ხევსურებთან ერთად დატოვა იქაურობა. მისი კრებულის პირველი გამოცემა პანკისის ხეობაში ჩავიტანეთ. სამასი ცალი იქ დარიგდა, ორასი ეგზემპლარი კი — ჩეჩენ-ინგუშების დეპორტაციის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, საპარლამენტო ბიბლიოთეკაში. წიგნი ინგუში ქველმოქმედის გილან ხალუხაევის მხარდაჭერით გამოიცა.

პიტნის წვნა თუშეთში. კასინე გულუხაიძე და თეო თათარაიძე. ამირან არაბულის ფოტო

—გაბრიელ ჯაბუშანურთან „შეხვედრამდე“ თქვენს მშობლიურ სოფელ ჯუთაში საოცარი ხალხის გვერდით ცხოვრობდით, ისინი თქვენი პაპები და ბებიები იყვნენ, ღვთაებებსა და დევებზე პირველად, ალბათ, სწორედ მათგან მოისმინეთ. მიამბეთ თქვენს ბავშვობაზე.

— ბავშვობა სულ მოხუცების გვერდით გავატარე, პაპაჩემის ძმების ოჯახებში ვტრიალებდი. პაპაჩემის ძმის, გიგიტას ცოლი იყო თარუა ბალიაური, ლადო ბალიაურის და, გოგი და ირაკლი ოჩიაურების დეიდა. ვიჯექი მათ ბანზე და ვისმენდი ამბებს ქისტების ლაშქრობისა ჯუთასა თუ არხოტზე, ვისმენდი ცხენმხედრობის, სწორფრობის, ღამისთევის, სტუმრობის, შუღლის, დაჭრისა და შერიგების ამბებსაც. სხვა მთხრობელებიც იყვნენ — მძიმია წიკლაური, მზექალ წიკლაური, ჩემი მეზობელი არხოტელი ქალი, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე, მარიამ ქეთელაური, ძილა ლიქოკელი და ბევრი სხვა. დეტალურად მახსოვს ყველაფერი. მოსმენილის ჩაწერა კი სკოლის მოსწავლემ დავიწყე. მაშინდელი ჩანაწერები შენახული მაქვს. უნივერსიტეტში ქალბატონმა ქსენია სიხარულიძემ შეამჩნია ფოლკლორის მიმართ ჩემი ინტერესი და მირჩია, ამ მიმართულებით გამეგრძელებინა სწავლა.

მერე უკვე ექსპედიციებში სიარული დავიწყე. არაჩვეულებრივი მასწავლებელი გვყავდა, იურა ჯაფარიძე. ის ჩვენი უფროსი მეგობარიც იყო და ზამთარ-ზაფხულ მასთან ერთად დავდიოდით მთაში. მაშინდელი ექსპედიციების მონაწილეებიდან აღარც იურაა და აღარც ბეჟან ხარაიშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი, შერმადინ ქალდანი. სამახსოვროდ ფოტოები დამრჩა, ერთ-ერთზე წელამდე თოვლში ვდგავართ, გუდანში. იმ ექსპედიციებიდან უნიკალური ჩანაწერები ჩამოგვქონდა. ხანდახან კილომეტრებს გავდიოდით ფეხით, თოვლს მივარღვევდით და იმავე დღეს უკან ვბრუნდებოდით — ხელცარიელები არა, რა თქმა უნდა. შენახული მაქვს თოვლისგან დასველებული, ყდაგახუნებული ის რვეულები გადუა ჭინჭარაულის, გიგო ქეთელაურის, ბუბიკა ალუდაურის მონათხრობებით სავსე. მაშინ სიტყვიერების მაცოდარნი ძალიან ბევრნი იყვნენ. მათ შორის ბურთა აფციაური, ხევისბერები — პეტრე კუწაშვილი, ბეწინა ბაღიაური, ასევე ნათელა ბალიაური — გოგი და ირაკლი ოჩიაურების დედა, წიგნის „სწორფრობა ხევსურეთში“ ავტორი. 1980 წელს თუშეთში ვიყავით მე, ეთერ თათარაიძე და გოდერძი ჩოხელი, მთელი თვე დავრჩით იქ. ხოლო მანამდე არხილოსკალო, ზემო და ქვემო ქედები მოვიარეთ, ძირითადად იქ ჩასახლებული მთიელებისგან ვიწერდით.

— რას იწერდით?

— ვიწერდით იმ მასალებს, რაც დღეს ნაკლებად იციან. მაგალითად, დევკერპების, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის, ქაჯავეთში ლაშქრობების ამბებს — ქაჯავეთს ღვთისშვილები, ანგელოზები რომ ლაშქრავენ და ერთადერთი ხორციელი არსება, გუდანის ჯვრის მკადრე გახუა მეგრელაური რომ მიჰყვებათ, ის სხეულს უღელტეხილზე ტოვებს, სულის სახით მიდის საომრად. ქაჯავეთიდან ნადავლი ჩამოაქვთ — სიმბოლური მნიშვნელობის იარაღები — ქერის საწყავი, ცხრაძალიანი ოქროს ფანდური, თასი, გრდემლი, საცერი, მოჰყავთ ასევე ქაჯის ქალები — ამენქალი, სიმენქალი, აშექალი (ზოგიერთი მთხრობელი ხუთს ასახელებს). და რა ამბები ხდება იქ... ეს უზარმაზარი კულტურის ფრაგმენტებია. ვიწერდით ლაშარის ჯვრისა და ბარისახოს ხმალას ამბებსაც. იქაური გადმოცემით, ლაშარის ჯვარში, ხმელგორზე ბერმუხა იდგა, მის წვერზე მიბმული შიბი ციურ სამყაროს სწვდებოდა, იგივე იყო ბარისახოში — ხმალას ციხის ეზოში მდგარ ალვის ხის კენწეროზე მიბმული შიბი ზეცას უკავშირდებოდა. და როცა დაუნდობელმა და უმოწყალო ზურაბ არაგვის ერისთავმა მთიელები ვერაფრით დაიმორჩილა, ღალატით მოაჭრევინა ის ხეები — „შიბ გაწყდა, ცისკენ წავიდა, წიოდა, როგორც გველიო“, — მაშინ დაირღვა და დაიშალა საკრალური სამყაროს მთლიანობა და ერთიანობა. ლაშარის ჯვრის ბერმუხაცა და ხმალას ალვის ხეც სიმბოლო იყო იმ კუთხეების — ისტორიული ფხოვის სიმტკიცისა და შეუვალობისა. იმათი მოჭრით დაიწყო მთის ტრაგედია და უკან-უკან წავიდა ყველაფერი.





საინტერესონი არიან კოპალა და იახსარი — დევების მებრძოლნი. მათ ამბებს ვაჟა-ფშაველაც წერდა. დევებს არაგვისა და ივრის ხეობები ეკავათ და ხალხს აწიოკებდნენ, თანაც, როგორი სახელები ჰქონდათ — მელანია, ჯაბაგანი, ბუქრა. ბოლოს ანგელოზებმა, იახსარმა და კოპალამ, აუტეხეს ბრძოლა და გაჟლიტეს ისინი. იახსარმა აბუდელაურის ტბაში მოკლა ერთ-ერთი და მთელი ტბა დევის სისხლით შეიღება, იახსარიც შიგ დარჩა, ველარ ამოვიდა, რადგან თავისი მხრებით სისხლს თუ შეეხებოდა, ანგელოზებრივ სიწმინდეს დაკარგავდა. წლების შემდეგ მოუყვანეს მლოცველებმა ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი, დაკლეს და გაიხსნა ტბის ზედაპირი. სხვათა შორის, ოთხრქა ცხვარი, მითოლოგიური ცხვრის „შთამომავალი“, ახლახან ჯუთაში ვნახე და გადავიღე კიდეც. ექვსრქაც გადაღებული მყავს ადრე. ძალიან იშვიათია ეგეთი ცხვარი. აი, როგორი ამბებია.

— იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი ამბების ჩაწერა და აღმოჩენები წინ გვაქვს.

— ჯერ კიდევ ბევრია გამოსაცემი, არქივები გადასახედია. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფოლკლორის სამეცნიერო კვლევითი და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ამისთვის არიან მოწოდებული — მასალების შეკრება, კვლევა, მათი პოპულარიზაცია. ქართული ხალხური პოეზიის 12-ტომეული არსებობს, მაგრამ ის დიდი ხნის წინ დაიბეჭდა, პირველი გამოცემაა და, ბუნებრივია, შეცდომაც ბევრია. თუმცა მაშინ ძალიან დიდი საქმე გაკეთდა. ის მრავალტომეულიც, თემატური კრებულებიც ჩვენი კულტურის ნამდვილი საგანძურია, სიბრძნით სავსე წმინდა წიგნებია და მათ კიდევ არაერთი გამოცემა უნდა დაემატოს.

— ბოლოს მინდა გითხრათ, რომ მართლაც სულმოუთქმელად წავიკითხე თქვენი „სულუქცევრად საკითხავნი“, ძალიან საინტერესო და ცოცხალი ამბები, რომელიც „ინტელექტმა“ ცნობილი სერიით გამოაქვეყნა. გაგრძელებას არ აპირებთ?

— 300-გვერდიანი ჩანაწერების წიგნი უცებ გაჩნდა: უნივერსიტეტში, ინსტიტუტში, შინ, მანქანაში, გზაში, ჯუთაში ვწერდი, ამიტომ დიდი მოცულობისა არცერთი არ არის. მედო, ვინახავდი. მერე თქვენს გაზეთში რამდენიმე დაიბეჭდა. როცა ბატონმა კახმეგ კუდავამ და ზვიად კვარაცხელიამ წიგნად გამოცემა შემომთავაზეს, რა თქმა უნდა, გამიხარდა და მალევე მივაწოდე. ორ კვირაში წიგნი მზად იყო. ერთი იმდენი კიდევ გამოსაცემია. დროდადრო ვაქვეყნებ კიდეც „ჩვენს მწერლობასა“ და „ლიტერატურულ გაზეთში“, წლის ბოლოს „სულუქცევრად საკითხავნის“ გაგრძელება იქნებ გამოიცეს კიდეც.

— თქვენი მხატვრული ფოტოსურათები ხშირად ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში, თქვენს წიგნებში. დიდი ხანია, იღებთ?

— შაბურა, ჩემი უფროსი ძმა, სნოს საშუალო სკოლის წარმატებული მოსწავლე, რაიონულ ოლიპიადაზე ფოტოაპარატ „ჩაიკათი“ დაასაჩუქრეს. ის იმთავითვე პოეზიით იყო შეპყრობილი და ფოტოგრაფია მაინცდამაინც არ იტაცებდა. „ჩაიკა“, უსიტყვო შეთანხმებით, ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა. ვიღებდი და ფირს ფირი ემატებოდა. სტუდენტობის წლებში „ზორკით“ და „ზენიტით“ განვაგრძე გადაღება. სულ სხვა ესთეტიკა, ხიბლი და იდუმალება ჰქონდა შავ-თეთრ ნამუშევრებს. ბოლო ათწლეულებში ფერადმა ფოტოგრაფიამ ჩაანაცვლა ტრადიციული ფოტოხელოვნება, მეც ახალ რეჟიმზე „გადავეწყვე“, თუმცა ნეგატივებით სავსე ტილოს ტომარა დღემდე საყვედურით „მიყურებს“. იმედია, მოვიდროვებ და, როგორც იტყვიან, გავაციფრებ მრავალი წლის ნაშრომ-ნაამაგარს. ეს ხომ ვიზუალური სიცხადით გადმოცემული უტყუარი ისტორიაა, წარუვალი სილამაზის დამტევ უთვალავ წამს რომ ინახავს.

ესაუბრა თამარ ჟურული

ლორა ბოჩაროვა მრავალმხრივ შემოქმედებითი და უაღრესად ქარიზმატული პიროვნებაა. დაიბადა 1970 წელს ქალაქ ეკატერინბურგში. განათლებით ჟურნალისტია, არსით — პოეტი, სულით — ჯადოქარი. მისი შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება როლური თამაშების მოძრაობას, რომელიც ერთგვარ სუბკულტურას წარმოადგენს. რუსეთში ამ მოძრაობას გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და ლორა მის სათავეებთან იდგა. როლურ თამაშებს თავდაპირველი ბიძგი ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენის შემოქმედებამ და მის მიერ შექმნილმა სამყარომ მისცა, თუმცა დღესდღეობით როლური მოძრაობა ზოგადად რომანიკულ-ჰეროიკული სულისკვეთების გამოხატვად გვევლინება და მსოფლიო კულტურისა და ისტორიის ყველა პლასტს მოიცავს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ლორას სტუდენტობის წლებში ხელიდან ხელში გადადიოდა „ბეჭდების მბრძანებლის“ პირველი, ჯერ კიდევ მანქანაზე ნაბეჭდი თარგმანები. სულ მალე რუსეთის ტყეებსა და მინდვრებში პირველი ელფებიც გამოჩნდნენ...

თვით ლორა ასე განსაზღვრავს როლური თამაშების არსს: „ეს მსოფლიო მოვლენაა: ის მშრალი ნაშთი, რადაც დღეს იქცა ჰიპების მოძრაობა, ფანტასტიკითა და ფსიქოდრამებით გატაცება, პოეტური ამბოხი, ავტოსტოპი, ტურიზმი, თეატრალური სტუდიები, ევროპული კარნავალური ტრადიცია და ტოლკიენისტიკა. ტოლკიენიზმი, როგორც ჩრდილო-დასავლური საგმირო ბალადების, კელტური ეპოსის, ძველებური სახელების, უმოწყალო ეპიგონიზმისა და კოსტიუმირებული გამოსვლებისაკენ ლტოლვა, რუსეთში ალექსანდრე პუშკინის ეპოქაში ჩაისახა. თვით ტოლკიენი რუსი ადამიანისათვის ღრმად მეორად მოვლენას წარმოადგენდა, რაკიღა იმის მხოლოდ ერთ-ერთი ინტერპრეტაცია მოგვცა, რასაც მუდამ ვესწრაფვოდით. ამასწინათ გავაცნობიერე ბავშვობის არსი: ბავშვობა მარადიული ცნობისმოყვარეობაა, ახალსა და მშვენიერს რომ მიელტვის. ბავშვობა ჟიულ ვერნის რომანებია, ზღვისქვეშა სამყაროთი და ტროპიკული კუნძულებით, უძველეს ცივილიზაციათა ნაშთებით; ბავშვობა — ესაა კეთილი ადამიანის მოჭუტული თვალებიდან გამომზირალი მეცნიერული ინტერესი. ბავშვები იმიტომ არიან უშიშარნი, რომ ყველაფერი აინტერესებთ. ბოლო დროს კი დამკვიდრდა აზრი, თითქოს ჩვენი ცნობისმოყვარეობა ერთადერთი მიზნისკენ, გვარის გაგრძელებისკენაა მიმართული, ჰოდა, სკოლიდანვე ყველა იმდენადაა ამ სექსზე გაგიჟებული, რომ ჩემ გარშემო ვეღარც ერთ გენდალფს ვხედავ. დაკარგული ჰარმონიის ისეთმა მონატრებამ ამიტაცა, რომ საბჭოთა ფილმ „კაპიტან ნემოს“ ყურებისას თვალზე ცრემლი მომადგა... ალბათ ბავშვობის შემდეგ ერთადერთ სუფთა, შეურყვნელ სფეროდ მხოლოდ თამაში გვრჩება. ადამიანები მთელ მსოფლიოში იმიტომ თამაშობენ, რათა ყოველდღიური არსებობის უაზრობასა და უსასოობას შეაფარონ თავი. თამაში ბუნებრივია. ჩვენს როლურ მოძრაობას ისევე, როგორც კაცობრიობის ყველა სხვა თამაშს, ერთი და იგივე დედ-მამა ჰყავს: დრო და წიგნი. და ერთადერთი მიზანი — დროის გაუქმება და წიგნის განხორციელება, ცხოვრებისაგან ახლა, ამწუთას, რაც კი შესაძლებელია, ყველაფრის მიღება.“

ლორა ბოჩაროვა როლური თამაშების ოსტატი ანუ დამდგმელი რეჟისორია და თვითონაც არაერთი როლი აქვს შესრულებული. აი, ზოგიერთი მასშტაბური თამაში, რომლის კონცეფცია მან შეიმუშავა და განახორციელა: „სამოთხის დაპყრობა“ (1997), „მოსასხამისა და დაშნის რომანი“ (1999), „ანგელოზთა ომები“ (2000), „ვარდის სახელი“ (2000), „გოთიკა“ (2001), „სილმარილიონ-ექსტრიმი“ (2002), „ჰოგუორტზული სეზონები“ (2003-2010), „ნუმენორი — თამაში-კატასტროფა“ (2012), „კალიგულა“ (2014). გარდა ამისა, ის სამი როკ-ოპერის („ტამპლი“, „ფინროდ-ზონგი“ და „ჟანა დარკი“) თანაავტორია. გამოუშვა სიმღერების ათიოდე დისკი და ორი წიგნი: ვრცელი მოთხრობა „ზეთისხილის წვენი“ და რომანი „შროშანი და ჯვარი“. მასვე ეკუთვნის არაერთი მხატვრული ფოტოსესიისა და ვიდეოკლიპის პროექტი, მრავალი ესსე, მოთხრობა, პიესა, ნახატი, ფოტოკოლაჟი... ლორა უაღრესად თანამედროვე შემოქმედია და, როგორც ჭეშმარიტი პოსტმოდერნისტი, საკუთარ ნაწარმოებებში განვლილი ეპოქების კულტურისა და ხელოვნების ელემენტების თავისებურ გარდასახვას ახდენს.

ლორა ბოჩაროვა

ის

...ის პალესტინაში ნამყოფი რაინდივით შავტუხა და მწარე წარმომიდგება. მისი ჟამი ღამეა. მისი სივრცე — ფიქრი. თავს მუდამ უხილავად დასტრიალებს სანდალის, აღმოსავლური საკმაზების, კვამლის, გავარვარებული თუნუქისა და ქვიშის სურნელი. მისი ალერსი სავსეა ზღვის მარილით — ეს შორეულ მოგზაურობათა, მივიწყებულ მზაკვრობათა და უგრძესი მეხსიერების ნიშანია. ის შავ-თეთრია. სითეთრე პირობითია — ძალზე უახლოვდება ძველისძველ, გაყვითლებულ და ფოროვან სპილოს ძვალს, მაგრამ ეს მაინც სითეთრეა. დაღლილი ადამიანები სითეთრეს აფასებენ. რაც მეტი — მით უკეთესი. მათ სიტკბოც უყვართ. მე კი მასში სიშავე და სიმწარე მიზიდავს. იმიტომ, რომ ქარაფშუტა გოგონებს უყვართ სიტკბო, მე კი სერიოზული ადამიანი ვარ — მისგან სიკვდილი მინდა.

ჩემს ცხოვრებაში პირველ სიგარეტთან და პირველ სესიასთან ერთად შემოვიდა. პრინციპში, მანამდეც გამოჩენილა, მაგრამ — მხოლოდ უკანონოდ. ჯერაც უნიათო იყო, იმ დიასახლისებისაგან, ვისაც მისი ბუნების არაფერი გაეგებოდათ, უმოწყალოდ განაწამები. მე ის ერთმა ავანგარდისტმა პოეტმა გამაცნო. ეს მოხდა ღამით, საერთო საცხოვრებლის ფანჯრის რაფაზე. მოგვიანებით პოეტიც, საერთო საცხოვრებელიც, სესიაცა და ავანგარდიზმიც უკვალოდ გაქრნენ, ის კი დარჩა.

ის ერთადერთია, რისი რეკლამაც ასატანია ჩვენი ტელევიზიით, რადგან მისი ნიშნითაა აღბეჭდილი. აზროვნების ნიშნით.

ის ერთადერთი მატონიზირებელი სასმელია, რომელიც დომინიკელ ბერებს არ ეკრძალებათ. ისინი მას შუადღისას, ბიბლიოთეკაში შეექცევიან, თან, ვატიკანის პოლიტიკაზე ბაასობენ.

ის ერთადერთი საყოველთაოდ ლეგალიზებული ნარკოტიკია. მასზე აუგი არავის დასცდება.

ჩვენში ეკატერინე მეორეს დროს შემოვიდა ვოლტერიანელობასთან, ვრცელ წერილობით განსჯასთან და მოკლე სასიყვარულო რომანებთან ერთად.

მისი მოდუღება მხოლოდ თურქებს ეხერხებათ. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ განკუთვნილ ჭურჭელს ჩვენში სწორედ „ტურკას“ უწოდებენ. ირლანდიელები მას რომთან ერთად, სქელი მწვანე შუშის ჭიქებით სვამენ. ირლანდიელები გაუმაძღრები არიან, მათი გამძლე თავები, დიდი ხანია, ჯინ-ტონიკიდან მოლოტოვის კოქტეილამდე, ნებისმიერ ნაზავს შეეგუენ.

ავსტრიელები შაქრისა და ნაღების აუარებელი რაოდენობით აზავებენ და ისე სვამენ. შაქარლამას სახლების, ფაიფურის თოჯინებისა და სამსაწოლიანი ლოგინების პატრონი გულისამრევი ერი.

იტალიელები ნაყინსა და ლიქიორს აყოლებენ. სხვა რას უნდა მოელოდე მაფიოზებისაგან, რომლებსაც ვერა და ვერ გაურკვევიათ — სისხლი უფრო უყვართ თუ ოპერა?

ინგლისელები სვამენ შავს, მომცრო ფინჯნებით, სადაც ყველაფერი, მათ შორის მარილიც, ზომიერადაა ჩაყრილი. ამიტომაც კარგად აზროვნებენ, მსოფლიოში საუკეთესო გამომძიებლები ჰყავთ და ნორმალური პარლამენტი აქვთ.

ფრანგები მას ყველგან სვამენ — ბისტროებში, რესტორნებში, რელიგიურ სასწავლებლებში, საკუთარ მანსარდებში, სხვენზე და ხიდების ქვეშ. უკანასკნელი კლოშარისთვისაც კი ხელმისაწვდომია. მაგრამ მათთან უგემურია.

ამერიკელები იმიტომ სვამენ, რომ ჩვენა აქვთ: ყველაფერი პირში უნდა გაიქანონ. თანაც — გარყვნილი ფორმით. ამერიკაში ის არა მხოლოდ ხსნადი და ხელოვნურია, მას უმთავრესი არსი — კოფეინი — გამოაცალეს. სილიკონის ამერიკამ ხომ ყველაფერი უნდა დაამდაბლოს. უკოფეინო ყავა იგივეა, რაც უყვერებო ხარი. სამაგიეროდ, მისი ლამაზად შეფუთვა ისწავლეს. ამის გამო, უფრო გიმძაფრდება არაკეთილსინდისიერებისადმი სიძულვილი.

რუსეთშიც აჰყარეს პატივი. რუსეთი მისი უსასრულო ტანჯვის ადგილია. მას ამზადებენ განვითარებული ქვეყნების ნაგვისა და ნაფცქვენებისაგან, რადგან ჩვენში ის არ მწიფდება. ამიტომაც აქ ქერისაგან მიიღება. ბრეჟნევის ეპოქაში ყველა კუთხეში იყიდებოდა მისი ამაყი სახელით დამშვენებული ქერის სასმელი, ყოველი მოდუღებისას ლაფში რომ სვრიდა მის სახელს. ეს სირცხვილი მხოლოდ სოციალიზმთან ერთად მოგვშორდა და მომავალში ეს ორი მოვლენა მუდამ გვერდიგვერდ იდგება.

მაგრამ ამით საქმე როდი დამთავრდა. მას ემალის ქვაბებში ხარშავდნენ. ადუღებდნენ უზარმაზარ ტაშტებში და მთელ ოჯახთან ერთად მიირთმევდნენ, მსგავსად იმისა, როგორც ამას სტივენსონი აღწერს. ამის შედეგად, მომაკვდავი ყარიბივით გამჭვირვალე ფერი ედო. თუმცა, კარგად საღდებოდა სასადილოებში, სადაც კედელზე გაკრული პლაკატი მოგიწოდებდათ: „სადილად პური ზომიერად მოიხმარე!“ და სადაც მას რეზინის ქათმის ბარკლებს, ბრინჯს, სალათებსა და მჟავე კომბოსტოს აყოლებდნენ. ხალხისათვის მიუწვდომელი ოპიუმი.

მაგრამ არც ეს აკმარეს. ჩვენში მას აუდუღარ წყალზე აყენებენ. უცხოურ ფხვნილს ფინჯანში ყრიან და ცივი წყლის ჭავლს უშვერენ. იმიტომ, რომ ცხელი წყალი ჩვენს ონკანებში კანალიზაციიდან მოედინება. მისი დალევა ციმბირის წყლულით გვემუქრება. ასევეა ცივიც, უბრალოდ, ცივი ნაკლებად ყარს. მისი ბუნება კი ყველაფერს აკეთილშობილებს. ხოლო ასე იმიტომ სვამენ, რომ დროის დაზოგვა სურთ. იმიტომ, რომ სწრაფი სრბოლა უყვართ. იმიტომ, რომ, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ყველაფერი ერთდროულად უნდა მოხდეს. კბილებში სიგარეტს ვირჭობთ, სიფათს ხელისგულებში ვმალავთ, ყავას ონკანიდან ვისხამთ.

მართლაც, რა განსხვავებაა? კოფეინი ხომ მაინც რჩება! ჩვენ გემო კი არა, ეფექტი გვაინტერესებს. არაყთან მიმართებაშიც იგივეა: მერე რა, რომ გადამწვარი და საზიზღარია — მთავარია, სული გაგვითბოს.

მაგრამ არაყი, მდედრობითი სქესის ყველა არსების მსგავსად, მზაკვარი და სულისწარმწყმედია. ის კი — არასოდეს.

ცხადია, მასზეც დამოკიდებული ხდები. კოფეინის „ლომკა“ ხავერდოვანი სანამებელია გულისრევით, სისუსტითა და შაკიკით. ის შენს ნებისყოფას იმონებს. მუდამ შეიძლება, გაჩნდეს ის მომენტი, როდესაც, სამი ერთჯერადი „ნესკაფეს“ გამო, ყველაფერზე წახვალ. სამის — იმიტომ, რომ იმ იდიოტებს, რომლებიც მას აფასოებენ, ყავაზე დამოკიდებულებისა და მარტივი რუსული სიტყვისა — „დოზა“ — არაფერი გაეგებათ.

ამ სამი ერთჯერადი პაკეტის შემდეგ კი მუდამ დგება წამი, როცა შუბლიდან ფართოეკრანიანი ობიექტივი გამოგდის — დამახასიათებელი ტკაცანითა და ოდნავშესამჩნევი ჭრიალით იმართება ტვინის ნაოჭები. ობიექტივი ირთვება და თავს სამყაროს მბრძანებლად შეიგრძნობ.

მან შეიძლება, მოგწამლოს კიდეც. ეს ძალზე უსიამოვნო და სახიფათო მდგომარეობაა, რასაც ძლიერი გულისრევა, აჩქარებული გულისცემა, სუნთქვის შეკვრა, ცივი ოფლი, ხელებისა და მუხლების ცახცახი, საკუთარი თავისადმი სიძულვილი და ძალზე მკაფიო ცოდნა მოსდევს თან, რომ შენს მკერდში მოთავსებული მექანიზმი სულაც არაა მარადიული. ეს შიშს უკავშირდება. ეს ინიციაციაა.

მას შეიძლება, დიმედროლი შეურიო, რათა დროზე ადრე არ მოკვდე და უკან დასახევი გზა მოიტოვო. ეს დანაშაულია. ნებისმიერი ექიმი და ნებისმიერი მომხმარებელი ამას ერთნაირად შეაფასებს და მართალიც იქნება.

ის სასწაულმოქმედია. შაკიკს არჩენს. შაკიკს იწვევს. აღგვაგზნებს. გვაძინებს. შეგრძნებებს გვიმძაფრებს. შეუძლია, სიფხიზლე მოგვიდუნოს. ზოგჯერ ჩვენში ლიტერატურულ ნიჭსაც აღძრავს. ეს ერთადერთია, რასაც უკუსვლა არ აქვს. ყავას ჯერ არასოდეს არავინ დაუდებილება.

ის გახრწნილ ინტელიგენტურ შეკრებებსა და გახრწნილ ინტელიგენტურ მარტოსულობას უკავშირდება. რასაც კი შეეხება, ყველაფერს საზრისს ანიჭებს. ნებისმიერ ხელებს აკეთილშობილებს, რომლებიც მას ეხება.

მისი სახეობებით თავის მოწონება უყვართ ნუვორიშებს, ვისი მდივნებიც სასმელთან ერთად ლანგრით ქილასაც დაატარებენ. შეხედეთ, უვარგისებო, აი, რის უფლებას ვაძლევთ თავს.

კომერციული წარმატებისა და ცხოვრებისეული კრახისაკენ მიმავალი გზა მისი ეტიკეტებითაა მოფენილი. წესით, ისიც აბსენტივით უნდა აიკრძალოს.

წესისამებრ, გაცრილ ქვიშაში მისი მოდუღებისას ისეთი სურნელი ვრცელდება, უცხადესად რომ განგვაცდევინებს: სამყაროში ყოველივე კეთილადაა განწესებული და იქ, ზეცაში, ვიღაცამ ძალიან იზრუნა ჩვენზე. შესაძლოა, ეს ისევ ის გამოუთქმელი სიყვარულია მთელი სამყაროსა და თითოეული ცოცხალი არსებისადმი. მთავრობის წევრებს ის, წესით, წამალივით უნდა გამოუწერონ.

ის ადამიანებს კოსმოპოლიტებად აქცევს. სახლია, რომელსაც, სადაც კი წახვალ, თან წაიღებ.

ჩემთვის ის ძველისძველ სავარძელთან ასოცირდება, სადაც სიბერეს ჩემს გემოზე გავატარებ ინტელექტუალური დეტექტივების კითხვაში. ჩემი მეგობრისათვის ის ციხის საკანთან ასოცირდება, სადაც უკანასკნელი ჩვენების მიცემა მოუწევს. ამის წყალობით, ვხვდები, თუ რაოდენ განსხვავებულები ვართ.

მე მას ვსვამ ნაჩქარევად, ცივად, ფინჯნებით, რომლებშიც მისივე კვალია დარჩენილი, სიგარეტის ნაფაზებსა და კლავიატურის კაკუნის შუალედებში. ჩემი მეგობარიც ასე იქცევა. ამის წყალობით, ვხვდები, რაოდენ ბევრი გვაქვს საერთო.

ის მუდამ თავისუფლების მაუწყებელია. მისი აჩრდილი დასტრიალებს 1968 წლის პარიზის ყავახანებს, კუბელ მეამბოხეთა თუნუქის ჭიქებსა და გარდაქმნისდროინდელ სამზარეულოებს. წმინდა წერილი არაფერს გვეუბნება ვაშლის შესახებ. ვაშლი მხოლოდ მოსახერხებელი ინსინუაციაა. კეთილისა და ბოროტის სიბრძნის მპყრობელი ცნობადის ხე ყავის ხე იყო.

ჰერმესი და აპოლონი

არქეტიპები

„მესამე თაობის“ ორი ახალგაზრდა ღვთაება (ტიტანთა შვილიშვილები, ოლიმპოელთა შვილები), მამით ძმები, ზევსის ძენი. თავიანთი გვიანდელი წარმოშობის გამო ნაყოფიერების კულტის დამკვიდრებას უკავშირდებიან და, ცხადია (ურანოსისა და გეასაგან განსხვავებით), არანაირ კოსმოგონიას არ გამოხატავენ. ესენი „ადამიანური საქმიანობის“ სფეროს ეკუთვნიან, კულტურული ღმერთები არიან. თუმცა, ამ შემთხვევაში, მითოლოგიის

განვითარებაში მათი გავლენის სფეროს შეზღუდვა-გაფართოვება ნაკლებად გვაინტერესებს.

პოპულარული გადმოცემების თანახმად, აპოლონი ოდითგანვე ხელოვნების ღმერთად მიიჩნევა, ჰერმესი — ხელობის სხვადასხვა დარგისა და ვაჭრობისა. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ძველებს მშვენივრად ესმოდათ: ხელობისაგან განსხვავებით, ხელოვნება არ იყიდება. ამაში ჩვენზე ბევრად უფრო მოწინავენი გახლდნენ.

ორივე ღმერთი მესაქონლეობის არქაული ტრადიციიდან მოდის. თავდაპირველად ძროხებს აპოლონი მწყემსავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰერმესმა ძროხები მოსტაცა, აპოლონი მუზებზე გადაერთო. თუმცა ჰერმესმა სწრაფად მოიცილა თავიდან ძროხები, მათი წყალობით დიპლომატიისაკენ გაიკვლია გზა და გახდა შიკრიკი (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანგელოზი).

ორივეს მუსიკა იტაცებდა, ჰერმესმა პირველმა გამოიგონა ქნარი, მაგრამ შემდეგ ის აპოლონმა გამოართვა (სხვა ნივთში გააცვლევინა). ამის მერე ჰერმესმა სალამური გააკეთა, მაგრამ ისიც აპოლონმა ჩაიგდო ხელში და ორივე ინსტრუმენტს მშვენიერი გამოყენება უპოვა. ხელობა პირველადია, ხელოვნება კი მეორადი, რადგან პირველი ინსტრუმენტის ხარისხისა და რაგვარობის გარანტიას იძლევა, მეორეს კი მისი გამოყენება სრულყოფილებამდე აჰყავს.

ორივეს საქმე გახლდათ მკითხაობა და ნათელხილვა, მაგრამ აქ უკვე აპოლონის მონაპოვრით ჰერმესი სარგებლობდა. შედეგად, აპოლონმა დელფოს სამისნოთი გაითქვა თავი, ჰერმესმა კი — მთელი ჰერმენევტიკით.

ორივე მფარველობდა შემოქმედებას, მედიცინას, ფილოსოფიასა და ასტრონომიას. როგორც ამბობენ, ამ დისციპლინათაგან ზოგიერთი მათივე გამოგონილია.

აპოლონს შეესაბამება ჰორუსი (შევარდენი), მზისა და სინათლის ღმერთი. ჰერმესს შეესაბამება დროისა და სიბრძნის ღმერთი ტოტუსი (იბისი ან წერო).

წერო, პოეტების მფარველი, ჰერმესის წმინდა ფრინველად მიიჩნეოდა მანამ, ვიდრე აპოლონმა ისიც არ მიითვისა. პირველი ანბანი ლურსმული ანუ სოლებრივი გახლდათ, რადგან წეროთა გუნდს ცაში სწორედ სოლის მოყვანილობა აქვს.

აპოლონს ეკუთვნის დამწერლობა, განათლება და კულტურა, ჰერმესს — ანბანი, მაგია და კულტი. აპოლონი უკავშირდება ხმოვან ბგერებს, გალობას, სიმებსა და თანხვედრას. ჰერმესი — ასოების მოხაზულობას, ფორმულებს, თანხმოვანთა წყობასა და გამონაკლისებს.

აპოლონი მუსიკაა, ჰერმესი — ტექსტი.

ჰერმესმა გამოიგონა ტანვარჯიში. აპოლონი ათლეტებს მფარველობდა.

აპოლონს ჰქონდა მწყემსის კვერთხი, რომელიც ჰერმესს თავდაპირველად სულაც არ მოსწონებია. მან იგი მხოლოდ დიპლომატიურ სამსახურში გადასვლის შემდეგ მიისაკუთრა. შიკრიკის ამ კვერთხს ორი თეთრი ჰერალდური თასმა ამშვენებდა, რომელსაც მცდარად აიგივებენ გველებთან.

არადა, გველები შემთხვევით როდი აგონდებათ. აპოლონმა თავის დროზე მოკლა ვეება გველი, პითონი, მის დედას რომ ემუქრებოდა. ჰერმესმა გველებშემოხვეული კვერთხი გარდაცვლილთა აიდში გაცილებისას შეიძინა.

აპოლონის კვადრიგაში შებმული ოთხი ცხენი წელიწადის ოთხი დროა. ჰერმესის კვერთხზე შემოხვეული გველები სიკვდილისა და სიცოცხლის საუფლოებია, რომელთაც ის ფოსტალიონობას უწევს. ის აგრეთვე ბუნების ქალური და მამაკაცური მხარეებია, რომელთაც ის შეითავსებს. აპოლონს ამ წყვილადობისათვის ტყუპისცალი და ჰყავს.

აპოლონი შვიდთვიანი დაიბადა ცხრადღიანი მშობიარობის შემდეგ, მანამდე მრისხანე ურჩხულმა მის ფეხმძიმე დედას დიდხანს სდია კუნძულებზე, ხეობებსა და დაღარულ ტრამალებში. ჰერმესი მშვიდად და წამიერად იშვა არკადიის გამოქვაბულში.

აპოლონი მშვილდ-ისრითაა აღჭურვილი, მას მრავალი უმოწყალო მკვლელობა მიუძღვის. ჰერმესს კვერთხის გარდა სხვა იარაღი არ აქვს და არც ვინმე მოუკლავს. აპოლონი შურისმაძიებელი ღმერთია, ჰერმესი — ღმერთი-ინფორმატორი.

არც ერთი არასოდეს შეუღლებულა, მაგრამ ორივეს შვილები ჰყავს. აპოლონს — კომედიის მფარველი მუზა თალიასაგან, ჰერმესს — მრავალი ქალისგან. აპოლონი მუზათა გუნდის გარემოცვაში წარმოგვიდგება, მათ ქურუმ ქალებს ქალწულებრივი უმწიკვლოება მოეთხოვებათ. ჰერმესს განმარტოვებით, ფრთოსანი სანდლებით შემოსილს ვხედავთ, მის ქურუმებზე არაფერი ვიცით.

აპოლონი, გარკვეული ინტერპრეტაციის თანახმად, გასაგები და ცალსახაა. ჰერმესი ყველანაირი პარამეტრით ამბივალენტურია. მამაკაცობის სიმბოლოდ აღიარებული აპოლონის ცხოვრებაში ვაწყდებით ბიჭებთან ურთიერთობას და ვნებათაღელვისას ჩადენილ მკვლელობებს, რომელსაც შემდგომ მწარედ გლოვობს. ამით ხდება იმ სისრულის ანაზღაურება, რაც ამ ღვთაებას აკლია. ჰერმესს მსგავსი არაფერი მოსვლია. როგორც ჩანს, ისედაც სრულყოფილია.

აპოლონი თავის ჭკუაზე ცხოვრობს. ჰერმესმა დიონისე აღზარდა.

აპოლონს ოქროსფერი თმა და ბრგე აღნაგობა აქვს. ჰერმესი შავგრემანი და ბავშვურად უმწიფარია. აპოლონის ქანდაკებები მშვენიერების ეტალონად წარმოგვიდგება, ამ ღმერთს ყველაზე უფრო ღამაზი სხეული აქვს. ჰერმესის გამოსახულებანი სხვა რამით გვხიბლავს, ამ ღმერთში ენერგიის მაქსიმუმია მოქცეული.

ჰერმესი ინტერნეტის მფარველი ღმერთია.

აპოლონი იმას მფარველობს, რაც ინტერნეტშია მოთავსებული.

ჰოგუორტზი, როგორც უნივერსალური სკოლა

ფრაგმენტი
როლური თამაშის კონცეფციიდან

ARSEBOBს ადამიანის მიწიერი ცხოვრების ამსახველი ორი არქეტიპი. პირველი გარკვეული მიზნისაკენ მოგზაურობა და უკან დაბრუნებაა — მოგზაურობა იქით და აქეთ. ამ მითოსს ავითარებს ოქროს საწმისით დაბრუნებული ხომალდი „არგო“, ძალმოსილების ბეჭდის გარეშე (მანამდე კი — ბეჭდით) დაბრუნებული ჰობიტები, „თოვლის დედოფალი“, ხეტიალის ყველა ზღაპარი, „მარადი დაბრუნების“ ფილოსოფია და ფენტეზის მასიური ნაკადი. მას საუკეთესოდ ტოლკიენის მეტაფიზიკა გამოკვეთავს: ადამიანი იდუმალი სამშობლოდან ყარიბად მოდის ამქვეყნად, დახეტიალობს, ბევრ გასაჭირს ნახულობს, სამყაროს ცვლის და, საბოლოოდ, კვლავ შინ ბრუნდება. მოგზაურობის საზრისი გარკვეული ქუესტის (მისიის) აღსრულება და, ამავდროულად, საკუთარი არსის უცვლელად შენარჩუნება. რაგინდ ეწამოს, გმირი მაინც არ უნდა დაეცეს. ეს, გარკვეულწილად, სახლის ზღურბლთან წრიულად შეკრული გზაა — ცხოვრება, როგორც გამოცდა.

მეორე არქეტიპი ვექტორია, ცხოვრებას სკოლად რომ წარმოგვიდგენს. ეს სკოლა გარკვეულ გამოცდილებას გვაწვდის: თითოეული მოვლენა გაკვეთილია, თითოეული განსაცდელი — გამოცდა, ადამიანს კი მუდამ სწავლა და კვლავაც სწავლა ევალება. ადამიანი უნდა გამოიცვალოს, ჩამოყალიბდეს, მაშასადამე, გაიზარდოს, დაძლიოს შიშები, ჩაწვდეს სიყვარულის საზრისს, განთავისუფლდეს ილუზიებისაგან და ასე შემდეგ. თუკი პირველ არქეტიპს საქმე აქვს სასწაულებით თუ ურჩხულებით სავსე სივრცესთან, მეორეს დროსთან აქვს საქმე (დროს კი საკუთარი სასწაულები და საკუთარი ურჩხულისებრი ნიღბები აქვს). უკანასკნელ გამოცდად სიკვდილი გვევლინება. ამ სფეროს განეკუთვნება წიგნები ბავშვობასა და აღზრდაზე, მრავალტომეული რეალისტური საგები („ომი და მშვიდობა“), მისტიკური რომანები ჭეშმარიტების შეცნობაზე („დასავლეთის სარკმლის ანგელოზი“), საიდუმლო დოქტრინები, ზოგიერთი საავტორო ზღაპარი („ბურატინო“) და ყველაფერი, რაც ასე თუ ისე ადეპტატს (ხელდასხმას) უკავშირდება (მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ თამადობით). ცხოვრება დაბრკოლებებით სავსე რბოლისა თუ დოღის სახით წარმოგვიდგება, რომლის დასასრულს ადამიანს ფერისცვალება მოელის („ქანქარაზე გაკრული ბელბოს სხეული სიცარიელეში ჩამოკიდულ სეფიროტის ხის ნახაზად გარდაისახა და თავისი უკანასკნელი მოგზაურობით უსისხლო სულის შთაბერვის ათი საფეხური დასახა, მასში იყო ღვთიური სანყისის ქვეყნად შთამოსვლის ყველა ფაზა“ — ფრაგმენტი უმბერტო ეკოს ნაწარმოებიდან „ფუკოს ქანქარა“).

ცხადია, ამავე რკალს ეკუთვნის სკოლაზე დაწერილი ყოველი წიგნიც: წერია „სკოლა“, იგულისხმება ცხოვრება. მარტივი ალეგორიაა.

ჰარი პოტერზე შექმნილი საბავშვო შვიდტომეული მოგვითხრობს ჰოგუორტზის უნივერსიტეტზე, სადაც არანორმალური ადამიანები (ჯადოქრები, ხელდასხმულნი, რჩეულნი) სწავლობენ. ისინი არანორმალურ დისციპლინებს შეისწავლიან (უსულო საგნების სულიერად გადაქცევა, უძველესი რუნები, მისნობა და ბანგები, ბნელი ძალებისაგან თავდაცვა და ღვთისგან ნაბოძებ სინამდვილეზე ზეგავლენის სხვა მეთოდები). აქ მასწავლებლებიც არანორმალურები არან: გარიყულნი, უნებისყოფო დავრდომილნი, მიზანტროპები, მოღალატენი, მაქციები. ამ სკოლაში ბავშვები არანორმალურად სწრაფად იზრდებიან, რადგან გამოცდაზე არგამოცხადებისათვის საპატიო მიზეზად თვით სიკვდილიც კი არ გამოდგება, სიკვდილი კი ძალზე ახლოსაა ჩასაფრებული, რადგან არანორმალური საგნების არანორმალური მეთოდებით შესწავლა საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს. და მაინც: ეს რჩეულთა მოწოდებაა. გარე სამყარო მუყაოსავით მტკნარი და უფერულია. მასში ტლუ მომხმარებლები ბინადრობენ. ჯადოსნური სამყარო საკმარისად ბაძავს ჩვეულებრივს, რათა მის დაუხმარებლადაც იარსებოს: ამ არანორმალურ გარემოს საკუთარი სამინისტრო, ბანკები, გაზეთები, როკ-ჯგუფები, კაფე-ბარები, მაღაზიები და საყოველთაო დასაქმება აქვს. და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჯადოსნური სამყარო მაინც ჩვეულებრივის პარაზიტია. ალბათ, იმიტომ, რომ ორივეს საერთო მტერი ჰყავს: ბნელი ლორდი.

...რომელი მხრიდანაც უნდა შეხედო ამ ყველაფერს, ყველაზე მეტად ეს ჩვენს როლურ მოძრაობას წააგავს. როლური მოძრაობის მიკროსოციუმი დიდი სამყაროს ყველა სტრუქტურას იმეორებს და, ამავე დროს, თავისი განსაკუთრებულობის გამო, მედიდურად აქცევს ზურგს. როლური თამაშები ჩვენი ჯადოსნური ცხოვრებაა. როლურ გარემოში როულინგისეული ჯადოქრების ყველანაირ ტიპს გადაეყრებით: „სუფთა სისხლის“ ქედმაღალ სნობებს (მხოლოდ ქუენიაზე რომ მეტყველებენ და მხოლოდ XI საუკუნის რეკონსტრუქციით არიან დაკავებულნი), დემოკრატ ჯიგრებს (კარგი კომპანიის ხათრით ყველაფერზე რომ თანხმდებიან), ჟურნალისტებს, სცენის ვარსკვლავებს, არქივარიუსებს, თვითკმაყოფილ ნარცისებს, უნიჭოებს, დიდოსტატებს, ვის დამზადებულ ჯადოსნურ ჯოხებსაც მთელი ქვეყანა ყიდულობს, ნახავთ ჩინოსნებს და პრეზიდენტებს, ადმინისტრატორებს, ჩემპიონებს რკინის მძიმე და პლასტიკის მსუბუქ წონაში, ბნელი ძალების მომხრეებს; გვყავს ჩვენი სპეცდანიშნულების რაზმიც (11 საათის შემდეგ საშვს თუ არ წარუდგენ, ხელებს თავსუკან დაგაწყობინებენ), გვყავს ქურდები და სკვიბები, დიდ სამყაროსთან მოკეკლუცე პოლიტიკოსები და საშუალო დონის სპეციალისტები, დიდ მაყუთად რომ გაიყიდნენ, გვყავს მოღალატეები და განდეგილნი; უშიშროების ფედერალური სამსახური ჩვენც გვითვალთვალებს (რათა გარე სამყაროშიც არ წაგვიცდეს ხელი ჯადოქრობაზე). გვყავს უფროსი ქვეგანაყოფი — ეს ის დინოზავრები არიან, ცხოვრებაში ყველაფრის გემო რომ მოსინჯეს, მაგრამ ჯერაც არ დაუკარგავთ ყოვლად მისასალმებელი სურვილი, საკუთარი გამოცდილება მოზარდებს გაუზიარონ. გვყავს ცხოვრებისაგან დაღლილი ჯადოქრები, თავი მეცნიერებას ან ავტობიოგრაფიას რომ შეაფარეს. გვყავს ტირანი მასწავლებლები (სამი ლიტრი სპირტი), თეორეტიკოსი მასწავლებლები (სამი ტომი ფსიქო-სოციალური გამოკვლევები) და პრაქტიკის ურყევი მიმდევარნი (სამი თვე ტრენინგი); მოწაფეთა შორის არიან მლიქვნელები, გულღიები, ბეჯითები, ინტელექტუალები. გვყავს სახელობითი გმირები. გვაქვს ჩვენი სიმპოზიუმები და დადგენილებანი, დაუწერელი კანონმდებლობა, საშობაო მეჯლისები და კულტურული გაწევ-გამოწევა. რაღა თქმა უნდა, ქვიდიჩის ტურნირებიც გვაქვს (ზოგჯერ სანახაობრივი, ზოჯგერ კი უმსგავსო თავპირის მტვრევა). მერლინის ორდენიც კი გვაქვს დაწესებული ქვეყნის წინაშე თამაშის სფეროში განეული ღვაწლისათვის. ფორმით ის გოდრიკ გრიფინდორის („ჰარი პოტერის“ პერსონაჟი, ჰოგუორდზის ერთ-ერთი დამაარსებელი) ხმლის, დიურანდალის მინიატიურას წარმოადგენს. თითოეული შემდგარი თამაში ოსტატებისათვის გამოცდაა, მოთამაშეებისთვის კი — ჩათვლა. თამაშისთვის მზადების პერიოდი სასწავლო პროცესია.

საინტერესოა, რას შეგვასწავლის როლურ თამაშებში მონაწილეობა?

რა ეწოდება ჩვენს მიერ შესწავლილ საგნებს?

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ჩვენ შევისწავლით ღვთისგან ნაბოძები სინამდვილის შეცვლას, რისთვისაც შემდეგ მეთოდებს ვიყენებთ: ტრანსფიგურაციას (200 მეტრის სიგრძის ჯვალო ვერსალის სასახლედ გარდაიქმნება, შარვალი — კოხტა კიულოტად), გარდასახვის ბანგებს (გოგონები ბიჭებად გარდაისახებიან, ჰობიტები კი — ელფებად). გარდა ამისა, შევისწავლით ჩვენს საკუთარ ბოგარტებს (ჩვენი შიშების ნაირსახეობებს), ვივარჯიშებთ ნებისყოფასა და თვითგადარჩენის უნარებს, ვიკვლევთ ჰერმეტულ მოძღვრებებს, რადგანაც ისინი იმ ეპოქებში არსებობდა, რომლის მოდელირებასაც ვახდენთ, ეს მოძღვრებებია ალქიმია, ასტროლოგია, რუნებითა და ტაროს ბარათებით მკითხაობა; ვეცნობით ძველი სამყაროს მითოსურ პანთეონებს, დემონოლოგიაში ვიქექებით და ზოგჯერ მისი ხორცშესხმაც გვიწევს, ვეჩვევით ადამიანურ არსზე უარის თქმას, ვსწავლობთ დასავლურ და აღმოსავლურ თეოლოგიას, ვაწარმოებთ საბრძოლო მაგიას, ვახდენთ საწამლავებისა და ჯადოების მოდელირებას და გამუდმებით ვაწყდებით სიკვდილის სამანს, რომლის მიღმა თამაშის ტექნიკოსები სხედან და, თუ ხელში ჩაუვარდი, მთელი დარჩენილი თამაშის მსვლელობისას მათი პირქუში მეთვალყურეობის ქვეშ ექცევი — არც ცოცხალი, არც მკვდარი. მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ საკუთარ თავს შევისწავლით. თხუთმეტწლიანი როლური სტაჟის შემდეგ უკვე შეგიძლია, ადამიანებზე ესა თუ ის დასკვნები გამოიტანო. რა დონის ჯადოქარიც უნდა იყოს, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, იმით კი არ ფასდება, თუ რა შეუძლია, არამედ იმით, თუ რად იქცა, როგორი რწმენა აღმოაჩნდა და რეალურად რა ვექტორით იმოძრავა; თუ რას ემსახურება. ჩვენს მჭიდრო ფენაში ვერაფერი დაიმალება. ამ წლების მანძილზე ვიღაც, შესაძლოა, გილდეროი ლოკჰარტად გადაიქცა, სხვამ სირიუს ბლეკის ბედი გაიზიარა, ვიღაც კი სულაც პიტერ პეტიგრიუ გამოდგა. ყველაფერთან ერთად, სწავლის პროცესში ვთავისუფლდებით იმ ილუზიისგან, თითქოს ყველანი ძმები ვიყოთ და, გვსურს თუ არა, ერთმანეთში უნდა გავითქვიფოთ. როდესაც თითოეულ მონაწილესთან მიმართებით უკვე წარმოთქმულია ის წინასწარმეტყველება, მხოლოდ უშუალო ადრესატისათვის ხელმისაწვდომ საგანგებო ადგილას რომ ინახება, მაშინ რაღაც საყოველთაო და ერთობლივზე ლაპარაკი ყოვლად ფუჭია. ჩვენი შემადგენლობის დახარისხებისა და კრისტალიზების მომსწრენი თვითონვე ვხდებით და, საბოლოო ჯამში, ყველანი ჩვენ-ჩვენი კუთვნილი ბედის პირისპირ წარვსდგებით. თითოეული ჩვენგანი საკუთარ შუბლზე მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ნაიარევის გარჩევას სწავლობს.

მოგზაურობა-ძიების არქეტიპს შევყავართ ეპიკის სივრცეში, სადაც ყველანი ჩვეულებრივი ზომის ადამიანები კი არა, ბუმბერაზი ელფი გმირები ვართ, ან სულაც გაურკვეველი წარმოშობის პერსონაჟები. სკოლის არქეტიპი კი საკუთარი არასრულყოფილების ფაქტის წინაშე გვაყენებს. როულინგის ჰოგუორტზის უნივერსალურობას ის კი არ განაპირობებს, რომ მასში დისციპლინათა ფართო სპექტრი ისწავლება, არამედ ის, რომ მას შეიძლება, ნებისმიერი მოვლენა შეადარო, თუკი ამ მოვლენას განვითარება და გამოცდილების დაგროვება ახასიათებს.

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ლორა ბოჩაროვა

AVE MATER DEI!

კედლისკენ, რომლის ჭაღარა ლოდებს
სხივების სითბო ფერავს,
გეზს ვაძლევთ ცხენებს და აღმართული
ბასრი მახვილი ელავს.
ღვთით დაწყევლილი თეთრი სავანე —
ჩემი ლაბადის კალთა.
Ave Mater Dei!

არის ორი გზა: სიბნელეს ებრძვი
ან სინათლეში რჩები.
სასიკვდილოა ჩემი აღთქმა და
მოკვდება მტერი ჩემი.
ჩემს მკერდზე ჯვარი ალისფერია
ისე, ვით სისხლის წვეთი.
Ave Mater Dei!

გული, ლოცვების მძიმე მარწუხში
სულმთლად გაჩერდეს ლამის.
ჟამი ტრფობისა — არის ვასალი
ბრძოლის, სიკვდილის ჟამის.
წმინდა ქალწულის ნათელი მზერა
დღევანდელ დღეში მოჩანს,
Ave Mater Dei!

თუ დავიჭრები შუბით და ცხენი
ძირს ჩამოგდებულს მათრევს,
ქარი ჩემს ფერფლსაც წაიღებს, სადაც
სხვები დაეცნენ ადრე.
ეს ანგელოზის ფრთების ჩრდილია,
არა სიკვდილის როკვა!
Ave Mater Dei!

დრო ერთმანეთში ურევს სხეულებს,
პირს მტვრით და ქვიშით გვივსებს.
წმინდა მიწაზე ვიწვები, ქრისტემ
რომ განისვენა, ისე.
დრო — დარჩენილა მოტყუებული,
ვივატ, ბეთლემის ვარსკვლავს!
ვე ატერ ეი!
Ave Mater Dei!

აღთქმა

ამ სიტყვებით მიმართა მეფე ფინროდ ფელაგუნდს ედრაჰილმა, ერთ-ერთმა ელფმა მისივე რაზმიდან, როდესაც ბნელი მბრძანებლის, საურონის მიერ ტოლ-ინ-გორ-ჰოტის ციხეში დამწყვდეულნი ელოდნენ სიკვდილს.

თეთრი მოსასხამის გვერდით,
ძვირფასი გვირგვინის ახლოს,
ზეიმად მიჩანდა ბრძოლა, სიო მიკოცნიდა სახეს.
ნაპირზე მარილი დუღდა, აღთქმა რომ მოგეცით,
მაშინ...
წყვდიადი გეხვიათ,
მაგრამ სინათლეს ვხედავდი თვალში.

თეთრი მოსასხამის გვერდით
თავს ბედის რჩეულად ვთვლიდი,
თეთრი მოსასხამის გვერდით
არასდროს ვყოფილვარ ფლიდი...
თეთრი მოსასხამის გვერდით,
ვიდრე ამ საათმა დაჰკრა...
ვადიდებ სიბნელეს, წყვდიადს,
ახლა რომ გარშემო გვაკრავს!

ჩემო შემოდგომის ლორდო, ეგ გული მტკიცეა,
თითქოს
იყოს მარმარილოს ლოდი, ან იყოს ბაზალტის ქვები.
ჩემი ბედისწერის ბოლოს
მე ბევრს აღარაფერს ვითხოვ:
მზერა ამარიდეთ თქვენი...
მზერა ამარიდეთ თქვენი...

ალისფრად წვეთავდა თოვლზე,
სამარის ყვავილთა მსგავსად.
ალისფრად წვეთავდა თოვლზე,
სადაც „შენ“ ვერასდროს დამცდა.
სიკვდილის თვალია წითლად,
მისი ნაბიჯის ხმა ფრთხილი...
გარშემო წყვდიადი გვაკრავს,
მაგრამ მე სისხლს ვხედავ მხოლოდ.

თეთრი მოსასხამის გვერდით,
ახლა რომ სიშავე ფარავს,
თეთრი მოსასხამის გვერდით,
რომ მიჯობს ყველა სხვა ალამს, —
ტკივილში ვეშვები, მღუპავს,
რომ ვდუმვარ და ვდუმდი დიდხანს.
ტკივილში ჩაძირულს,
თვალწინ მხოლოდ შენი სახე მიდგას.

ჩემო შემოდგომის ლორდო,
ნუღარ შემაშფოთებ, კმარა.
ოქროთი ცურვილი ბადე მომხსენი,
გულზე რომ მომდე...
ტრფობის სიმძიმეზე მეტად თავისუფლებაა მწარე,
თვალნი ამარიდე შენი... ნება მომეცი, რომ მოვკვდე.

ანდროგინი

დაგმანულია ფანჯრები ბაღში,
გუშინ სტუმრების ხმები ისმოდა.
უკან არასდროს არ გაიხედო,
ნურაფერს ელი სამერმისოდაც.
სითეთრე თვალს გჭრის, ვერაფერს ხედავ,
მხოლოდ ღვინის თასს შემორჩა სითბო.
...მე, ძველებურად, როგორც ყოველთვის,
ვარჩევდი მერლოს, სხვას არას ვითხოვ.

თოვლი აანთებს
ნეკერჩხლის ფოთოლს.
ისრები სტარტზე —
და ადგილს მოსწყდნენ.
ამოცლილია ტყვია ახლახანს.
ნეტარ არიან, ვისაც ძღვენი დროზე ერგება:
კეკლუცებს — ვარდის თაიგულები,
კაცებს — ქება და პირში ფერება,
ანდროგინებს კი — არაფერი. მათთვის არა ხამს.

ო, ლირიკულო, შენ, ჩემო გმირო —
ფართო სამოსის კალთებს რომ არხევ,
მყუდროდ ვარ მაშინ, როცა ეგ მფარავს,
მსუბუქად ვზიდავ ორივე სამხრეს.
ჩემში მჟღავნდები, ამას მაგონებს
ლაქით დაფარულ მორზე რგოლები.
მანიშნე, რათა მიხვდეს გონება,
რომ მე მოვტყუვდი, თქვი, გამაგონე.

დაპირებებს და სურვილებს ანდობ,
ბედავ, გახედო ბურუსში ლაჟვარდს...
გულის კარია გახსნილი ფართოდ,
ფართოდ გახელილ თვალებით რაც ჩანს:
პოლუსები და ნახევარსფერო.
...ჩემს არჩევანში მე ვარ აზატი
და ძველებურად, როგორც ყოველთვის,
მხიბლავს აზარტი.

თოვლი მინამქრა კარის ზღურბლთან,
ქარი დაქროდა.
თუ არ ცრუობენ ჩემი გრძნობები —
მე ვარ ბანკროტი.
ძირს ყრია კარტი, შეგიძლიათ მისი დანახვა.
ნეტარ არს, ვისაც ბედისწერა წყალობას აყრის:
ერთს — მყუდრო სახლი,
მეორეს კი — გვირგვინი დაფნის,
ჩვენნაირებს კი, არაფერი. ჩვენთვის არა ხამს.

შენ არ იცოდი, მე რომ მიყურებ,
ტყვიას უყურებ, მიზანში დახლილს.
მე რვა სხეულის მიღმა გავაღწევ,
რომ საკუთარი ვიპოვო სახლი.
ცხრა ზეციური სფეროს გარღვევით,
ორბიტებს არ ვთვლი, ძალას მოიკრებს
და თავისუფლად ცხრა მოციქული
გზას გამოიკვლევს.

თარგმნა ვასილ გულეურმა

ჩარლზ ბუკოვსკი

სტილი

სტილი – აი ყველაფერზე პასუხი.
ახლებური მიდგომა
მოსაწყენი თუ სახიფათო რამეებისადმი.
უმჯობესია სტილურად ქმნა მოსაწყენის,
ვიდრე ქმნა სახიფათოსი უსტილოდ.
სახიფათოს სტილურად ქმნა არის ის,
რასაც მე ხელოვნებას ვეძახი.

ხარების ბრძოლა შეიძლება იყოს ხელოვნება.
კრივი შეიძლება იყოს ხელოვნება.
სიყვარული შეიძლება იყოს ხელოვნება.
სარდინის ქილის გახსნა შეიძლება იყოს ხელოვნება.

ცოტას აქვს სტილი.
ცოტას შეუძლია სტილის დაცვა.
მე ძაღლები მინახავს ადამიანებზე უფრო სტილური.
თუმცაღა ცოტა ძაღლსა აქვს სტილი.
კატები სტილის სიჭარბეს განიცდიან.

ჰემინგუეიმ საფანტიანი თოფის მეშვეობით
კედელს ტვინი რომ მიასხა,
ეს სტილი გახლდათ.
ზოგჯერ ადამიანები გვთავაზობენ სტილს.
ჟანა დ’არკს ჰქონდა სტილი,
იოანე ნათლისმცემელს,
იესოს,
სოკრატეს,
კეისარს,
გარსია ლორკას.

მე ციხეში შევყრივარ სტილის მქონე ადამიანებს.
ციხეში მეტია სტილის მქონე ადამიანი,
ვიდრე ციხის გარეთ.
სტილია, თუ როგორ ქმნა, როგორ იქმნა.
თუ როგორ დგას ტბორში მშვიდად ექვსი ყანჩა
ან თუ როგორ გამოდიხარ სააბაზანოდან შიშველი,
ისე, რომ ვერ მხედავ.

თარგმნა ნიკა ჯორჯანელმა



იგივე პავილიონი, ახალი წიგნები და ახალი მონაწილენი

28-31 მაისს „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში თბილისის წიგნის XVII საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი წელსაც წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია იყო, პროექტს პარტნიორობა გაუწიეს საქართველოს კულტურისა და ძელთა დაცვის სამინისტრომ, პრეზიდენტის ფონდმა და თბილისის მერიამ.



ფესტივალს სამოცამდე მონაწილე ჰყავდა, მათ შორის რამდენიმე წელს პირველად იყო ფესტივალზე წარმოდგენილი: გამომცემლობების გარდა წიგნები შესთავაზეს მკითხველს საელჩოებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა, კომპანიებმა. თითოეულ მონაწილეს დატვირთული პროგრამა და, რაც მთავარია, ფასდაკლებების სხვადასხვანაირი აქცია ჰქონდა. წლევანდელი ფესტივალი ღონისძიებების სიმრავლითაც გამოირჩეოდა, მრავალი პრეზენტაცია, ავტორთან შეხვედრა, დაჯილდოვება გაიმართა, განსაკუთრებული გასართობი პროგრამა მომზადდა ბავშვებისთვისაც.

ტრადიციულად, ფესტივალს სპეციალური სტუმარიც ჰყავდა. გამომცემლობა „ინტელექტის“ ოფიციალური მოწვევით 25-29 მაისს თბილისს სტუმრობდა სერბი მწერალი იასმინა მიხაილოვიჩი, მილორად პავიჩის მეუღლე. ქალბატონი იასმინას წიგნის „ხაზართა ზღვის სანაპიროზე“ ქართული თარგმანის პრეზენტაცია ფესტივალის პირველ დღეს გაიმართა. იქვე მოეწყო „ინტელექტის“ მასშტაბური პროექტის — „პავიჩი ქართულად“ — პრეზენტაცია. საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, შეეძინა პროექტის ფარგლებში თარგმნილი გამოჩენილი ავტორის ექვსი რომანი: „ხაზარული სიტყვისკონა“. „უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში“, „სხვა სხეული“, „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, „უნიკალური ეგზემპლარი“ და „ჩაით დახატული პეიზაჟი“. პრეზენტაციისას თავისი და გარდაცვლილი მეუღლის გამოცემებზე საუბარი იასმინა მიხაილოვიჩმა ასე დაიწყო: „ამაყი ვარ, რომ დღეს ერთდროულად ორ მწერალს წარმოვადგენ“.

უცხოელ ავტორთან ერთად საქართველოში იტალიიდან ჩამოვიდა ლიტერატურული აგენტი, რომელთანაც „ინტელექტი“ ახალი ტიპის თანამშრომლობას იწყებს — სერბ ავტორ მილორად პავიჩის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად სტეფანო ბისაჩი ოთხი ქართველი მწერლის — ნუგზარ შატაიძის, თამაზ ჭილაძის, ბესიკ ხარანაულისა და ზვიად კვარაცხელიას შემოქმედების პოპულარიზაციაზე იზრუნებს.

თბილისის წიგნის ფესტივალს საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვივნენ შარჟას წიგნის ბაზრობის ორგანიზატორები გაერთიანებული ემირატებიდან და გამომცემლები სხვადასხვა არაბული ქვეყნიდან.

ფესტივალის პირველ დღეს „ინტელექტის“ გარდა აქტიურობდნენ გამომცემლობები — „პალიტრა L“ და „სიესტა“. „პალიტრა L“-მა ელექტრონული წიგნების ახალი მაღაზიის ebook.ge-ს პრეზენტაცია გამართა. პროექტ „საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის“ ავტორი ჯაბა სამუშია მკითხველს შეხვდა, მოეწყო ახალი პროექტის, „TOP თრილერის“, პრეზენტაციაც, სერიის პირველ წიგნად გამომცემლობამ ჯეიმს პეტერსონის „ობობას დაბრუნება“ შეარჩია. რაც შეეხება „სიესტას“, მან მკითხველს წარუდგინა ზინა გაბიჩვაძის საინტერესო წიგნი „გრამატიკა ზარმაცემისთვის“. შემდეგ კი მთავარი სცენა დაიკავა თათო შანიძემ თემით „ოლდოს ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“ — თანამედროვეობა“.

ფესტივალის მეორე დღე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მთარგმნელობითი პროგრამის პრეზენტაციით დაიწყო. იმავე დღეს დებიუტანტმა გამომცემლობამ — „წიგნები ბათუმში“ — ბლოგერების კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოვება გამართა. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ყველას, ვისაც პერსონალური ბლოგი აქვს და თუნდაც ერთი პოსტი გამოუქვეყნებია. თემა ასეთი იყო — ბათუმური გამომცემლობის წიგნები.

უკვე გამოსული თორმეტი წიგნიდან კონკურსის ორგანიზატორებმა რვა შეარჩიეს: ართურ კლარკის „კოსმოსური ოდისეა 2001“, ართურ კლარკისა და რობერტ ჰაინლაინის მოთხრობების კრებული, ფილიპ დიკის „იდინე ცრემლო — თქვა პოლიციელმა“ და „კაცი მაღალ კოშკში“, ბერნარ ვერბერის „ჭიანჭველები“, რეი ბრედბერის „ტანმოხატული კაცი“, როალდ დალის „მატილდა“ და „სასწაულთმოქმედი მისტერ ფოქსი“, ასევე, ანა გავალდას „35 კილო იმედი“. სწორედ უკანასკნელი გახდა ბლოგერ მარიამ ცხოვრებაშვილის დაჯილდოვების მიზეზი. მარიამი მესამე ადგილზე გავიდა. მეორე ადგილი ანი მარდალეიშვილს ერგო, რომლის პოსტიც „ტანმოხატულ კაცს“ მიეძღვნა, ხოლო პირველი ადგილი დიანა ანფიმიადიმ დაიმსახურა.

ახალგაზრდა გამომცემლობამ — „ოჩოპინტრე“ — ნამდვილი საჩუქარი გაუკეთა მკითხველს. არაერთ სხვა საინტერესო გამოცემასთან ერთად, არტურ კონან დოილის უცნობი წიგნის — „შიშის ველი“ — თარგმანი წარმოადგინა. რომანი პირველად ითარგმნა ქართულად. ის 1914-15 წლებში პერიოდიკაში ქვეყნდებოდა გაგრძელებებით.

მკითხველი ძალზე გაახარა დათო ტურაშვილთან შეხვედრამ. მისი წიგნის — „მე რომ ფეხბურთელი ვიყო“ — პრეზენტაცია გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამართა. იმავე დღეს „ინტელექტმა“ წარადგინა ორი ახალი გამოცემა: „მოთხრობები საბჭოთა საქართველოზე“ და „ქართული იგავური პროზის ანთოლოგია“ (შემდგენელი თამაზ ვასაძე).

რადგან ფესტივალის მესამე და მეოთხე დღე შაბათ-კვირა იყო, „ექსპო ჯორჯიაში“ უამრავი ადამიანი მივიდა. დილით პაატა ნაცვლიშვილის წიგნის — „ხელოვნური ყვავილები“ — პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი საფრანგეთში გამოიცა და „სოლეზარის“ პრემია მიიღო. შემდეგ სცენა დაიკავა ვერონიკა როთის ცნობილი ტრილოგიის, „განსხვავებულის“, მთარგმნელმა ნინო შეყილაძემ.

პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ფესტივალის თითქმის მთელი პროგრამა ბავშვებზე იყო მორგებული. საბავშვო წიგნების პრეზენტაციები, ზღაპრების გმირებთან შეხვედრები და ასე შემდეგ. მე-11 პავილიონში მისულ ბავშვებს ცნობილმა თაგვმა ჯერონიმო სტილტონმა და პეპიმ უმასპინძლეს. შემდეგ კი მწერალმა გურამ პეტრიაშვილმა მათ პატარა ქალაქის საოცარი ამბები წაუკითხა. მხატვარმა ნინო ჩაკვეტაძემ ილუსტრაციების ხატვის პატარ-პატარა წესები ასწავლა მათ. მნიშვნელოვანი იყო, ასევე, აუტიზმის, დაუნის სინდრომისა და ცერებრალური დამბლის მქონე ქართველი ბავშვების მშობლების მონათხრობებით შედგენილი წიგნის — „ფაზლი, ეტლი და წინდა“ — პრეზენტაცია („არტანუჯი“).

ფესტივალის ბოლო დღე ჰერტა მიულერის „სუნთქვის საქანელამ“ გახსნა („სიესტა“). შემდეგ ლალი ყუშიტაშვილის მიერ ხალიდ ჰოსეინის რომანის — „ფრანით მორბენალი“ — თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. „სიესტამ“ ვაცლავ ჰაველის პიესა — „წასვლა“ — წარმოადგინა.

ძალიან საინტერესოდ იყო წარმოდგენილი გამომცემლობა „დიოგენე“, რომელმაც რამდენიმე ახალი წიგნი შემატა პოპულარულ სერიას „დიოგენეს ბიბლოთეკა“: სალმან რუშდის „ეშმაკეული აიები“ და „ჯოზეფ ანტონი“, ელის მანროს „ძვირფასი სიცოცხლე“, ჰერმან ბროხის „მთვარეულები“ და მაიკლ ონდაჩის „ინგლისელი პაციენტი“. სერია „ამერიკელებს“ კი სამი ტომი დაემატა: თრუმენ კეპოუტის „ხელის აუკანკალებლად“, ჯეფრი იუჯინიდისის „თვითმკვლელი ქალწულები“ და სტივენ კინგის პირველი რომანი „კერი“.

ძალიან სასიხარულოა, რომ ფესტივალს ახალი გამომცემლობები შეემატა. ისინი შთამბეჭდავად წარსდგენ მკითხველის წინაშე. იმედია, მომავალ წელს ქართველ გამომცემელთა რიცხვი და, შესაბამისად, თბილისის წიგნის ფესტივალის მასშტაბები გაიზრდება და მკითხველსაც მეტი არჩევანი ექნება.

მოამზადა თამარ ჟურულმა



ნანა კუცია

მოდერნისტული პასაჟი

როსტომ ჩხეიძის „მზე და მწუხრის“ ერთი ლიტერატურული პარალელისათვის

ბიოგრაფიული რომანი „მზე და მწუხრი“ თუმც შიო არაგვისპირელის ცხოვრების საგაა, რომანის ცენტრალური პერსონაჟი მაინც მხოლოდ ერთი სილუეტთაგანია „მითოსს მოკლებული დროის“ მწუხარე მატიანისა.

საგა სასტიკია — ავტორის ლაკონიური დეფინიციით, „გაბზარულ გულს არად დაგიდევდა მეფისტოფელური ჟამი.“

კონტრაპუნქტის პრინციპით ნაგები ბიოგრაფიული რომანის მხატვრულ ქსოვილში, ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ შრეებში ერთ მოდერნისტულ პლასტსაც ამკვეთრებს როსტომ ჩხეიძე — ურბანისტული სივრცის, ქალაქური ტოპოსის არაგვისპირელისეულ აღქმას — „ავი სუნი და მტვერია“ თბილისური ანტურაჟის მძაფრი დეტალი: „მტვერი და ტფილისი ისეა დაკავშირებული ჩემს გონებაში, ერთის ხსენებაზედ უეჭველად მეორე უნდა მომაგონდესო.“

„მზესა და მწუხრში“, რომელშიც ოთარ ჩხეიძისეული ინტერტექსტის ფრაგმენტებიც ჩნდება, კონსტატირებულია (მოდერნისტ არაგვისპირელზე ჰყვება პოსტმოდერნისტი როსტომ ჩხეიძე): „(ავი მტვერი და სუნი) ყოფითი სურათია, თუმც მწერლის წარმოსახვა სცილდება რეალისტურ ფონს და ყოველივეს მიღმა სიმბოლოებს დაეძებს. ჰელიოცენტრიზმით აღვსილა ეს სამყარო, მზის ვარვარებით გათანგულა. ოთარ ჩხეიძე, ჰელიოცენტრიზმს რომ მიაგნებდა შიო არაგვისპირელის სამყაროს უმთავრეს მრწამსად, ფილოსოფიურ საყრდენად („თბილისის მზე არავის გამოუხატავს ასე თავისებურადა, ასე ძლიერადა, სრულყოფილადა“) *ქალაქის გულში დაგუბებულ შმორსაც თავისებურ გააზრებას მიანიჭებდა და საზოგადოებრივი და ეროვნული დავრდომილობის სიმბოლოდ დაისახავდა“ (მზე და მწუხრი, 2011).*

როსტომ ჩხეიძის აღნიშნულმა ციტატამ ერთი ლიტერატურული პარალელისათვის შეგვაგულიანა.

უაღრესად საინტერესოა, რომ „მოდერნიზმის მამად“ ხმობილი ჯეიმზ ჯოისიც ირლანდიის „საზოგადოებრივი და ეროვნული დავრდომილობის სიმბოლოდ“ სწორედ „შმორის“, „ნესტის“ პარადიგმას ირჩევს, დუბლინს ჭაობად აღიქვამს, ირლანდიის მარადი ჭირით გაბეზრებული.

დუბლინისა და თბილისის — პროვინციულ ქალაქებად დამცრობილი დედაქალაქების სილუეტები თითქმის ერთდროულად მოიხაზება კალმით.

თუმც ტრადიციული შეხედულებით, ქართული მოდერნიზმი „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებიდან აითვლება, არსებობს განსხვავებული მრწამსიც. ოთარ ჩხეიძის ვარაუდით, მიმდინარეობის სათავეებთან ვაჟა და ბარნოვი დგანან, რომელთაც ისევე ააღორძინეს ქართული მითოსი, როგორც გელური (ირლანდიური) — იეიტსმა და ჯოისმა (ლიტერატურული „იზმები“ პარალელურად არსებობენ სივრცულად უაღრესად დაშორებულ, თუმც დროით ერთმანეთს თანხვედრილ ლოკალში).

ვახტანგ კოტეტიშვილის აზრითაც, უკვე ყაზბეგსა და ვაჟასთან შეინიშნება რეალიზმისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მიმდინარეობის სულისკვეთება: „პროტესტანტობის საფუძვლად სოციოლოგიური მხარე კი არ ჰქონდათ, არამედ — ზნეობრივი... ჩვენი ნეორომანტიკოსებიც *(ასე იხსენიებს კოტეტიშვილი ვაჟასა და ყაზბეგს — ნ. კ.)* წინააღმდეგნი იყვნენ იმ საშინელი სინამდვილის, რომელიც დამპყრობი ნაბიჯით მოდიოდა იმიტომ კი არა, რომ იგი ნივთიერად აღატაკებდა ხალხს, არამედ იმიტომ, რომ სულს ურყვნიდა. ამ დაპირისპირებაში მოხდა ისე, რომ მთა და ბარი თითქოს ორ პოლუსად იქცნენ და, ბარი რომ ნივთიერი აღორძინებისაკენ იკვლევდა გზას, მთა სულის განახლებას ავალებდა, ბარი რომ რეალიზმისა და ნატურალიზმის დაბლობში ჩადიოდა, მთა რომანტიკული სიმაღლეებისაკენ მოუწოდებდა“ *(ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, წიგნი I, 1965).*

კოტეტიშვილისეული „ნეორომანტიკული“ „მოდერნისტულის“ სინონიმად შეიძლება გავიაზროთ ისევე, როგორც „მთა“ და „ბარი“ — „სოფლისა“ და „ქალაქისა.“ სხვა რა არის მოდერნიზმი, თუ არა ხელოვნებისმიერი სასტიკი ანარეკლი და წინასწარმეტყველება „სულის გამრყვნელი“, ზნეობის დამაკნინებელი, უღმერთო ჟამის დადგომისა, პოსტმოდერნიზმის მიერ საბოლოოდ კონსტატირებული?! (აკი წერს კიდეც პოსტმოდერნისტი ფრედერიკ ბეგბედერი მოდერნისტი ოლდოს ჰაქსლის ტექსტთა რეცენზირებისას, „XX საუკუნის დასაწყისში ჰაქსლი შეძრწუნებით წინასწარმეტყველებდა ჯოჯოხეთის გარდუვალობას, ჩვენ კი XX-XXI ს.ს.-ის მიჯნაზე უკვე ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ და — არც არაფერი, შევეჩვიეთ კიდეცო“ *(ფრედერიკ ბეგბედერი, საბოლოო აღწერა ჩამოფასებამდე, 2013).*

„გამჭვირვალეა ქვეტექსტი, მკაფიოა ალეგორია“, როგორც არაგვისპირელის, ასევე ჯოისის ტრაგიკული ტექსტებისა.

დამბლადაცემული, მტვრიანი, შმორის სუნით გაჟღენთილი, დავრდომილი ქვეყნების ეროვნული ენერგიის ხელოვნებისმიერი რეფლექსიის წარმოსაჩენად ყურადღებას გავამახვილებთ არაგვისპირელისა და ჯოისის თითქმის ერთნაირსათაურიან ნოველებზე „მიწაა!“ და „მიწა.“

„მიწაა!“-ს ტრაგიკულ პოეზიას საბჭოთა კრიტიკა სოციალურ-პოლიტიკური ასპექტით აღქმით ნიღბავდა, არადა, გამჭვირვალეა ეროვნული ტრაგედიის რეფლექსია. ქრესტომათიული ტექსტი იმავე ტკივილითაა გაჯერებული, რასაც მოგვიანებით მოქმედების სულ სხვა დროითსივრცით ველში გადატანით დააფიქსირებს ოთარ ჭილაძე, გილგამეშს ათქმევინებს: „მე მირჩევნია, გულზე მეყაროს და არა ფეხქვეშ ურუქის ქვები.“

ეროვნულენერგიადაშრეტილი ქვეყნის შვილს უცხო იმპერიის უნაპირო სივრცეებში ასახლებენ, მოუსავლეთის გზას გაუყენებენ და ჯალათ მეთვალყურეს, მიწის მისტერიისადმი ყრუსა და ბრმას, ცხვირსახოცში გამოკრული მიწაც ენანება მიწა და სამშობლოწართმეული ქართველისათვის. მდგომარეობას ვერ ცვლის დაგვიანებული სინანული, ვერც რძის შეგზავნა მომაკვდავი ბერასათვის. როგორც კუზმა კილგა ვერასოდეს სწვდება უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას „განწირულის სულისკვეთებას“, ვერც უსახელო მეთვალყურე გაითავისებს ბერას მისტერიულ დამოკიდებულებას ლომისის მადლით განწმენდილი მიწისადმი, ვერც მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვების სინათლეს: „ვიბნევი ბრწყინვალეებაში!“ *(შიო არაგვისპირელი, მიწაა! ქართული პროზა, XVII, 1989).*



თუმც, იქნებ, რაკურსის შებრუნებაც შეიძლებოდეს და თავად უმიწოს, რეკრუტს, უმისტერიოს სწორედ სხვისი ფესვი, მიწისადმი საკრალური დამოკიდებულება აცოფებს და ამადაცაა ასე ავად გაღიზიანებული?! (საგულისხმოა, რომ ნეორომანტიკოს ყაზბეგთანაც სიბრალულითაა დახატული საქართველოს ავად დაღირებული რუსის ჯარი. ეს ქართული მსოფლაღქმაა, უკვე ცურტაველთან ფიქსირებული: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ...“).

ერთი შეხედვით, აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ტექსტია ჯოისის „მიწა“, „დუბლინელთა“ ბრწყინვალე რკალის მეათე ნოველა, არაფრით გამორჩეული ქალის, დუბლინელი მარიას ერთი დღის ანარეკლი, სამრეცხაოში ნაშოვნი ჯამაგირით რომ ყველაწმინდის დღესასწაულზე *(კელტთა უძველეს ახალწელს რომ ემთხვევა და პირველ ნოემბერს აღინიშნება კათოლიკურ სივრცეში — ნ.კ.)* ძმისშვილებისათვის ტკბილეული უყიდია, გასართობი მკითხაობისას კი ცხვირსახოცში გამოკრული მიწა ერგება, სიკვდილის მეტაფორა (ოღონდ თავად ვერც ხვდება ამას). აღელვებული რძალი მიწას ლოცვანით შეუცვლის.

გამჭვირვალე, უფაქიზეს ნოველაში, რომლის მოყოლაც ისევე შეუძლებელია, როგორც მაღალი პოეზიის („დანარჩენი ლიტერატურაა“) ნიმუშებისა, არაფერი ხდება, აქ კონტექსტი და ქვეტექსტი დომინირებს ტექსტზე, მაგრამ, რაკი „გამჭვირვალეა ქვეტექსტი, მკაფიოა ალეგორია“ (გავიმეორებთ როსტომ ჩხეიძის რეფრენს შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი რომანიდან), პატარა მარიას უღიმღამო (თუმც — სხვაზე ზრუნვით განათებულ, „ბრწყინვალებაში გაბნეულ“) ყოფაში ირეკლება ნაგულისხმევი და მარადმყოფი, ბრიტანულ იმპერიას ძალად დამონებული დუბლინის უღიმღამო, დადამბლავებული არსებობა.

„დუბლინის მეტად თავისებური ატმოსფეროს იმპრესიონისტულ ჩანახატებში, ...რომელიც XX საუკუნის დასაწყისის ირლანდიის დედაქალაქის შესანიშნავი მატიანეა, მწერლისათვის ირლანდიის ისტორიის გარკვეული ეტაპის გამომსახველია, დუბლინია მოთხრობების ნამდვილი გმირიო“, წერს მკვლევარი მაია მალაშხია მოდერნისტული მოთხრობების ციკლის ანალიზისას *(ჯეიმზ ჯოისის „დუბლინელები“, „ცისკარი“ 5-6, 2001).*

თავად ჯოისს უნივერსიტეტელი მეგობრის, კონსტანტინ კარენისათვის მიუწერია, რომ ირლანდიური აღორძინების ერთერთი მესვეურის, ჯ. რასელის თხოვნით წერდა ეპიკლეზისთა რკალს, რომელსაც „დუბლინელებს“ დაარქმევდა. „ეს იქნება მცდელობა იმ ჰემიპლეგიის *(ცალმხრივი დამბლა — ნ.კ.)* თუ დამბლის ანალიზისა, რასაც მავანნი ქალაქ დუბლინად აღიქვამენო“, ტრაგიკულ-სარკასტულია მინაწერი *(ეპიკლეზისი — ლიტურგიკული ტერმინი, სულიწმინდის მოხმობა-მოწოდება ღვინისა და პურის უფლის სისხლად და ხორცად გარდასაქმნელად).*

ჯოისის ადრეული მოთხრობების კრებულისათვის დართულ კომენტარებში მკვლევარი სერგეი ხორუჟი აღნიშნავს: „მწერალს ჩაუფიქრებია ციკლი მოთხრობებისა დუბლინზე, ქალაქის სულის გადმოსაცემად. დუბლინის არსს ჯოისი დამბლის ფენომენით გამოხატავს“ *(ჯეიმზ ჯოისი, ადრეული პროზის კრებული, 2011 (რუსულ ენაზე).*

ამ პარალიზებულ გარემოს ნესტისა და შმორის სუნი მსჭვალავს და მკვლევარს „მიწაში“ მოხსენიებული სამრეცხაოს სახელიც („ღამეული დუბლინის სამრეცხაო“) პარადიგმული მნიშვნელობისად ეჩვენება. „მიწასაც“ ბედსშეგუებული ქალაქისა და ქვეყნის საერთო სენი — სულიერი დამბლა, შმორი, ნარეცხის ნესტიანი სუნი მსჭვალავს, როგორც „დუბლინელთა“ რკალის ლამის ყოველ ნოველას.

რა თქმა უნდა, ჯოისის შემოქმედებითი მასშტაბები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე შიო არაგვისპირელისა, მაგრამ უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენა, რომ ერთი და იმავე პარადიგმით, შმორისა და ნესტით სუნით აღბეჭდეს მოდერნისტული თუ ნეორომანტიკული ტექსტების მხატვრული ქსოვილი მწერლებმა ისევე, როგორც მიწის პარადიგმაში გაანივთეს ბედისწერის, პროვიდენციის არსი.

P.S. *აქვე არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ოთარ ჩხეიძის ასევე პროვიდენციული ნოველა „მიწა“ (კვლავ „მიწა“!) — ერთდროულად ურბანისტული და ეროვნული სატკივრის ტრაგიკული პოსტმოდერნისტული ანარეკლი.*

„ლიტერატურული გაზეთის“ გამოწერის მსურველები
დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940